მთავლიტი № 141. შეკვეთა № 456. ტირაჟი 4.000.

სახკომსაბჭოს სტამბა.

ჯვარცმული ლეგენდა

მოქმედნი პირნი:

იუდა დიდების მაძიებელი ებრაელი.
კაიაფა ებრაელთა მღვდელმთავარი.
იაკობ
ნაბუშარი } მესია
ყრუ-მუნჯი
თერთმეტი მესათხევლე ამბოხის მეთაურნი მესიის სახელით.
მაია -ნაბუშარის დედა.
მაგდალინელი მეფეთა საყვარელი ებრაელი ქალი.
ირიდ რომის მიერ დანიშნული ებრაელთ მეფე — ებრაელი.
პილატ რომის იმპერიის საქმეთა გამგებელი ებრაელთა ქვეყანაში.
არფაძს, ნათანაილ, ბარაბა ქურდბაცაცა - ავაზაკები.
იოსები მაიას დანიშნული.
ენოქ, თომა, თორა იერუსალიმის მოქალაქენი.
ელიაზარ რაბი მონა ებრაელთა წინამძღოლი.
სამარიტელი, მაწანწალები, ლევიტელი, მღვდელი, გლეხი სვიმეონ, კარის კაცნი, მცველნი, ჯარისკაცნი, მესაფლავენი, ტუვეები, შიკრიკნი, ფარისეველნი, სადუკეველნი, მწიგნობარნი, მღვდლები და სხვანი.

მოქმედება ჰხდება პალესტინაში, უმთავრესად იერუსალიმში, გალილეაში და ბეთლემელ მწყემსების გომებთან პირველი საუკუნის დასაწყისში.

პ რ ო ლ ო გ ი

პირველი მოგვი.

ქვეყნიერება მუდამ იყო... მუდამ იქნება...

მეორე მოგვი.

და იგი სფერო, დედამიწას რო უწოდებთ ჩვენ,
ერთი წინწკალი არის მხოლოდ ერთ-ერთის მზისა
მზეთა და ცთომილთ განუზომელ სამფლობელოში.
ეს — დედამიწა — მილიარდი წლებისა წინად
მოსწყდა ჩვენს მზესა და, ვით მცირე ზომის წინწკალი,
იმავ მილიარდ წელთ სრბოლაში მშობლის გარშემო
განელდა, გახმა — გარეკანი დაუნაოჭდა
და განელებულ ნაოჭებში თავისდათავად
მზისა სხივები შეეჯვარა დედამიწის გულს
და ამ ბუნების შეჯვარებამ ჰშობა სიცოცხლე
ყოველთა მღილთა, მცენარეთა და ცხოველების,
რომელთაგანაც განვითარდა ადამიანი;
მას, ჭკუით ძლიერს და ყველაზე მოხერხებულსა,
მუდმივმა ზრუნვამ, წარმოებამ, შრომამ და ჯაფამ
მისცა ის სახე, ის ბუნება, რაცა სძევს დღესა.

ხმა დაბადებიდან.

სიცრუეს ამბობთ! ანათემა! ცა და ქვეყანა
უფალმა ღმერთმა შეჰქმნა ხუთ დღეს და მეექვსეზე,
თვისივე სახის და ბუნების მატარებელი,
შეჰქმნა თიხისგან უკვდავ სულით ადამიანი...
მოგვები. ხა - ხა - ხა - ხა - ხა!

ხმა დაბადებიდან. მითომ რაო, რა გეცინებათ?

ის ხომ არა, რომ ეს პირველი ადამიანი
ებრაელია, რომლის შტოც ხართ ყველა თქვენ სხვანი,
ხოლო ქვეყანა ებრაელთა ებრაულ სისხლით
შემომქმედისგან არის რჩეულ - შეყვარებული,
მირონცხებული და აღთქმული დიდებად თვისდა,
ვით პირმშო შვილი, დასაწყისი, პირველი საქმე
ამქვეყნიური სიცოცხლის და უკვდავებისა?!.
მოგვები. ხა - ხა - ხა - ხა - ხა!

მეორე მოგვი. როგორც მხეცნი, ცისა ფრინველნი,

ქვეწარმავალნი და ყოველი ჭია - ღუანი
გაჩნდნენ თავისით, ბუნებრივად მზისა სხივებზე
დედამიწისა თბიერების წეს - კვალობაზე
სხვადასხვა კუთხის მიხედვით და შესაფერისად,
ისე ჩვენ, ხალხნი, გავჩნდით ჩვენით, მზისა სითბოზე
რგვალ დედამიწის გარეშემო სხვადასხვა კუთხის,
სხვადასხვა ჰავის მსგავსადა და შეძლებისამებრ,—
სწორედ იმგვარად, როგორც უთქვამთ მგზავსი მგზავსს
ჰშობსო.

ხმა დაბადებიდან.

ჯვარცმა გეკუთვნით, ავაზაკნო, მაგ სიცრუისთვის!

მეორე მოგვი.

ჩვენ მართალს ვამბობთ და აქამდე ამ სიმართლისთვის
ბევრი აწამეთ, კვლავც აწამებთ ამის შემდგომად,
მაგრამ სიმართლე გაიმარჯვებს მაინც ბრწყინვალედ...
არავის სურვილს ერთის სიტყვით არ შეუქმნია
ცა და ქვეყანა, ნამეტნავად — ადამიანი.

ხმა დაბადებიდან.

უსჯულოებო! ჩვენ შვილნი ვართ ადამ და ევის,
რომელნიც ღმერთმა სამოთხიდან გამოაძევა
შეცოდებისთვის, მაგრამ მხსნელად იმ ცოდვათაგან
აღგვითქვა თვისი ძე — მესია, რომელიც მოვა
შთამომავლობით ებრაელი, ძედ დავითისა...

პირველი მოგვი.

ეგ ზღაპრებია უსაფუძვლო და უსარგებლო...

მეორე მოგვი.

და სიბრძნის სხივი მოდიოდა ბაბილონიით...
იქიდან ბევრი მიითვისე და ბევრი მოჰსპე,
რათა მის დიად ბრწყინვალებას არ ჩაეყლაპე —
შენ სიცრუე ხარ და შერყვნილი ჭეშმარიტება.

პირველი მოქმედება

სურათი I

იერუსალიმი

ებრაელების ტაძრის წინ სჩანს რომაელების ღმერთის ახლად დადგმული ქანდაკება. იაკობი მისჩერებია მას.

იუდა

ვიჰ, რას შესცქნავი მაგ რომაულ ღმერთ-ქანდაკებას!

იაკობ

რომაელებმა დადგეს გუშინ ებრაელთ ღმერთის
შესაბღალავად ჩვენი ტაძრის წინ...

იუდა. მერე, შენ ვინ ხარ?

იაკობ. ებრაელი საწყალი ვინმე,
მიუსაფარი და მიწურში დაბადებული.

იუდა.

მაშ შენ მესიად გამოჰდგები. ასე ამბობენ,
მესია უნდა მიწურ-გომში დაიბადოსო;
სწორედ შენ ჰგეხარ: შუბლს გადაგდის შუქი ღვთიური
და ტანთაც გმოსავს ძონძ-მანძები ამქვეყნიური...
ოჰო, იაკობ, შენა ხარ ეგ!.. ეხლა გიცანი!

იაკობ. კარგი, მაგრამა შენ ვინღა ხარ?

იუდა. იუდა.

იაკობ. იუდა?

იუდა. დიახ, იუდა! ველარ მიცან?

იაკობ. ველარ გიცანი...

მაგრამ დაიცა... ის იუდა, რომელმაც უწინ
შემოიკრიბა გალილეა და ააჯანყა
რომაელების ბატონობის ასაბარგავად,
ხომ ჯვარს გააკრეს თვის ამხანაგ სადუკთან ერთად —
შენ რომელი ხარ? მკვდრეთიდან ხომ ვერ აღსდგებოდი?!

იუდა. ეჰე, იაკობ, სინორჩეში დაბერებულხარ,

რომ დაგვიწყნია ებრაელი და ძმადნაფიცი
შენივე ძმისა იესოსი... იქ ვინ გროვდება?..

(იყურება გარედ)

იაკობ. (თავისთვის)

მე... ძმა იესო?..
თავი მომიკვდეს, თუ ვიცოდე, ვინ არის ესა,
ან ის ვიცოდე, თუ მართლა მყავს მე ძმა იესო....
ეს მე მატყუებს და რა უშავს მეც მოვატყუო?.. (ი უ დ ა ს)
იუდა, რაკი დაუსჯივარ მეხსიერებას
ჩემიდან წასვლით, შენც დამსაჯე უფრო სასტიკად
და მითხარ ისიც: ის ჩემი ძმა სად დაიკარგა?

იუდა.

ახლავე გეტყვი: ყრმა იესომ, იმ შენმა ძმამა,
თავის სიცოცხლის მეთოთხმეტე გაზაფხულის ჟამს
გალილეველთა აჯანყება...

იაკობ. ეგ ხომ მეც ვიცი...

შენ ის მითხარი, რა ცვლილება მოჰხდა მას შემდეგ...
თოთხმეტის წლისას თუ შეეძლო ჯანყის მოწყობა
რომაელების წინააღმდეგ მოხერხებულად,
ეხლა ხომ იგი ოცის წლისაც იქნება უკვე...

ბრბო გარედან. ველარ ავიტანთ ამ მონობას!..

იუდა. ცეცხლმოდებულნი

ისე მრისხანედ და სასტიკად მოსჩერებიან
რომაელთ ღმერთის ქანდაკებას, თითქო უნდოდეთ
მისი წალეკვა, როგორც წარღვნას ცოდვილთა მოდგმა.

(ხმაურობა მისწყდება)

იაკობ.

ჩემის ძმის ამბავს გეკითხები, იესოს ამბავს...

იუდა.

ყური დამიგდე... სად დავდექი?.. ჰო, მომაგონდა:
მოაწყო მეთქი ამბოხება და როცა ჰნახა,
მტრის ძლიერება იმაზე მეტს აიწონიდა,
ისე დაშალა, რომ წვეთიც კი ჩვენი სისხლისა
არ დააქცია უნაყოფოდ, ტყუილ-უბრალოდ.

იაკობ. ეხლა სად არის, ეხლა მეთქი?

იუდა. ეხლა მესიას

მოელის იგი ყოველ დღე-ჟამ და ყოველ წუთში...

იაკობ.

უჰ, ეგ მესია... მოდის, მოდის — ველარ მოვიდა!
ან ვის ეკუთვნის ჭეშმარიტად მესიად მოსვლა?..

იუდა.

შენ, მე, მას — ყველას! ერთი სიტყვით ერთ იმისთანას,
ვინც შენებურად მიწურშია დაბადებული
და გამოზრდილი ფეხშიშველა, შიმშილ-წყურვილში —
ასე სწერია, ასე უთქვამთ წინასწარმეტყველთ...

(ისმის ჩხუბის ხმა „დადექი ნათანაილ“, „ხელი არ მახლო“)

ჯიბგირი ჯიბგირს ეჩხუბება ჯიბის ნადავლზე...
თავი გავართვათ, არ ჩაგვთვალონ ჩვენც ჯიბგირებად...

(გადიან. ხმაურობით შემოდიან ა რ ფ ა ქ ს და ნ ა თ ა ნ ა ი ლ)

ნათანაილ. აჰა, დავდექი, ოღონდ ხელი არ მახლო!

არფაქს. როგორთუ არ გახლო! გაუშვი ხელი ქისას.

ნათანაილ. სულ რათ მართმევ!.. შუა გავიყოთ, მე არ ამოვაცალე?!.

არფაქს. მერე, შენ რათ ამოაცალე, მე უნდა ამომერთო — გაუშვი ხელი!

ნათან. არ გაუშვებ.

არფაქს. გაუშვი მეთქი, თორემ ისეთას გაგკრავ, რომ შენმა ყბებმა იერემიას გოდება მორთონ.

ნათან. არ გაუშვებ.

არფაქს. აი თუ არ გაუშვებ.

(გამოჰგლეჯს ქისას)

ნათან. უსვინდისო! რომაელო! მოძალადევ!

არფაქს. შენ კი, შენ ნუ მომიკვდები, სვინდისის ხაზინა ბრძანდები! ისე მედავები ნაცარცვს, თითქოს მის მონაგვრაში ხელები გადაგყვლეფოდეს.

(ისმის გარედან ხმაური)

ხმაური. ქურდი ბარაბა... დაიჭით!..

არფაქს. აი დასწყევლოს ღმერთმა! მაგასაც ეხლა მოუნდა ქურდობა?! წამო, ერთად გავიპარნეთ... ჩვენ მაინც ძმები ვართ...

(გადიან ქურდულად)

ხმები. არ გაუშვათ ბარაბა...

(შემოჰყავთ დაჭერილი ბ ა რ ა ბ ა ყიჟინით „შენ აცარიელებ ჩვენს ჯიბეებს?“ და აბამენ პალოზე რომაული ღმერთის წინ)

ელიაზარი.

ველარ ავიტანთ ებრაელნი ამ დამცირებას,
რომ ჩვენი ტაძრის ახლო დასდგეს რომაელებმა
თავისი ღმერთის ქანდაკება და ბარაბასაც,
ამ ქურდ-ბაცაცას ჩვენსა ტაძრებს აცარცვინებენ...

ბრბო. ჩავაქვაოთ, გავანადგუროთ!

(ქვას დაუშენენ ვითომ ბ ა რ ა ბ ა ს, მაგრამ ქანდაკებას არტყამენ. უჩინრად შემოდის იუდა)

ბარაბა.

ვაჰმე, ვაიმე!.. მაპატიეთ, ალარ ვიქურდებ...

(თავისთვის)

ფუჰ, რა მაყვირებს, ერთი ქვაც კი არ მომხვედრია.

ბრბო.

ეგ ჩვენი ღმერთის მტერი არის, ესროლეთ მაგას!

იუდა.

„ესროლეთ მაგას“!.. აჯანყება იწყობა კვალად.
ვაი შენ ჩვენო უბედურო იერუსალიმ!

(შემოდიან ა რ ფ ა ქ ს და ნ ა თ ა ნ ა ი ლ)

არფაიქს. (ბ ა რ ა ბ ა ზ ე)

შეხე, რა სამხვთო კურატივით მიუბამთ ბოძზე!

ელიაზარ.

ვეღარ მოვითმენთ მესიისა მოლოდინის ჟამს
მძლავრთ ბატონობას და უცხოელთ თავგასულობას!

(ყიჟინა „ვეღარ მოვითმენთ“)

ბარაბა. მე დავავიწყდი... მადლობა ღმერთს!

ელიაზარ. მოვა მესია
არა მარტოდენ ებრაელთა თავისუფლებად,
არამედ ყველა დაჩაგრული ხალხებისათვის
და ამ კერპებსაც სამუდამოდ დაამხობს ძირსა.

(ქვას დაუშენენ ქანდაკებას)

ბარაბა.
ამიშვით მეცა: თქვენზე ნაკლებ არ ვიცი სროლა!

თოლა.
ჩუმად ჯიბგირო!

(ერთს მოარტყამენ)

ბარაბა. ვაი დედავ! ერთი მომარტყეს!
კრინტსაც არ დავძრავ ამის შემდეგ... ჩალეწეს ღმერთი...

იუდა.
ეგრეა საქმე?.. ვინ იქნება ნეტავ მესია?

ელიაზარ.

მოვა მესია, განრისხდება ცა და ქვეყანა,
მეხი განარცხობს ებრაელთა ქვეყნის მტარვალებს.
საფლავებიდან აღსდგებიან სუყველა მკვდრები,
რაც დამარხულან ადამის და ევას შემდგომად.

მაია.
მესიასავით ლაპარაკობ და ბარემ გვითხარ,
როდემდის უნდა ვიტანჯოთ და ვიყოთ მშიერი?

ელიაზარ.
ჩვენი პური და ჩვენი საზრდო რომაელების
ღმერთებმა შთანთქეს...

ხალხი. ჰოი მაგის...

(ესვრიან ქვას)

ბარაბა. (გახარებული)
უჰ, რა კარგია,
ღმერთი არა ვარ, თორემ მეც სულ ჩამაქვავებდნენ!

იუდა.
ჩალეწეთ, თუ კი მის აღდგენა თქვენვე არ გიწევთ...

ელიაზარ.
აბრამის ძენო!

ხალხი. პურზე გვითხარ. პური მოგვეცით!

ელიაზარ. კმარა!.. დამშვიდდით!.. გამიგონეთ!..

ენოქ. ჩვენ გაგონება
უფროსებისა აღარ ძალგვიძს, რადგან გავფუჭდით
და გავიხრწენით აუტანელ მონობისაგან,
შიმშილისაგან და გონების უსინათლობით...

ელიაზარ.
სწორედ მაგისთვის უთქვამს ასე წინასწარმეტყველს:
„ჟამთა შემდგომად დაუდგება იერუსალიმს
განკითხვის წუთი ჩადენილი ცოდვებისთვისო:
დაეკარგება ძალა პურსა, წყალსა და ჰაერს,

ხოლო მეცნიერთ ექმნებიან ბავშვნი-მთავრადო,
კაცი დაიჭერს შესაჭმელად ისევე კაცსა,
მამა თავის შვილს, შვილი მამას მტრად ექმნებაო,
ცოლნი, ქალწულნი მეძაობას გააჩაღებენ,
ძმა თავის დასა, ვაჟი დედას გაისაყვარლებს,
ქურდბაცაცები დაუწერენ კანონსო მცხოვრებთ
და დაეცემა ერი იგი შემცოდველიო.
აი მაშინო — ამბობს იგი — მოვა მესია"...
აბრამის ძენო, აჰა ესეც: აღსრულდა სიტყვა
წინასწართქმული, ვით წერილ არს... გაფუჭდა ჟამი,
როგორც მეფეთა საყვარელი მაგდალინელი,
და მოვა იგი, მხსნელი ტანჯულ ებრაელების.

ბრბო.

მერე, პურს მოგვცემს დამშეულებს?

ფარისეველი. პატიოსანო

ებრაელებო! ნუთუ თქვენთვის კუჭზე მაღალი
აღარრა არის, რომ ყოველ წამს პურს გაიძახით?

ბრბო.

რა მშვიდათ ბრძანებს!..

ფარის. აბა თუ თქვენ ჩვენი პირიდან

გაგიგონიათ თუნდა ერთხელ: პური, პურიო,
ისიც იმ დროსა, როცა ველით დიდსა მესიას
ხსნად ისრაელთა.

იაკობ. ისრაელნო! იქნებ ჰგონიათ

ფარისევლებსა, მწიგნობართა და სადუკეველთ,
რომ ჩვენ, ლატაკნი, მისთვის ვითმენთ და მისთვის ველით

დასაბამიდან ღვთისგან აღთქმულ სიტყვის ხორცშესხმას,
რომ ისევ იმათ გაიხარონ, ვინცა ჰხარობდა
საწყალთა ჩაგვრით, მტაცებლობით, უსამართლობით?!.

იუდა.

აი მანდ არის ძაღლის თავი დამარხული აი!

ელიაზარ.

მშიერ-მწყურვალთა მხსნელად მოვა მესია იგი
და ცის ქვეშეთის მონებს მისცემს თავისუფლებას!

ხალხი.

პურს კი არ მისცემს?

ელიაზარ. და არსობის პურსაც მისცემს მათ.

იუდა.

ჰო, მაშა, მაშა! უეჭველად! რაღა თქმა უნდა!..

ფარისეველი.

მესია მოვა ებრაელთა თავისუფლებად,
მდიდარს და ღარიბს არ გაარჩევს იგი, ვით ღმერთი.

ენოქ.

პატიოსანო ებრაელნო! ჩემსასაც გეტყვით:
მონად ვყოფილვარ საბერძნეთში, შემდეგ რომშიაც;
მიმსახურნია კეისართა სახელოსნოში
და რომის სენატს ჩემი ხელით ნაქსოვი ტილო
გაუცვეთნია ასი მხარი სუფრად ნაგები.
მე ყველას ღმერთებს ვიცნობ კარგა და მტკიცედ ვიცი,

რომ ღმერთებში ის კი არ არის ძლიერი ღმერთი,
ჩვენ რომ ვერ ვხედავთ, ცაში როა და პურს არა სჭამს —
უძლიერესი ღმერთებია ყველა ისინი,
ამ ჩვენს მიწაზე რომ დადიან და პურსა სჭამენ!
ამიტომ უნდა მოგახსენოთ: წინასწარმეტყველთ
დაპირებებმა მესიაზე გაგვანადგურა!
დღემდე რამდენი მოვიდა და აღსდგა მკვდრეთითაც,
მაგრამ ხომ ჰხედავთ: დალოცვილნი, ისე მოვიდნენ,
ისე ეწამნენ, ისე აღსდგენ შემდგომად მკვდრეთით,
და ისე მშვიდათ, უნაღლოთაც წავიდნენ ცაში,
რომ ვერაფერი ვერ უშველეს ვერც უსახლკაროთ,
ვერც ფარისეველთ და ვერც ერსა აბრაამისას!

ელიაზარ.

გაჩუმდი ბნელო, გარესკნელო და მოღალატევ!
მაგ ბოროტ გულში ჩვენი მტრობა დაგბუდებია
და შენის ენით ლაპარაკობს თვით რომაელი,
ებრაელების წმინდა-სისხლით გასუქებული.

ხმები.

ძირს მატყუარა!

ელიაზარ. დიახ, დიახ, მატყუარაა,

რადგანაც ვიცით, რომ მესია ჯერ არ მოსულა,
მაგრამ გვწამს მოვა და მოვა ის გალილეიდან, —
ამასა მოწმობს კუდიანი ვარსკვლავი მის თავს.

ენოქ.

მე კი არა ვარ მატყუარა, თქვენ სცდებით, თქვენა!
ჩვენ გაგვიცრუვდა მხსნელის ციდან მოსვლის იმედი
და ერთად-ერთ ხსნას ვხედავთ მხოლოდ ჩვენს მარჯვენაში.

ჩოჩქოლი.

თითქო სიმართლეს ლაპარაკობს... აბა დაფიქრდით.

ელიაზარ.

გაჩუმდით! განა დაგავიწყდათ ახალი აღთქმის
ბრწყინვალე სული, რომელიც დღეს უკვე ტრიალებს
ჩვენს ქვეყანაში ტანჯულთათვის ხორცშესასხმელად?!.

ყველანი.

შენა ხარ იგი, რაბი! რაბი! შეგვინდე ცოდვა!

ელიაზ.

მოინანიეთ ეხლავ ცოდვა ახალი აღთქმის
იმ წმინდა ლოცვით, მე რომ გასწავლეთ...

(ყველანი დაიჩოქებენ და ხელაპყრობით ამბობენ ლოცვას. ი უ დ ა ოდნავ წახრილია).

ლოცვა.

„მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა, წმიდა იყავნ სახელი შენი! მოვედინ სუფევა შენი, იყავნ ნება შენი, ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა... პური ჩვენი არსობისა, მომეც ჩვენ დღეს და მომიტევენ ჩვენ თანა ნადებნი ჩვენნი, ვითარცა ჩვენ მიუტევებთ თანამდებთა მათ ჩვენთა და ნუ შემიყვანებ ჩვენ განსაცდელსა, არამედ მიხსენ ჩვენ ბოროტისაგან“.

ენოქ.

ღმერთო შეგცოდე, მაპატიე შეცოდებანი!

(ხელაპყრობილი ლოცვის დროს ა რ ფ ა ქ ს ი ჯიბეში ხელს ჩაუყოფს ი უ დ ა ს. იუდა არფაქსს დაიჭერს, ხოლო ნ ა თ ა ნ ა ი ლ, რომელიც სხვისა ჯიბეს ეპარება, გაიქცევა)

იუდა.

ჰე, დაგიჭირე... ნულარა ხტი შე ჯიბის ჩრჩილო,
თავაღებულო, უსვინდისო და არამზადავ!
როგორ იფიქრე, რომ იუდას გამოჭრჩებოდი!

(სცემს)

იუდას მეთქი, რომელ ებრძვის ღმერთსაც და კაცსაც...

არფაქს.

შენ გენაცვალე, ნულარა მცემ... გემუდარები!
ოღონდ გამიშვი და ფეხების მტვერს აგილოკავ.

იუდა.

რაში მჭირდება მაგ მყრალ ენით ფეხების ლოკვა!
მითხარ, მარტო ხარ, თუ სხვაც გყვანდა აქ მოზიარე?
შენს დაჭერაზე ვიღაც გაძვრა ხალხის ლაჯებში.

არფაქს.

ოღონდ გამიშვი და ღმერთს ვფიცავ, ყველაფერს გეტყვი,
არც რამე საქმეს ამის შემდეგ მე დაგზარდები.
გამიშვი მეთქი!

იუდა. კარგი, ოღონდ ერთის პირობით:

წადი და-ეხლავ ცენტურიონს შეატყობინე,
შფოთსა და ღელვას აწყობენ თქო რომაელთ ღმერთთან
რაღაც საწყალთა მესიაზე შეყვარებულნი.

არფაქს.

სხვა არაფერი? მაგ თხოვნას ხომ სიამოვნებით
შეგისრულებ!

იუდა. (აუშვებს) მაშ წადი ჩქარა!

ხალხი. ღმერთო გვიშველე!

ელიაზარ. ამინ!

ხალხი. დაგვიხსენ რომაელთა ბატონობიდან!

ელიაზ. ამინ!

ხალხი.

და ამ ჩვენ ფარისეველ - მღვდლებისაგანაც!

ელიაზ. ამინ!

(ათავებენ ლოცვას და ისევ ქვას იღებენ ხელში)

ფარისეველი.

რა დააშავეს ფარისეველთ, რომ ავად ზრახავთ?

თომა.

ჩუმად, თორემა თქვენ დაგიშენთ ამ ქვებს, რომელნიც
რომაელთ ღმერთის დასამტვრევად გვიჭირავს ხელში!

(ხალხი აჰყვება თ ო მ ა ს)

იუდა.

ჩხუბობენ კიდეც ერთმანეთში...

იაკობ. ძმანო, ისედაც

ჩვენს უბედო ბედს საჭიროა განა დაერთოს
ურთიერთშორის ჭიდილი და უთანხმოება?!.

იუდა.

სამესიაო ჭკვა აქვს სწორედ, სამესიაო...

ფარისევ.

მართლაც რომ მისი შესაფერი სიტყვა სთქვა ამან.

ელიაზარ.

მაგრამ მესია არის მხოლოდ გალილეაში!

იუდა. (ბ რ ბ ო ს)
აი ამიტომ საჭიროა შეწირულებით
ჩაუგდოთ იმას საძირკველი მოსვლის საწინდრად...

ფარისევლები.
ეგ ხომ ეგრეა, დიახ, დიახ... შეწირულება!

იუდა.
და ვისაცა სწამს ჭეშმარიტად მესია იგი,
ამავე წუთას გამოიღებს შესაფერ წვლილსა...
შესაძლო არის ჯერ მესია არც კი შობილა,
მაგრამ ვარსკვლავი გრძელფრთიანი გალილეის თავს
გვამცნებს, რომ იგი ან ჩნდება და ან უკვე გაჩნდა,
რისთვისაც გვმართებს სამზადისი შეწირულებით...
(ამოიღებს თავის ჯიბიდან ფულს)
მე ჩემს ჯიბეებს აჭა, აი, ვაცარიელებ...
აბა გაიღეთ ყველამ წვლილი... ნუ დაფიქრდებით!..
თუნდ თითო ვერცხლი, რაც შემთხვევით გამოგყოლიათ!
ხმლად მოჭხმარდება ჩვენი ერის თავისუფლებას!

ყველანი.
ყველა შევწირავთ, არ დავზოგავთ თვით სიცოცხლესაც!
(მიაქვთ შეწირულებები ი უ დ ა ს თ ა ნ)

ენოქ.
დახე ამ წყეულ ფარისეველთ! ყველაზე უწინ
ესენი ასტყდნენ, გავიღოთო შეწირულება
და ნამდვილად კი არაფერი მათ არ გაიღეს.

იუდა.
საშვილიშვილო და დიდებულ საქმეს აკეთებთ!..

ბარაბა. (დაინახავს რომაელების რ ა ზ მ ს)
ხალხო, ამიშვით... რომაელნი! ამიშვით მეთქი!

იუდა. (გაიკვირვებს ყასიდათ).

რომაელნიო?.. ჰარიქათ, ჩქარა, თავს უშველეთ!

(ბრბო ერთმანეთს მიაწყდება შეშინებული და აირევა)

უჰ, რა თხებივით დაიფანტნენ!.. სამაგიეროდ
თანხა ვიშოვე ჩემი მიზნის მისაღწეველად...

(წაიღებს შეწირულებებს. აქათ-იქიდან შემორბიან რომაელი ჯარის-კაცები, რომელთაც უფროსობს ცენტურიონი)

ცენტურიონი. შეჩერდით!

(ბ რ ბ ო შეჩერდება)

ნახეთ და ვისაც ხელში ეჭიროს სასროლი ქვა — წამოიყვანეთ... ეს ვინღა არის?..

ფარისევლები. ბარაბაა... ბარაბა! მაგის ბრალია ეს ყველაფერი...

ცენტურ. ესეც მაგათ გამოაყოლეთ...

(აუშვებენ ბ ა რ ა ბ ა ს, წინ გაუმძღვარებენ ე ლ ი ა ზ ა რ ს და წაიყვანენ მ წ ი გ ნ ო ბ რ ე ბ თ ა ნ, მ ღ ვ დ ლ ე ბ თ ა ნ და ფ ა რ ი ს ე ვ ლ ე ბ თ ა ნ ერთად. გარედ ისმის ხმაურობა. მოედანი დაცარიალდება და ორი რომაელი ჯარის კაცი შემოსდევს მ ა ი ა ს)

მაია. ხელი არ მახლოთ... ნულარ მომდევთ... მომწყდით თავიდან..

1-ლი ჯარის-კაცი. მორჩა! ხელიდან ვეღარ წამიხვალ... დაწყნარდი მხოლოდ.

2 ჯარის-კაცი. ჰოო, ეგრე. არ იცი, რომ ჩათრევას ჩაყოლა სჯობია?!

მაია. თქვენ ღმერთი არა გწამთ? გამიშვით მეთქი! შეჰხედეთ სვინდისს. თქვენც ხომ გყავთ და, შვილი — იმათ რომ ასე მოექცნენ, როგორ შეჰხედავდით!

1-ლი ჯ.-კაცი. როგორ შევხედავდი და სულაც არ შევხედავდი: არც და მყავს, არც შვილი, არც ცოლი. ამიტომ ჩემი უნდა იყო.

2 ჯ.-კაცი. რაო? ამხანაგო, პირველობაში მეცილები?

1-ლი ჯ.-კაცი. გამშორდი, თორემ... შუბზე აგაგებ.

2 ჯ.-კაცი. მერე ჩემი შუბი შენ მოგეშველება?

(მოიმარჯვებენ შუბებს. შემოდის ც ე ნ ტ უ რ ი ო ნ ი)

ცენტურიონი. რას სჩადით!

მაია. ბატონო ჩემო, მიშველე რამე, ძალადობა ჰსურთ... ერთი საწყალი, უსახლკარო, დანიშნული ქალი ვარ...

ცენტურ. მართლა?

(ჯარის კაცებს)

გასცით აქედან!.. არამზადებო! როგორ უბედავთ!

1-ლი ჯ.-კაცი. აი რა არის ყმად ყოფნა!.. ჩვენ დავიჭირეთ, იმან აიღო. მეძებრები ვართ, მეძებრები: სხვისთვის დავეძებთ, სხვისთვის ვპოულობთ და სხვისთვის ვიჭერთ.

2 ჯ.-კაცი. მერე, მაგის გულისთვის უნდა დაგვეხოცნა ერთმანეთი?.. რა გოგოა!

(გადიან)

მაია. ბატონო ჩემო, თუმც თქვენ რომაელი ბრძანდებით, მაგრამ სახეზე გეტყობათ, რომ პატიოსანი უნდა იყოთ.

ცენტურ. განა რომაელები უეჭველად უპატიოსნონი არიან?

მაია. ასე ამბობენ: გამარჯვებული მუდამ უპატიოსნო და მოძალადეაო.

ცენტურ. მართალი უთქვამთ.

მაია. მაინც მგონია, რომ თქვენ პატიოსანი ადამიანი უნდა იყოთ.

ცენტურ. მითომ? მაგრამ რას ეძახი შენ პატიოსნებას?

მაია. გამანთავისუფლეთ...

ცენტურ. სულაც არ მიფიქრია შენი დაპატიმრება.

მაია. მაშ მადლობას მოგახსენებთ და მშვიდობითა ბრძანდებოდეთ.

ცენტურ. კარგი, მაგრამ წასვლამდე ხომ შეიძლება ერთ-ხელ გაკოცო?

(ხელსა სტაცებს და ახლოს ეხიდება)

მაია. ბატონო ჩემო...

ცენტურ. ნუ ფართხალებ და ნურაფერსა სწუხ... გკოცნი, ხომ არა გცემ!

მაია. დანიშნული გახლავარ...

ცენტურ. ეგ ჩემ სურვილებს ხელს არ შეუშლის...

(ჰკოცნის)

მაია. თქვენც ისეთივე უპატიოსნო ჰყოფილხართ, როგორც თქვენი ჯარის-კაცები...

ცენტურ. რადა, მშვენიერო, რადა!..

(ჰკოცნის)

მაია. რა გინდათ ჩემგან!

ცენტურ. რაც მამაშენს დედაშენისაგან სხვა არაფერი...

მაია. მერე, ფეხი რომ დამიმძიმდება, რაღა უთხრა ჩემს დანიშნულს, ხალხს — ხომ ჩამაქვავეს, როგორც უნამუსო, მეძავი.

ცენტურ. შენც აიღე და უთხარ, ციდან დავორსულდი და მუცლით მესიას ვატარებ თქო, როგორც ინდოელების ღვთისმშობელი მაია...

მაია. მაია?!

ცენტურ. რას გაგიკვირდა!

მაია. მეც მაია მქვიან...

ცენტურ. მით უკეთესი... რამდენი ირჩენს ასე თავს ურიათა ქვეყანაში და, ვინ იცის, იქნებ მართლა მესიაც ჰშობო! წინასწარმეტყველთ უთქვამთ, ნაბუშარის სახით მოვაო იგი... (ჰკოცნის) რა კარგი ხარ მშვენიერო! ვენერასაც შეჰშურდებოდა შენი სილამაზე...

(ცენტურიონი ძალას ხმარობს)

მაია. მიშველეთ...

(ჩამოვა ფარდა. ფარდაზე კინო უჩვენებს ებრაელთა დარბევას. კინოს შემდეგ ფარდის წინ გამოჩნდება ი უ დ ა)

იუდა.

მგელს ბატკანი აქვს საზრდოდ, სარჩენად,
ბატკანს — მინდორი ბალახიანი,
არწივს — კურდღელი, გველს — ბაყაყები,
ადამიანს კი — ადამიანი.

(გადის. ფარდა აიხდება. მ ა ი ა მოსთქვამს თმა-გაწეწილი)

მაია.

ო, ირ0ოდ, ირ0ოდ! იყავ წყეულ უკუნისამდე!
შენ ებრაელი ებრაელთა სისხლით რომ გასძეხ,
ეგ არ იკმარე: იგი მტარვალ რომაელებსაც
გაუნაწილე მხოლოდ მისთვის, რომ ხელმწიფება
ებრაელთ ქვეყნის რომისაგან არ წაგრთმეოდა...
შენნი ქალწულნიც არ დაგვინდე, არ შეგვიწყნარე —
წყეულიმც იყავ უკუნითი უკუნისამდე!

ს უ რ ა თ ი II

ირ0ოდთან

(ი რ ო დ ი, პ ი ლ ა ტ ე, კ ა რ ი ს კ ა ც ნ ი და სხვანი).

კარის კაცი. (შემოდის)

შიკრიკი გახლავთ ეგვიპტიდან კლეოპატრასი
და შენი ნახვა უნდა მეფევ.

ნურც იმის სახელს და ნურც კიდევ ანტონიოსსა,
რომელსაც უნდა დიდი რომის მტრად დამიხმაროს
თვისი საყვარლის კლეოპატრას ავხორცობისთვის.
უთხარ: გწყალობდეთ ორივესა სამპიროვანი
იახვა ღმერთი ეგვიპტელთა სურვილისამებრ,
ხოლო იროდი ძლიერ რომს არ უღალატებს თქო...

(კარის კაცი გადის)

ჩვენ შიმშილობა გვახრჩობს, ის კი დახმარებას მთხოვს
იმავ მენავის წინააღმდეგ, ვის ნავშიც ვზივარ...

ხმაურობა გარედან.

მოგვეცით პური არსობისა, პური მოგვეცით!..

იროდ.

ოხ! ისევ პური!..

პილატე. ცნობა მოდის, რომ შიმშილისგან
ხალხი შეწუხდა და, რომ სხვა ხანა ვერსადა ჰპოვა,
ისევ მესიის მოლოდინში ფიქრობსო ამბოხს...

იროდ.

იუდას მძლავრი აჯანყების ჩაქრობის შემდეგ
ძლივს დავემკვიდრე ებრაელი ებრაელთ ტახტზე.
ასე მეგონა, ჩემი ხალხი ჩემსა სიმკაცრეს
დაიხსომებდა და რამ შფოთსა გულში ფიქრადაც
არ გაივლებდა წინააღმდეგ რომაელების,
მაგრამა, აი: ებრაელთა აჯანყებები
დაჰბრუნებია, ვით ციება, იერუსალიმს...
მე პურსა მთხოვენ და რომაელთ წყევლას უთვლიან...

ხმაური გარედ.

პური მოგვეცით არსობისა, მოგვეცით პური!

პილატე.

რა საკვირველი გამძლეობის ხალხი ყოფილა!

გმირი და შრომის მოყვარული კვერცხშივე წივის —
არა, მე მაგათ აღარ დავსჯი აღარასოდეს.

ირიდ.

შენ, რომაელო, მაგას ამბობ?

პილატე. და კიდეცა ვიქმ!

ირიდ.

იქნებ დამცინი და გულში კი მეორეს ჰფიქრობ?!.
ნუ, თორემ კრავნი დაიწყებენ მგლებისა ყლაპვას
და რომის სენატს დაადგება თავზე სატირი.

პილატე.

შენ რას უწოდებ მაგ სატირსა? იმას ხომ არა,
რომ არ გამშრალა ჯერ ის სისხლიც რვა ათას ყრმისა,
რომელთ უწყალო გაჟლეტაში, გწამს მოაყოლე
სიცოცხლე ვითომ სადღაც შობილ რამ მესიისა?!

ირიდ.

ეს ბაბილონელთ ზღაპარია... პირადმა მტრებმა
გადმოთქვეს ჩემზე და მაკვირვებს, შენ რაღად ამბობ?!.

პილატე.

მე მართალს ვამბობ, ჭეშმარიტსა და ისიც მჯერა,
ეს ტიბერიის ღმერთებსაც კი ეწყინა ალბად,
რომ რიგ-რიგობით მეხი მეხსა მოსდევდა ციდან.

ხმაურობა გარედან.

მოგვეცით პური და ტყვეები რომის ღმერთების!

(პილატე გადის)

ირიდ.

პილატე მუდამ მარტოს მტოვებს, როცა ბრბო პურს მთხოვს.
რას მივაწერო ესრედ ქცევა რომის ბატონის?..

კარის კაცი.

დიდო ხელმწიფევ, თქვენი ნახვა ჰსურს კაიაფას,

ებრაელების მღვდელმთავარსა.

(შემოდის კ ა ი ა ფ ა)

კაიაფა. სალამი მეფევ,
მაგრამ არა ვარ კარგი ამბის მახარობელი,
რადგანაც ერი ებრაელთა აზვირთდა კვალად...
აი საბუთიც...

(ც ე ნ ტ უ რ ი ო ნ ს შემოჰყავს ე ლ ი ა ზ ა რ, ი ა კ ო ბ, ფ ა-
რ ი ს ე ვ ე ლ-მ წ ი გ ნ ო ბ ა რ ნ ი და სხვანი. ბოლოს შემოდის
ი უ დ ა)

მოდით, მოდით, ნუ გეზარებათ!
ჩვენო ხელმწიფევ, ყველა მათგანს ამბოხის თავი
აბია ტანზე... თავი ტანთან უნძრახადა ჰყავთ,
თუ აჯანყებას არ აწყობენ თქვენს წინააღმდეგ —
მოვალეობა შევასრულე მე ჩემი თქვენ წინ...

ირიდ.
ერთგულებისთვის მადლობის ძეგლს აღგიგებ გულში.

(პ ა ტ ი მ რ ე ბ ს)

აბა მოჰყევით თქვენი თავის გამართლებასა!

ელიაზარ.
თუ მგლის კლანჭებში კრავთ გაბრძოლვა ნიშნავს თავისა
გამართლებასა, მაშინ მართლა ჩვენ მტყუანი ვართ...

ირიდ. როგორ?

ელიაზარ.
აგიხსნი. თქვენმა ჯარმა და მის წინამძღოლთ
შებღალეს ჩვენი კანონები, ჩვეულებანი
და ძარცვა-გლეჯას, მოტყუებას, აწიოკებას
არ უჩანს ბოლო, ვით დღე-ღამის შურისძიებას.
ჩვენს ჩვეულებებს ჩვენი ღმერთი მართავდა მხოლოდ,
ეხლა კი თქვენი ღმერთნიც დაჰსხით მის ტაძრების წინ...

კაიაფა.
მერე, იმიტომ ჩააქვავეთ?

ელიაზარ. ხალხი ზღვა არის...
შიმშილს და წყურვილს რომაელთა ღმერთთ აბრალებენ.

ირიდ.
მაგიტომ რა გსურთ, რომაელთა ღმერთნი ავიღოთ?
იქნებ მეფეც გყავთ დადგენილი თქვენის ჭკუისა?

ელიაზარ.
მეფე თვით მოვა და ვერც ერთი ძალა მის მოსვლას
ვერ შეაფერხებს — ასე უთქვამთ წინასწარმეტყველთ...

ირიდ.
თქვენ, დამთვრალებო ვითომ აღთქმულ ღმერთის ლოდინით,
ათასჯერ გიჯობთ აჯანყების დროშა დაჰხაროთ
და დაუჯეროთ რომაელთა მართლმოყვარე ღმერთთ.

ელიაზარ.
არა, მაგნაირს არ ინებებს ებრაელთ ღმერთი.

ირიდ.
„ებრაელთ ღმერთი!“ რას ეძახით ებრაელთ ღმერთსა, —
ბაბილონიის დასაბამით რომ მოდის დღემდე
თავისი წმინდა რიცხვებითა? შვიდი, თორმეტი
და შემდეგ სამი... მესამე დღეს აღდგომა მკვდრეთით
ციდან ჩამოსულ მესიისა... „ებრაელთ ღმერთი“.

ელიაზარ.
ო, ირიდ, ირიდ! ნეტავ მაგ შენს ებრაულ წვერებს!
ეგ ისე ჰშვენის რომაელის პირშიშველობას,
როგორც ცის მადლსა კეკლუცობა სიცრუის გვერდით!..
ებრაელთ ღმერთი ჩვენი ღმერთი არ არის მხოლოდ!
იგი ღმერთია დედა-მიწის, ცის ქვეშეთისა

და, როგორც ღმერთი ჭეშმარიტი ცისა და ქვეყნის,
დაეუფლება აღმოსავლით დასავლეთამდე
ადამის მოდგმას... ეს ამბები მოჰქონდათ ციდან
ისევე ცაში დაბრუნებულ წინასწარმეტყველთ,
რომელთაც გვამცნეს, რომ ჩამოვა ქვეყნად მესია
და თვის წამებით მიანიჭებს თავისუფლებას
მშიერ-მწყურვალთა, ტვირთმძიმეთა და დაჩაგრულთა.
ვაი მაშინ სამ დედა-ბოძზე მდგომს იმპერიას,
ექვსი ფეხით რომ მთელ ქვეყანას გადაჰფაფრია!

ირიდ.

ვითომ რომს, არა?

ელიაზარ. დიახ, დიახ, რომს მოგახსენებთ,
თვისი კერპები რომ დაგვიდგა ჩვენ მოედნებზე.
თქვენა გგონიათ ებრაელი აიტანს ამას?..
ურარტელების სახელგანთქმულ მთის სიმაღლიდან
უფრო მცირედსა ჰხედავს თვალი მისთა არწივთა,
ვიდრე მე ამ წუთს ამ ტანჯვათა ამ სიმდაბლიდან...

ირიდ.

რას ჰხედავ, რასა, შე ბებერო, გონებით ჩლუნგო?..

ელიაზარ.

იმას, რომ მოვა ერთი ღმერთი და არა წარღვნა
ამ დედამიწის გასაწმენდათ ცოდვებისაგან.
ის ერთი იხსნის ყველას ცოდვა-სიკვდილისაგან,
ხოლო შენ, რომელს გველის მსგავსად ტყავის გამოცვლით
გსურს მოიპოვო უკვდავება მარადიული,
საწყალთა ტანჯვა, მონათა და მაშვრალთა კვნესა
მაგ უკვდავებას გადაგიქცევს ბნელ ჯოჯოხეთად!
წყეულიმც იყავ!

ირიდ. კაიაფა!

კაიაფა. გისმენ ბატონო.

ირიდ.
ეს ხალხი უნდა აღმოიფხვრას საძირკვლიანად..

(ყველანი დაეცემიან მუხლებზე, გარდა ე ლ ი ა ზ ა რ ი ს ა)

დაჩოქილნი.
დიდო ხელმწიფევ, მუხლმოდრეკით გემუდარებით!

(შემოდის პ ი ლ ა ტ ე)

პილატე.
რა ამბავია?

ირიდ. ათას რამეს ითხოვენ ჩვენგან..

პილატე.
მერე რა არის! პირუტყვები ხომ არ არიან,
იმას დასჯერდნენ, რაცა აქვთ და კვლავ უმჯობესი
არ მოისურვონ?!. შენს მეფობას, ებრაელობას,
სულ არ შეჰშვენის ეგ სიმკაცრე შენსავე ხალხზე.
არ მოგიწონებს მაგას ქვეყნად არც ერთი ღმერთი,
არც ებრაელთა და არც კიდევ რომაელების...

(მოეხსნებათ ყარაული)

ფარისეველი.
შენ მართალს ბრძანებ, ღმერთის სწორო, მაგრამ აი ეს
მოხუცებული ელიაზარ მონებს აქეზებს,
აღარ მისცეთო კეისარსა გადასახადი...

პილატე.
მაგ საკითხებზე ერთმანეთში მორიგდით თვითონ.

(გადის)

ირიდ.
ცბიერო მელავ! ყოველთვის რომ ხელს იბან ხოლმე!..

ფარისევ.
გადასახადი აქამომდე არ აგვიღია..,

მწიგნობარი.
და აი თვითონ ამათაც ჯერ არ გადუხდიათ...
იაკობ.
რიღას გადახდა შემიძლიან მე, ტყავგამძვრალსა
კუდამდე შვიდჯერ... მაპატიეთ...
ყველა ღარიბები.
გვაპატიეთ!
ფარის.
ჰმ! „გვაპატიეთ“.
რომ გაპატიონ, კეისარსა საიდან მივცეთ
გადასახადი, ან დიდრაქმა, ან ჩვენ რა ვეჭამოთ?
იაკობ.
თუ ჩვენი შეჭმა გიფიქრიათ, შეგვჭამეთ ბარემ!
მწიგნობ.
აი მეფეო, ამისთანებს გვეუბნებიან...
ირ ოდ.
ბევრნი არიან?
ფარის. თითქმის ყველა მონა - საწყლები.
ირ ოდ.
აღადგენინეთ მაგათ ისევ რომის ღმერთები
და ყველას ტყავი კიდევ შვიდჯერ ააძრეთ ზურგზე.
თუ აღარ ასძვრეთ, მოიხმარეთ როგორც გინდოდეთ.
თუ აოხრება დამჭირდება შემდგომ ვისიმე,
მაგ არამზადებს ავაოხრებ თქვენ საკეთილოდ.
ფარისეველ - მწიგნობარნი.
აი ეგ მოგვწონს! ამის შემდეგ რათ ავჯანყდებით!
ირ ოდ.
ხოლო ამ მოხუცს თქვენ ადევნეთ ისევ თვალ - ყური.

ფარის.

დიახაც ასე მოვიქცევით. სხვას რას გვიბრძანებ?

ირონ.

თქვენ სახეიროდ ეგ პირობა არ დაგავიწყდეთ!

ელიაზარ.

წყეულიმც იყოს! წყეულიმც იყოს! წყეულიმც იყოს!

(ი უ დ ა ს გარდა ყველანი გადიან)

იუდა. (წარსდგება მოკრძალებით ი რ ო დ ი ს წინაშე)

არ გაბრაზდეს, დიდო მეფევ, შეწუხებისთვის და მოგახსენებ...

ირონ. რას მომახსენებ?

იუდა. მე გახლავართ იუდა. იმ იუდასთან არაფერი არ მაკავშირებს, ჯვარს რომ აცვით აჯანყებისთვის. არ ვიცი, აისორი ვარ, ბერძენი ვარ ეფიოპელის სისხლში ნარევი, სპარსი ბაბილონელზე, თუ მავრი შორეულ კუნძულებიდან, — მხოლოდ ის ვიცი, ებრაელს მეძახიან. პაპა ვაჭარი მყავდა, მამა ქალაქის ოსტატი და ჩემს ხელობასაც მხოლოდ ეხლა მივაგენ, რადგან ძალიან მეჯავრება ბევრი ყბედობა, დედაკაცების საზოგადოება და აჯანყების საქმე ზედმიწევნით ვიცი. აი ეს პირველი ამბოხი მე ვაცნობე თქვენს დარაჯს. ჯანყის მეთაურებს ვიცნობ და მესიის ვითარებაშიც ღრმად ვარ ჩახედული. თუ მოწყალებას მოიღებთ, დაგეხმარებით აჯანყებული გალილეის დამშვიდებაში.

ირონ. როგორ!

იუდა. ისე, რომ თქვენმა წუხილმა, გალილეაში ვიღაცის მიერ თავის მესიად გამოცხადების გამო, ჩემამდე მოაღწია.

ირონ. მერე?

იუდა. მერე და ის მესია უნდა დაიშალოს.

ირიდ. როგორ?

იუდა. თუ მაგის მოწყობას მე დამავალებთ, ზომაზე მეტად გამოგადგებით და გადაჭარბებით შევასრულებ ნაკისრ ვალდებულებას.

ირიდ. რანაირად?

იუდა. ჯერ შენი სიტყვა დამისვი დასტურად პირობაზე და შემდეგ მოგახსენებთ.

ირიდ. თანახმა ვარ...

იუდა. (უჩვენებს გ ე გ მ ე ბ ს)
ამასა ჰხედავთ. იერუსალიმში უნდა შევქმნა სხვა მესია ამ გეგმის მიხედვით. ერთი მესია მეორეს წაართმევს ძალას და მოაბეზრებს ებრაელებს თავს. ერთს დაუპირისპირებ მეორეს, ხალხს აურევ ჭკვასა და გონებას, თავის ბედს დავაწყევლინებ და ორივე მესიას შენს წინ დავამხობ. ჭეშმარიტ მეფედ ისევ შენ დაჰრჩები ტახტზე...

(ხმაურობა გარედან)

ხმაურობა. პური მოგვეცით არსობისა, პური მოგვეცით!

ირიდ. ეგ ხომ უარეს შიმშილში ჩააგდებს ხალხსა.

იუდა. მშიერთაც და მწყურვალთაც მე დავამშვიდებ. მათ ხომ საიქიო სწამთ, საიქიომდე მოვათმენინებ.

ირიდ. მაგ საქმეში ეძმე კაიაფას...

იუდა.
დიდათა გმადლობთ, მაგრამ უღელს ვერ გავწევ სხვასთან, ამიტომა გთხოვთ დამანებოთ მარტოს ეგ საქმე.

ირიდ.
რას იტყვი შენა, კაიაფა?

კაიაფა. დეე, იკისროს.

იუდა.
უამხანაგოდ შემიძლიან ვიხსნა ქვეყანა
გაუთავებელ შფოთისა და ტანჯვებისაგან:
ამ ხსნას, ამ შველას, ამ მესიას დღე-და-ღამ ველით!..

ირ0ოდ.
დღე-და-ღამ ელით?

იუდა. დიახ, დიახ: დღე-და-ღამ ველით...

ირ0ოდ.
ყველა ტანჯული თავის მხსნელსა მესიას ელის,
მაგრამ მის ნაცვლად მოდის ისევ მისი მტანჯველი.
დეე, ეგ საქმე, თუ კი ძალგიძს, შენზე ეკიდოს.

იუდა.
ჩემზე ეკიდოს, დიახ, დიახ, ჩემზე ეკიდოს.

(გადიან. იუდა მარტო)

ნუთუ არც ეხლა დამამკვიდრებს მეფე თვის გვერდით,
რათა უყურო მეფეთ ხასას მაგდალინელსა?
მის ხსენებაზე აგერ თვითონ მაგდალინელიც...

მაგდალინელი. (შემოდის)
მშვიდობა შენდა.

იუდა. დიდათ გმადლობ, გმადლობ მარიამ,
მაგრამ რა არის, რომ პირველად შენ მომესალმე?

მაგდალ.
კაცთმოყვარება ჩემი მხოლოდ, სხვა არაფერი.

იუდა.
მაშინ სად გქონდა მშვენიერსა კაცთმოყვარება,
როცა ბრწყინავდი სიყმაწვილით და მიყურებდი,
როგორც სამარეს, ზედ რომ დავალთ და არ კი ვიცით?..

მაგდალ.
მაშ რას მიაწერ შენ, იუდა, ჩემს ამგვარ ქცევას?
იუდა.
იმას, რომ მეფეთ გღეჭეს, გღეჭეს და დაღეჭილი
მიგიგდეს ფეხქვეშ ხელქვეითთა დასაოკებლად.
ეს ხელქვეითნიც, როცა ხულმთლად გამოგაღეჭენ
სიყმაწვილისა უკანასკნელ სიტურფის ნაშთებს,
ქალმის ტყლაპსავით გადგისვრიან შორს სასახლიდან...
მაგდალ.
იმდღეის აქეთ, რაც იუდას დიდი ამბოხი
ჩაახრჩეს სისხლში რომაელთა ჩვენის გაჟლეტით,
როგორც აჩრდილი იმ საზარელ უბედურების,
მუნჯად, შუბლშეკვრით დამდევ უკან... რა გინდა ჩემგან?
იუდა.
მე არც იმდენად პატარა ვარ და უნახველი,
გულთბილ სიტყვისთვის შევიყვარო ხნიერი ქალი,
მაგრამ არც ისე ბერ-მოხუცი — გოგონებს ვდიო...
მე შენ მინდიხარ, როგორც ბოზი — სხვა არაფერი.
მაგდალ.
იმ სისხლის შემდეგ სხვა სათქმელი არა გქონდა-რა?
იუდა.
ჰო, როგორ არა: ერთი კიდევ ის უნდა გითხრა,
რომ სწორედ იმ დღის იმ სისხლებში მოსვრილი სახე
შენმა ალერსმა შეუმშრალა ებრაელთ მტრებსა.
მაგდალ.
გამშორდი იქით! ეგღა მაკლდა, შენც გეთქვა ჩემთვის!
იუდა.
განა იქნება სასახლეში ისეთი ვინმე,
არა ჰრგებოდეს შენი ტურფა ტანის წყალობა?

მაგდალ.
მერე, შენ იცი, უგუნურო, რომ უბედურმა
ჩემმ სხეულით დავაყუჩე მტარვალთა რისხვა?!

იუდა.
მითომ როგორა? შენ გინდა სთქვა, რომ ებრაელებს,
ვით მშვენიერმა ქალიშვილმა ფარაონ ხეოპსს,
ტანის გაყიდვით აღუშენე საცხოვნებელი?

მაგდალ.
ეგ მე არ ვიცი.

იუდა. თუ არ იცი, უნდა ისწავლო.
თურმე ხეოპსსა, როს აგებდა თვის პირამიდას,
უცბად ხაზინა დაეფუკა ზედ შუა გზაზე
და მშენებლობა, თუმც აღწევდა ადლს მხოლოდ შვიდასს,
შეჩერდა, როგორც ცეცხლის მფრქვეევი მთის სილამაზე.
მაშინ აიღო ხეოპსმა და თვის ქალი თოეს,
სახელგანთქმული სილამაზით, ვით მაგდალინა,
გადაულოცა მოსახმარად საროსკიპოებს
და თან ეს საქმე მთელს ეგვიპტეს შეატყობინა...
შენ რა გგონია? გაიტენა ხაზინა ხელად!
კვლავ ამოძრავდა ის მანქანა, ტიტანს რო ჰქმნიდა
და თავის მამას საიქიო საცხოვრებელად
ტურფა თოესმა დაუმთავრა ეს პირამიდა.
მაგრამ ასულმა თავის სულიც არ დაივიწყა,
ხოლო, რადგანაც ნაბოზარი შემოსავალი
მამის ბრძანებით იყო მხოლოდ მის ხაზინისა,
ასე მოიქცა მშვენიერი, ხეოპსის ქალი:
ტრფობისთვის მისულთ ფულთან ისიც დაადო კისრად,
ყოველს მისვლაზე მიეტანათ თან ლოდი გრძელი
და, რა მიუგო ხეოპსის გულს, რაც ჰქონდა მიზნად,

მან თავის სულსაც აღუშენა საცხოვნებელი.
შენც თუ ჰქმენ ასე?..

მაგდალ. რას დაძრწი აქ, მეფეთა შორის?..

იუდა.
იმისთვისა, რომ იმათ შორის დაჰკარგე ფასი,
აღარც ქუჩაში გექნება ის მათს გამონაცვალს
და მაშინ? მაშინ?.. მე მაშინაც არ შემიყვარებ?!.
აი ამისთვის ამოვედი მე სასახლეში!
ესეც იცოდე, დაგიმტკიცებ, რომ მეფეებზე
არ ვარ ნაკლები და შენს ტრფობას დავიმსახურებ...
მანამ კი... მოდი, ერთხელ მაინც გაკოცებ ეხლა...

მაგდალ.
გამიშვი ხელი! მე არა მსურს იფიქროს ვინმე,
რომ საერთო რამ მქონდეს შენებრ არარა კაცთან.

(გადის)

იუდა.
არარასთანო. ჩემზე ამბობს ეს უნამუსო.
იყავი წყეულ უკუნითი უკუნისამდე,
მაგრამ გიჩვენებ თუ როგორი არარა ვარ მე!

მეოთხე მოქმედება

სურათი I

დამტვრეულ ღმერთთან

1-ლი მონა. მონებო.

2 მონა. რა გინდა, ნუ მოგვაცდენ, თორემ ფარისევლები მოვლენ და სამ დღეს კიდევ დაგვყრიან მშივრებს, ბევრი არ გაგიკეთებიათო; თავათ ცხრა თვეა ვაშენებთ და ვერ აგვიშენებია.

1-ლი მონა. მე თქვენ კარგ რამეს გასწავლით, თუ არ გამცემთ.

2 მონა. თუ კარგია, არ გაგცემთ.

1-ლი მონა. რომაელების ეს ღმერთი ჩვენ დავამტვრიეთ, ეხლა ისევ ჩვენ გვაშენებინებენ. ცხრა თვეა ვაშენებთ, შენი თქმისა არ იყოს, და...

2 მონა. მერე?

1-ლი მონა. მერე და, რასაც უნდათ, იმას გვიშვრებიან. ლევიტიდან მოყოლებული კაიაფამდე, და ფარისევლიდან კეისრამდე ყველა ჩვენს ზურგზე დადის.

2 მონა. მერე?

1-ლი მონა. მერე და აბა რა გააკეთე გუშინს აქეთ მშიერმა? საცაა მოვლენ ირროდისაგან დატუქსული ფარისევლები და, რომ არაფერი მოგვცენ, შარს მოგვდებენ, არ გიმუშავნიათო, ჩვენ გაგვყრიან, ახლა სხვებს ამუშავებენ მუქთად და როდემდის უნდა ვიყოთ ასე?

2 მონა. მერე?

1-ლი მონა. მერე და ხომ იცით გალილეაში ჩვენი მხსნელი მოსულა.

2 მონა. ვიცით.

1-ლი მონა. გავიპარნეთ...

(ისმის გარედან ხმა)

ხმა. არ გაპატიებ, არა მეთქი, არ გაპატიებ!

1-ლი მონა. ჰა, გავიპარნეთ, თორემ მოდიან... ჩქარა მონებო...

(დაჰყრიან იარაღს და გაიპარებიან. შემოდიან მ ა ი ა და ი ო ს ე ბ ი. იოსები იმეორებს: „არ გაპატიებ, არა მეთქი"...)

იოსები.

თხის რქა წავიდა ჩვენის ცით-და მალე მერწყული
გამოანათებს, შენ კი, როცა წახვედი დასთან,
ლომი ბრწყინავდა ღამღამობით ზაფხულის ცაში
და ირეოდა კალოებზე ხალხი ყიჟინით...
აქამდე რისთვის დაჰყოვნე იქ? მაგისათვისა,
რომ ორსულობა გსურდა სხვისგან ჩემზე დანიშნულს?
აი, დავწერე განტევების ქაღალდი შენი...

მაია.

იოსებ ჩემო! რომ იცოდე, არ აკადრებდი
ჩემს მუცლის ნაყოფს მაგ საყვედურს ესრედ უკმეხად.
გეტყვი ყოველსა საიდუმლოს უმანკოს, ცისას,
ოღონდ ამ ამბავს ქუდმოხდილმა უნდა უსმინო.

(ი ო ს ე ბ ი ქუდს იხდის და მ ა ი ა დიდის იდუმალებით უამბობს)

დასთან ყოფნის დროს, ერთ წყნარ ღამეს მოვიდა ჩემთან ანგელოსი და სიხარულით გამომიცხადა: „გიხა-როდენ მიმადლებულო, უფალი შენთან არის და კურთ-

ხეულ ხარ დედათა შორის“. მე შევძრწუნდი ამ სიტყვაზე და უთხარ: „რას ნიშნავს ასეთი მოკითხვა მეთქი“. მან მიპასუხა: „ნუ გეშინიან მაია, რადგანაც ჰპოვე მადლი წინაშე ღმრთისა, რათა მუცლად იღო და ჰშვა ძე, რომელსაც უწოდებ სახელად იოსოსაო. იგი იქნება შვილიო უფლისა მაღლისა და მას მისცემს ღმერთი საყდარს მამისას, დავითისას და იმეფებს იგი იაკობის სახლზე საუკუნოდ და სუფევას მისსას არ ექნება დასასრულიო“. და უთხარ მე ანგელოსსა მას: „როგორ იყოს ეს ჩემზე, როდესაც მე მამაკაცი არ ვიცი“ და მომიგო მან: „სული წმიდა მოვა შენზე და ძალი უფლისა დაგიფარავსო შენ“. აი, ხომ ჰხედავ, თქმული აღსრულდა.

იოსები. (ხელებს აღაპყრობს).

ღმერთო, შემინდე შეცოდებანი უნებლიეთნი!.. მოსულა ჟამი წინასწარმეტყველთაგან თქმულის აღსრულებისა!

მაია. ამინ! ამინ!

იოსები. მაშ როგორ წავიდეთ ბეთლემს, თუ მოწეულია ჟამი უფლის შობისა?

მაია. ბეთლემს?

იოსები. ჰო, ბეთლემს. ამას გვავალებს სამსახური, რადგან ყოველი მოვალეა, მივიდეს თვის ქალაქად აღწერისათვის.

მაია. ღვთის ნება არის ალბად ესეც. წავიდეთ.

იოსები. მძიმე იქნება შორი გზა შენთვის.

მაია. რა უყოთ: ღმერთი შემაძლებინებს.

იოსები. მაშ წავიდეთ.

მაია. წავიდეთ.

(მათი გასვლის შემდეგ ისმის ხმაურობა ბ რ ბ ო ს ი, „დიდრაქმაზე“ ყაყანებენ. შემოდის ხალხი ელიაზარის წინამძღოლობით. მათში

არიანი საწყლად გადაცმული ფ ა რ ი ს ე ვ ე ლ - მ წ ი გ ნ ო-
ბ ა რ ნ ი და სხვანი).

ელიაზარ.

მონა - ტანჯულნო გადასახად - დიდრაქმისაგან!
მრავალგზის ჩაგვრით ჩაცვივნილნო შიმშილ - წყურვილში,
წამოდით ჩემთან: გალილეად გვიხმობს მესია.

(გაპარული მ ო ნ ე ბ ი ც უერთდებიან მათ)

ყველანი.

წაგვიყვა რაბი, წინ გაგვიძეხ!

(ი უ დ ა შემოსდევს ი ა კ ო ბ ს)

იუდა. სად მიხვალ შენა?

იაკობ.

უნდა გავექცე დიდრაქმასა და სილატაკეს...

იუდა. (აწვდის ფულს).

აჰა, მიეცი ფარისეველთ გადასახადი...

იაკობ.

ვალებშიც გინდა ჩამაყენო? არა ძმავ, არა!

იუდა.

ვალად არ გაძლევ, წმინდა ძმური დახმარებაა
და წმინდათაც მწამს, რომ ამ ძმობის სანთელ - საკმელი
გზას არ დაჰკარგავს... ნუ ყოყმანობ, აჰა დაიჭი.

(მისცემს. ი უ დ ა სხვა მხარეს გადის, ი ა კ ო ბ ი
სხვა მხარეს).

ელიაზარ.

თქვენ, ტვირთმძიმენო! მიაფურთხეთ იერუსალიმს,
რომელმაც მტერი შეითვისა და თვისნი დაჰგმო.
ახსენეთ ღმერთი და მომყევით თქვენს მოძღვარს უკან.

(გადიან ე ლ ი ა ზ ა რ და მ ო ნ ე ბ ი)

ფარისეველი.

შევატყობინოთ ცენტურიონს ამბავი ესე.

მწიგნობარი.
არა, სჯობია თან გავყვეთ და თვალი ვადევნოთ.

მლვდელი.
როგორ გაექცნენ დიდრაქმასა და გადასახადს!

ლევიტელი.
ამ საწყალთაგან გვიდგა სული და თუ ეგენი
დავკარგეთ მართლა — უეჭველად დავიღუპებით.

სადუკეველი.
ფეხდაფეხ მივყვეთ, თორემ გზა-კვალს ვეღარ მივაგნებთ.

(გადიან ყველანი)

სურათი II

მწყემსთა ფარეხებთან.

1-ლი მწყემსი.
ამ გაუქმებულ ფარეხებთან რიღასთვის ვდგევართ!
წავიდეთ იქით, ცხვარს მივხედოთ.

2 მწყემსი. ამინ, მივხედოთ,
თორემ ზამთარი უბალახო შორს გაიტყუებს.

(გადიან. ისმის სალამური. შემოდიან ი ო ს ე ბ და მ ა ი ა)

მაია.
ეს რა გზებია დახვლანჯული... სწორედ მივდივართ?

იოსებ.
სწორედ მივდივართ: ეს გზა მიდის ბეთლემისაკენ,
ეს კიდევ ასე, ნაზარეთით გალილეაში —
ჩვენ ვიმყოფებით ოთხი კუთხის გზაჯვარედინზე,
რომელსაც უწინ ებრაულად საკვანძო ერქვა,
ეხლა რომაელთ მას თავისი სახელი დასდეს, —
ხოლო გომები ბეთლეემელ მწყემსებისაა!..

მაია.
როგორ მეამა! ამ გომების დანახვამ გულში
ისეთი გრძნობა ჩამიყენა, თითქო შინ მიველ...
(დაჯდება)
ვაი!

იოსებ. რა იყო?

მაია. გულ - მუცელი მთლად შემირყია.

იოსებ. რამ?

მაია. შობას იწყებს.

იოსებ. რა ვქნათ ეხლა?

მაია. რა უნდა ვქნათ — მე გომში შევალ
და, ვით წესია, სანამა ვშობ, აქ დამიცადე.
(ი ო ს ე ბ ი გარეულ რჩება და მ ა ი ა შედის გომში)

იოსებ.
ღმერთო, შენა ხარ კაცთმოყვარე და შენა ჰბადებ
შენივე სახის ადამიანს შენს სადიდებლად,
ხოლო ეს ჩემი დანიშნული თუ კი შენს შვილს ჰშობს...
(შემოდიან ა რ ფ ა ქ ს და ნ ა თ ა ნ ა ი ლ).

არფაქს. ან ფული, ან სული!

იოსებ. ფული არა მაქვს და სული, თუ გამოგადგება, აჰა, წაიღე.

ნათანაილ. რა ჭირად მინდა ეგ შენი სული. მოიტა ფული!

იოსებ. აი ძმაო: ეს ჩემი ჯიბეები და ეგ თქვენ — გასინჯეთ.
(გადმოუბრუნებენ ჯიბეებს და შიგ ჩაუფურთხებენ)

ნათანაილ. ფუ, შენს კაცობას! სინკლიც არ უგდია შიგ!

იოსებ. ეხლა დაიჯერე?

ნათანაილ. დავიჯერე და სწორედ მაგიტომ ალალია შენზე ფეხი მოგტეხოთ: რას დაეთრევი უფულოდ ამ ქვეყანაში!

იოსებ. ჩემი ბრალია, რომ ღარიბი ვარ?

ნათან. მაშ ვისი?!

არფაქს. დაარტყი, ნათანაილ, ფეხში კეტი.

იოსები. რათა ძმაო, შემიბრალეთ, ებრაელები არა ხართ?

არფაქს. ჩვენთვის ყველა ერთია... ნათანაილ, დაარტყი კეტი.

იოსები. გემუდარებით, შემიბრალეთ.

არფაქს. რა შესაბრალისი ხარ, სინკლი არ გიდევს ჯიბეში... დაარტყი მეთქი ნათანაილ.

იოსებ. ვაიმე, მიშველეთ!

არფაქს. ჩუმად!

(წაუჭერს ყელში და გადაათრევენ გზიდან)

გარედან. მიშველეთ...

(ცოტა ხანს შემდეგ შემოდიან უკანვე ა რ ფ ა ქ ს და ნ ა თ ა ნ ა ი ლ).

არფაქს. მე შენ ფეხში გითხარ და თავში კი დაჰკარ... აბა უყურე, მგონი გზაზე ვილაცანი მოდიან, თითქო მთელი ქვეყანა დაძრულიყოს... ვინ უნდა იყვნენ?..

ნათანაილ. წავიდეთ, თორემ ბევრნი არიან და დაგვიჭერენ.

(გარბიან).

ხმა გარედან. მიშველეთ, ვინა ხართ ადამიანი!..

(ბრბოს ყრუ და გაურკვეველი ხმა ახლოვდება. დაჭრილი ჯერ ხშირად კვნესის და შემდეგ ხანდახმით).

ბრბოს ხმაური. აქეთ, აქეთ, გომებისაკენ, გომებთან დავისვენოთ.

— არა, აქა სჯობია.

— სულაც არ არის საჭირო დასვენება.

დაკოდილის ხმა. მიშველეთ...

ბრბოს ხმაური. დავისვენოთ, დაუსვენებელი მგზავრობა ხომ არ დაგვიმკვიდრებს საუკუნო ცხოვრებას!

— გზა კიდევ გრძელია!

— აქეთკენ მოდით!

(შემოდიან).

— აქ დავისვენოთ!

ელიაზარ.

რაკი დევნილნი ვეღარ შევრჩით იერუსალიმს,
აქ დასვენებამ წმინდა მგზავრებს შეგვმატოს ძალა
დიდი ღმერთისთვის გზის განგრძობად გალილეისკენ.

ფარის.

რაბი, აგვიხსენ და გვასწავლე, რა დაგვიმკვიდრებს
ადამის შვილებს საუკუნო ცხოვრებას ქვეყნად?

ელიაზარ.

როგორ სწერია სჯულის წიგნში?

ბრბოდან.

სწერია ასე:
შეიყვარე უფალი ღმერთი შენი
ყოვლითა გულითა შენითა,
და ყოვლითა სულითა შენითა,

და ყოვლითა ძალითა შენითა,
და ყოვლითა გონებითა შენითა
და მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისი.

ელიაზარ. მართალს მომიგებ: მაგას იქმოდეთ და ცხონ-
დებით.

ფარის. მაგრამ ვინ არის მოყვასი ჩემი?

დაკოდილის ხმა. მიშველეთ...

ელიაზარ. ვილაცა კვნესის...

მღვდელი. წავალ და ვნახავ, ვინ არის იგი. (გადის)

ელიაზარ. (იყურება შორს)
იქიდან კი ვილაც მოსდევს ჩვენს კვალს ფეხდაფეხ;
ვირზე ზის იგი... ვინ დაგვრჩა უკან?
ხმები. არავინ რაბი... ვინ უნდა იყოს?..

ფარის. ებრაელსა ჰგავს მგზავრს შემთხვევითსა.

(შემოდის მ ღ ვ დ ე ლ ი)

მღვდელი. ებრაელია იგი მკვნესარე ავაზაკთაგან დაკო-
დილი, მაგრამ ნათესავი არ არის ჩემი, არცა მოყვასი.

დაკოდილის ხმა. მიშველეთ...

ლევიტელი. წავალ მეც ვნახავ. (გადის)

ფარის. მომავალი იგი ებრაელს არა ჰგავს.

მღვდელი. ავაზაკსა ჰგავს.

ელიაზარ. ტანსამოსი აქვს სამარიტელთა.

ფარის. სამარიტელთ კი ეჯავრებათ ებრაელები
სწორედ ისევე, ვით ებრაელთ სამარიტელნი.

ელიაზარ. სამარიტელია.

(ყველანი იმეორებენ „სამარიტელია“)

სამარიტელი. (შემოდის) ბეთლემის გზა რომელია?

მღვდელი. არ ვიცი...

(შემოდის ლ ე ვ ი ტ ი)

ლევიტ. ებრაელია იგი დაჭრილი, მაგრამ არ არის მოყვასი ჩემი, არც ნათესავი...

დაკოდილის ხმა. მიშველეთ...

სამარიტელი. ვინ კვნესის იქა, ვინ ითხოვს შველას, ან რასა დგეხართ და არ მიჰხედავთ... გული-არა გაქვთ?

დაკოდილის ხმა. მიშველეთ... ვინა ხართ ადამიანი...

სამარიტელი. წავალ მე ვნახავ (გადის)

ელიაზარ. ერთმა თქვენგანმა მკითხა, ვინ არის მოყვასი ჩემიო?

ფარის. დიახ, ვინ არის მოყვასი ჩვენი?

ელიაზ. არა მარტოდენ ძმა და ნათესავი არის მოყვასი...

მღვდელი. მაშ კიდევ ვინა?

ელიაზარ. მომისმინეთ. ჩვენ ყველანი ვართ ადამის და აბრამის ძენი...

სამარიტელი. (შემოიტანს ხელით დ ა კ ო დ ი ლ ს) თავში დაურტყამთ შეჩვენებულთ. ვაიმე ძმაო. შეგიხვევ ჭრილობას, წაგიყვან ჩემთან, გაგამთელებ ჩემს ხარჯზე და გაგიშვებ ღვთის სადიდებლად... თქვენ კი -- უგნურნო, ერთს რომ იტყვით და მეორეს სჩადით!..

დაკოდილი. (ხრიალებს და ხმას ვეღარ იღებს)

სამარიტელი. ხმას ვეღარ იღებს. ნუთუ მოკვდება?.. მოკვდა... მიშველეთ მაინც, ვირს გადავკიდოთ. მკვდარს უპატრონებ...

(გააქვთ ვირზე გადასაკიდებლად)

ელიაზარ. მღვდელნო, ლევიტელნო და ყოველნო კაცნო, ვინ არის მოყვასი უბედურის ებრაელისა?

ხმები. სამარიტელი.

ელიაზარ. სამარიტელთ კი ეჯავრებათ ებრაელები... ეხლა მითხარით: სამარიტელი დაიმკვიდრებს საუკუნო ცხოვრებას და ცხონდება?

ხმები. ამინ, ამინ! ცხონდება.

ელიაზარ.
ამას ჰქადაგებს მესია სჯულს გალილეაში
და ასე უნდა მოიქცეთ თქვენც, მის მიმდევარნი.
ვისაც არა გწამთ ეს და მისი ხართ უარმყოფი,
წადით უკანვე, ნუ შეჰბღალავთ გალილეასა.
მონები უნდა მონობისგან განთავისუფლდნენ...

ხმები.
ეგ ყველას გვინდა! გაუმარჯოს! ამინ მესიას!

ფარის.
არა, მონები ვისგან უნდა განთავისუფლდნენ?

ელიაზარ.
სუყველასაგან: კეისრისგან, მწიგნობართაგან,
ფარისეველთა ხარჯებისგან და დიდრაქმისგან.

ფარის.
არა, არ მომწონს... ეგ მესიას არა ჰგავს სრულად
და იმას ნიშნავს, არ ავკრიფოთ გადასახადიც...
მაშინ ხომ გვიჯობს სინაიდან ჩავცვივდეთ ზღვაში!

(ელ ი ა ზ ა რ ი აკვირდება ფარისეველს)

ელიაზარ.
ხმაზე ვცნობ, მაგრამ ტანთსამოსზე ველარ მიცვნია...

მწიგნობარი.
რაო, რა თქვა მან?

(შეუმჩნევლად გაჩნდება იუდა)

ფარის. აქლემივით რაღაცას ჰლეჭავს.

ენოქ.
მეც მათქმევინეთ.

ფარის. რა უნდა სთქვა შე საცოდავო,
შენი სათქმელი არის „არა“, ან კიდევ „ჰოო“.

ხმა.
ვინ არის, ვინა ეგ კიტრანა, შხამებს რო აფრქვევს.

ენოქ.
შხამებს კი არა, მართალს ამბობს: ჩვენ მონები ვართ.

ხალხი.
შენც მართალს ამბობ!

ენოქ.
თუ აგრეა, მაშ მათქმევინეთ.

ყველანი.
ვნახოთ, რას იტყვის... თქვი, ჯანდაბას!

ენოქ. ქვეყანა ესე
იაკობისა განთქმულია და მწიგნობარი...

ფარის.
უჰ, ეგ რამსიგძე ზღაპარს მოჰყვა ბაბუასავით!

ენოქ.
ყური დამიგდეთ... მონები ვართ და ხარჯებისგან
სუნთქვაშეკრულნი ბატონების ხელში ვიხრჩობით...

ფარის.
ცულისთვის სათქმელს სულზე ამბობს და ფუჭად გვაცდენს...

ენოქ.
დამიგდეთ ყური!.. არა გვთვლიან ადამიანად
ფარისევლები და სულ იმას გაიძახიან,
დავით მეფემო ააყვავა ჩვენი ქვეყანა,
მაგრამ რა იყო, რას ნიშნავდა ეს აყვავება...

ფარის.
ჩუმად შე ბრიყვო! როგორ ჰკადრებ მეფეთა მეფეს!?

ენოქ.
თუ კი მე საწყალს, ყმას და მონას ხმას მაწყვეტინებთ,
რა პირით მიხვალთ გალილეას ცით მოსულ ღმერთთან?
განა ის ჩვენი მესია და მხსნელი არ არის?!.

ფარის.
ხომ არა გნებავს ისრაელთა მეფედ დაგსვას მან?..

ენოქ.
მეფობა არ მსურს, არც სიმდიდრე არავითარი,
ხოლო ჩვენმა მზემ, აშკარაა, მოსვლა ინება
და ყოველივე ეს მოვლენა მხოლოდ ის არი,
რომ ჩვენ მესია გალილეით მოგვევლინება.
სხვაგან არ წავალთ, ჩვენს მიწაში დავიმარხებით
და გამარჯვება უბედურთა უბედურთ გწამდეთ.
ამიტომ ჩემის სხეულის და ჭკუის ძარღვებით
დაუკავშირდი გალილეას უკუნისამდე...

ხმები. ამინ! ამინ! ამინ!

იუდა. ძაან ცხარედ ამბობს ლექსსა, მაგრამ ბრძოლიდან გამოქცევაში ვერავინ აჯობებს. როგორ მეჯავრებიან ეს ტრაბახები!

ფარის. თქვენ მშიერ-მწყურვალნი ხართ და, როდესაც ტანზე გიყურებთ, სამოთხიდან გამორეკილ ადამ-და-ევას მაგონებთ ამ ზამთარში.

ენოქ. სამაგიეროდ ფარისევლებს, სადუკევლებს, მწიგნობრებს და მღვდლებს აცვიათ კიდეც, ჰხურავთ კიდეც, დიდი ღიპებიცა აქვთ.

მაწანწალა. თითო ღიპში თითო სოფელი ჩაეტევათ. — ოჰხ მაგათი...

ფარის. თქვენივე ბრალია.

ხმები. როგორ?

ფარის. აგიხსნით: მცირესა ზედან სარწმუნო ჰყავ და მრავალსა ზედან დაგადგენო. თქვენ კი რომის იმპერიის დამხობაცა გსურთ. ამას თქვენ ვერ შესძლებთ.

(ელიაზარი ყურებს აცქვეტს)

ხმები. უსჯულო იქნება ეგა!
— ფარისეველი იქნება!

ყველანი. არ გვინდა ეგა!

ფარის. ჩვენც არ გვინდა, მაგრამ... ალბად ბედს უნდა... ბედი კი ღმერთს უდგას გვერდით...

ენოქ. ბედს კი არ უნდა...

ფარის. დიახ, დიახ, ბედს უნდა... უნდა დაევმორჩილოთ რომაელთა იმპერიას, მის კანონებს, მის ჩვეულებებს...

ენოქ. იმათ ღმერთებსაც?

ფარის. თუ საჭიროა — იმათ ღმერთებსაც!

მაწანწალა. აგანგალა - განგალა!

ყველანი. არ გვინდა ეგა!

(ელიაზარი შეშფოთებული ცახცახით ადის მაღლა)

ელიაზ.
აბრამის ძენო!

ხმები.

სმენა იყოს და გაგონება.

ელიაზ.

აი ამ ხალხსა, ჩვენს სამტროდ რომ ლაპარაკობენ,
ფარისეველთა შხამნარევი დაღი ატყვიათ...

ხმები.

აკი გითხარით: უსჯულონი ყოფილან მართლა.
-- დაწყნარდით, ჩუმათ! მოუსმინეთ ელიაზარსა.

ელიაზ.

ებრაელების სადღეგრძელოდ დამიგდეთ ყური.
მეფე იროდმა მოისყიდა ფარისეველნი
და დაავალა რომის საქმე აკეთონ ჩვენში...
იქნებ ისინი გამოგვყვნენ თან, ვით ჯაშუშები!

(ფ ა რ ი ს ე ვ ე ლ ნ ი, მ ღ ვ დ ე ლ - მ წ ი გ ნ ო ბ ა რ ნ ი
მოიხდიან ნიღაბს)

ფარის.

არა, ეგ სცრუობს! არც სყიდვით და არც ჯაშუშობით,
არამედ ჩვენივ საკუთარ ჭკვით ვაკეთებთ ამას
ებრაელების სასიცოცხლოდ, საკეთილდღეოდ!

ელიაზ.

არ დაუჯეროთ, ებრაელნო, მოსყიდულებსა...
არ დაუჯეროთ!.. ჯოჯოხეთი თავის ცოდვებით
აგვდევნებია, ვით მაცდური, სულის წამწყმედი,
რათა სინათლის წმიდა გზიდან ჩაგვყაროს ბნელში!
რათა დაგვიხშოს ყოველივე სულის განმწმედი!

ფარის.

ჰი, თქვენ კი არა, ჩვენა ვდგევართ სინათლის გზაზე!

ელიაზ.

თქვენ გეენა ხართ და სატანა უსჯულოების,
ჭკუას გვიბნელებთ, სიკეთისთვის გვეტყვით სამძიმართ,

რათა ბრმად ქმნილნი უკეთესად მოზიარე გყოთ
ჩვენივე თავის გასყიდვისა ეშმაკთა მიმართ.
თქვენ ჩვენი სისხლით იკლავთ წყურვილს განუსაზღვრელსა!
თქვენ ჩვენი ხორცით იკვებებით გაუმაძღარნი
და იმ ოქროში, რომელსაცა გთავაზობთ რომი,
ჩაქსოვილია ჩვენი გული ტანჯვით დამჭკნარი.
იმავ ოქროში ჩვენი ცრემლი სისხლისფრად ბზინავს!
იმავ ოქროში ვჭვრეტთ მომავლის შხამის ფიალებს!
იგივე ოქრო ჩვენი დედის ძუძუებს ჰყინავს!
იგივე ოქრო ნამუსახდილთ ხმებად წკრიალებს,
და მის დისკოდან პირქუში და წყვდიადის ფერი,
და მის დისკოდან დამპყრობი და მარადჟამ მრუში,
ჩვენი შვილების მონად ფლობა გამოიმზერის,
რომელსაც ქვემოდ აწერია: „ტიბერიუსი“...
ტიბერიუსი... ხალხთ მყლაპავი...

ენოქ. უჰ, როგორა თრთის!

ელიაზ.
იუდეველნო! ტიბერიის ოქროთი მთვრალნი
და მოსყიდულნი გყიდიან თქვენ... არ დაუჯეროთ!
და თუ ეჭვს ჰბადებს ჩემი სიტყვა ზრუნვით აღსავსე...

ენოქ.
მუხლთ ეკვეთება...

ელიაზ. ან მსხვერპლს ითხოვთ მართლის საწინდრად,
თავს დავდებ თქვენ წინ... ოღონდ ამათ არ დაუჯეროთ...
არ დაუჯეროთ... მოსყიდულნი არიან მეთქი...
არ დაუჯეროთ...

(ძირს დაეშვება)

ხმები. ძირს დაეშო...

(გარს ეხვევიან)

ელიაზ. არ დაუჯეროთ...

კითხვები. ცოცხალი არის?

— რა დაემართა?

— გული გაუსქდა.

— მოკვდა.

— მოკვდა?.. — მოკვდაო!

ყველანი. დიახ, მოკვდა ჩვენი მოძღვარი.

ფარის.

მეწამული ზღვა, მოსეს კვერთხით შუა განხმული,
შეერთებულ არს და ჩვენ ვრჩებით გაღმა-გამოღმა.
ჩვენ გავიპარნეთ, გაუხეთქეთ რა მოძღვარს გული.

(გაიპარებიან)

ენოქ.

მესიის გზაზე აღესრულა მოძღვარი ესე
და მისი სული მესიასვე შეუერთდება...
კუბო შეუკრათ ლასტებისა და აქვე დავფლათ,
ვით მიმავალი გალილეას მესიისათვის...

ხმა.

ენოქ, ლასტები თვითონ შენვე მოძებნე გომში...

(ენოქი საჩქაროდ შედის გომში)

სურათი III

გომში

ბაგაში წევს ყრმა მაიასი, დედა დაჰყურებს ახლად შობილს

ენოქ. დიდება საკვირველებას! რასა ვხედავ!

მაია. ჩუმად, ჩუმად! იშვა იესო, მაცხოვარი, მესია თქვენი...

ენოქ. მესია? მესია ხომ გალილეაშია!

მაია. არა, ის მესია არ არის, ის წინასწარმეტყველია მხოლოდ, რომელიც ელოდა ამას... თაყვანი ეცი...

ენოქ. თაყვანს გცემ შენ, თაყვანს გცემ შენ, თაყვანს გცემ შენ.

მაია. მარტო ხარ შენა?

ენოქ. არა. (გასძახებს გარეთ) ძმანო, სჯულის გზად მიმავალნო, შემოკრბით აქა თაყვანისცემად ჩვენის ღმერთის, მაცხოვარისა.

(შემოდიან სუყველანი)

აჰა, აღსრულდა ისაიას წინასწართქმული!
დღევანდელი დღე უმოკლესი დღე არის წლისა,
რომელიც იწყებს მობრუნებას, გადიდებასა
და, როგორც უთქვამს მირონცხებულ წინასწარმეტყველს,
წლის ახალ დღესთან უნდა იშვას თვითონ ღმერთიცო,
აღსრულებულა: მწყემსთა გომში შობილა იგი.
აჰათ, იხილეთ და, როგორც ღმერთს, თაყვანი ეცით.

ყველანი. დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება.

მაია. ერნო, წადით ქალაქიდან ქალაქად, სოფლიდან სოფლად სასოებითა იესოს მიერ, ხოლო ადგილი შობისა არ აცნობოთ ირودს, რომელიც მტერია მეფეთა შობისა.

ენოქ. ღვთისმშობელო, შენ მარტო ხარ და მიიღე შველა ჩვენი.

მაია. არა, მარტო არა ვარ, ღმერთი ჩემთან არს და ამაოა შველა ჩემი გარეშე ღმრთისა.

ენოქ. მაშ ვახაროთ სასწაული ელიაზარსა.

ყველანი. ვახაროთ.

(შემოასვენებენ ელიაზარს)

ენოქ. (ელიაზარის ცხედარს)
რაბი, შენს აღსრულებას მოჰყვა სიცოცხლე, სხივი უკვდავი და ნათელი დაუღამებელი...

ყველანი. ალილო! ოცდახუთსა ამ თვესა, ქრისტე დაბადებულა... სახლო, ღმერთმა აგაშენოს, მადლი მახაროებელსა.

(ხელს ელიაზარზე იშვერენ ბოლო სიტყვებთან)

სურათი IV

ირودთან

კინო უჩვენებს ებრაელთა ტაძრების გაძარცვას და ერთი მათგანის დაწვას რომაელ ჯარისკაცების მიერ.

ირود. რა იცი იუდა! რას მეტყვი შენი პირობისას!

იუდა. აქლემებმა უდაბნოს გავლა იციან, რომაელთ — თავის ღმერთების პატივი და მე ჩემი საქმე კიდეც ვიცი, კიდეც გამეგება. აი მეფეო, ჰხედავ ამ პატარა მცნებათა ფიცარს? ამ წინასწარმეტყველთა ჩანგლით ებრაელთა ქვეყნისოდენა თევზს დავიჭერ შენთვის, შენ კი, ვისაც გნებავდეს, მიართვი იგი.

ირود. რომის ღმერთები გწყალობდნენ.

იუდა. მადლობას მოგახსენებთ, მაგრამ უფრო ემჯობინებოდა, ჯერ ხაზინას გაეღო ჩემთვის წყალობა.

ირود. მაგისთვის მიჰმართე კაიაფას.

(იუდა გადის)

რა თავგანწირულ მზრუნველობას მთავაზობს იგი!
ვერ კი მივმხვდარვარ რისთვის? რათა? რა მიზანი აქვს?

(შემოდის პ ი ლ ა ტ ე)

პილატ.

ებრაელთ მეფევ! ამ ბოლო დროს ცუდი ამბების
ჟანგი შეუჩნდა მაგ შენ სახელს, შენსა გვირგვინსა.

ირ ო დ.

როგორ?

პ ი ლ ა ტ. სიმკაცრეს თურმე შენსას შეუდგა წყალი
და მოარბილა, ამავე დროს ყველა ტაძრები
გაგიძარცვია ებრაელთა უსასტიკესად,
ისიც რომაელ ჯარისკაცთა დახმარებითა...

ირ ო დ.

თუ პომპეუსმა დაპყრობილნი გაძარცვა ერნი
და იმ ნაძარცვით დაამარცხა მიტრიდატ მეფე,
რატომ არა მაქვს მეც უფლება ასე მოვიქცე
მესიისაგან ჭკვაზე შეშლილ ებრაელთ მიმართ?!

პ ი ლ ა ტ.

ეგ ყველაფერი შეგიძლიან, მაგრამ იმგვარად,
რომ რომაელნი არ სჩანდნენ შიგ და ყოველივე
ებრაელთავე ედოთ ბრალად, დანაშაულად. —
საჯაროდ უნდა აღვიარო შენი შეცდომა!

(პ ი ლ ა ტ ე გადის)

ირ ო დ.

ებრაელნი კი მე მწყევლიან და არ იციან
ამ ამღვრეული ჩვენი ყოფნის თავი და ბოლო!
წყეულიმც იყოს ქვეყნად ყველა ჩემგვარი მეფე!..

სურათი V

მოედანი ტაძრის წინ

თომა. გაიგე თორა?

თორა. გავიგე: ერთი ტაძარი დასწვეს, დანარჩენები გაძარცვეს...

თომა. მაშ იმასაც გაიგებდი, რომ ბეთლემს, მწყემსების გომში დაბადებულა ჩვენი მხსნელი, ჩვენი მესია. იქიდან დაბრუნებულებმა თქვეს.

თორა. მართლა?

თომა. ჭეშმარიტად! თვით ელიაზარი გარდაიცვალა თურმე მესიად... ასე ამბობენ, თორემ მე არც კი მჯერა.

ყველანი. ღმერთო მოგვხედე!

თომა. ამინ!.. იმასაც ამბობენ, ვითომც მესია გალილეას წასულიყოს, სადაც გაპარულ მონებს მოუყრიათ თავი.

ხმები. ნეტა იმათ!

თომა. არ გეყურებათ? მოდი და ჩვენც წავიდეთ გალილეას. ნუთუ არ მოგძულდათ ფარისეველთა ცბიერი ლოცვების გამოფენა ამ ტაძრებში ქვეყნის მოსატყუებლად? ნამეტნავად ეხლა, როცა გაიგეს, მესია მოსულაო.

ხმები. სწორედ მოგვძულდა...

თომა. აგერ, უყურეთ: მაწანწალებს — ამ მოწყალების მონებს — ხელკუბოთი მოჰყავთ ფარისეველი სალოცავად...

ხმები. ხალხის მყვლეფელნი!.. წავიდეთ გალილეას!

თომა. თუ ნამდვილს ამბობთ, ბარემ ყველას შევატყობინოთ.

ხმები. შევატყობინოთ!

(გადიან. მაწანწალებს შემოჰყავთ ფარისეველი)

ფარის. ღმერთი მაღალია და მხოლოდ მაღალთა ლოცვებს შეიწყნარებს იგი.

(ხელკუბოს დასდგამენ მ ა წ ა ნ წ ა ლ ე ბ ი)

მაწანწალა. მადლი გწყალობდეთ ამ ტაძრისა უფალო — მოგიყვანეთ.

ფარის. მერე? (გადმოვა ხელკუბოდან)

მაწანწალა. თქვენ ეს ტაძარი გწყალობთ, ჩვენ კიდევ თქვენ გვიწყალობეთ რამე.

ფარის. ფულსა მთხოვთ?

მაწანწ. არა, გასამრჯელოს.

ფარის. „გასამრჯელოს.“ განა თქვენთვის რომ ვლოცულობთ დღე-და-ღამ, გასამრჯელოს ვიღებთ?

მაწანწ. არ გვინდა თქვენი ლოცვა, გასამრჯელო მოგვეცით.

ფარის. ღმერთი გვიწყენს: თქვენნაირი ხალხი არც ღმერთს უყვარს, არც კიდევ ღმერთის მიერ დადგენილ ფარისეველებს — ჩვენ გვიყვარს მაშვრალნი უსმელ-უჭმელნი, ტანჩაუცმელნი... (გადის)

მაწანწ. რომ უკვირდები, ისე გამოდის, რომ მამაჩემს ფარისეველთა საქველმოქმედოთ გაუკეთებივარ. არა, მეც უნდა გავიქცე გალილეას. (ამხანაგს) თუ გინდა შენც მომყე. (გადიან)

სურათი VI

იგივე ადგილი

შემოდიან იუდა, არფაქს და ნათანაილ

იუდა. ყური დამიგდეთ, თქვენ ერთ რამეში უნდა დამეხმაროთ.

არფაქს. ფულის საქმე არ არის!

იუდა. რა თქმა უნდა, საჩუქარი კარგი იქნება... აი, ამ პატარა ფიცარსა ჰხედავთ?

არფაქს. პატარაა, მაგრამ აქლემისტოლად ვხედავ, მერე?

იუდა. მერე და ეს ფიცარი ამაღამ ძილის დროს თავით უნდა დაუდგათ იაკობს ისე, რომ ვერაფერი გაიგოს.

ნათანაილ. რომელ იაკობს?

იუდა. მე გიჩვენებთ.

არფაქს. მერე დავახრჩოთ?

იუდა. უგუნურებო, რა აზრი აქვს დახრჩობას, გუდათ ხომ არ ამოიღება?.. ამ ფიცარს დაუდგამთ თავით და წამოხვალთ. ამასთან ერთად ეს ამბავი მხოლოდ სამთ უნდა ვიცოდეთ.

ნათანაილ. მაშ მეოთხე — ღმერთი იქნება...

იუდა. დეე ეგრე იყოს, ოღონდ პირიდან არაფერი ამოგძვრეთ ამის შესახებ...

არფაქს. სხვა არაფერი?

ნათანაილ. სხვა რაღა გინდა?.. ზოგს მერე გვეტყვის. ყველაფერს ხომ ერთბაშად არ დაჰხარჯავს?!

არფაქს. ეგ ისე ადვილია, რომ... ფულს ხომ მოგვცემ?

იუდა. თუ საქმე ცუდათ მოგივიდათ, ფულს კი არა, შაგ

ქვას მოგცემთ და ნაცარ-ცხელს... ჯვართ გაცვამთ, ჯვართ!

არფაქს. მაშ არფაქსი აღარა ვყოფილვარ!

იუდა. იმუქრები?

ნათანაილ. არა, იკვეხის.

არფაქს. თუ ეგ საქმე კარგა ვერ გავაკეთო, აი ეს წვერი ვირის კუდქვეშ შემაყოფიენ. (გადიან)

ს უ რ ა თ ი VII

იაკობთან

ღამეა. ი ა კ ო ბ ს სძინავს თავის მიწურში. ა რ ფ ა ქ ს ს შეაქვს მცნებათა ფიცარი, თავით დაუდგამს მძინარეს და გავა. ნ ა თ ა ნ ა ი ლ ი ჰშველის.

არფაქს. ისე დავდგი ეს ფიცარი, რომ ციდან ჩამოშვებულს დავამგვანე. (გავა)

იაკობი. (ტოკავს სიზმარში)

„მტრედო, მტრედო... გულს დამაფრინდი... რა მშვენიერი ხარ!.. ვაიმე! როგორ გადავიხდი დიდრაქმასა, შიმშილით ვკვდები... შენ კი ჯიბგირო! სად მიყოფ ხელსა?.. რას ამოიღებ შე უბედურო... ოჰ, არა, არა, არ შემიძლიან... ღარიბი ვარ... რო შემეძლოს რამე, ღარიბი ვიქნებოდი?.. არ მომკლა... არ მომკლა... არ მომკლა...“

(გაღვიძება)

სიზმარი იყო?.. რა ძაანა ჰგვანდა სინამდვილეს! მტრედის ფრად ჩამოვიდა ციდან სხივი და ვიღაცამ ჯიბეში ხელი ჩამიყო. — რა საკვირველი სიზმარი იყო! — მერე მომთხოვა დიდრაქმა, სიცოცხლე...

(დაინახავს მცნებათა ფიცარს)

ეს ვინ დასდგა აქ? კარგა მახსოვს, აქ არ იყო... ზედ რალაცა სწერია... ღმერთო მიშველე!

(კითხულობს)

„შენ ხარ ძე ჩემი“... ღმერთო მომიტევე! ისევ სიზმარში თუ ვარ... „შენ ხარ ძე ჩემი და მამაშენი მჯდომარე არს ცათა შინ“... არა, მე ისევა მძინავს და სიზმარსა ვხედავ, უნდა სულ გავიფრთხო ძილები...

(იფშვნეტს თვალებს, იბერტყს ძილს და ისევ კითხულობს)

„შენ ხარ პირველი სიტყვა ჩემი — იესო. აღსდეგ ძილიდან, აღიღე მცნება ესე და დაამშვიდე ერი ისრაელისა, რომელიც მე შევიყვარე. ივნე კაცთათვის და ჯვარცმული აღსდგები მესამესა დღესა და იქნები მჯდომარე მარჯვენით მამისა“... ღმერთო, მაღალო! კისრად მდებ შენს ძეობას და კაცთა ცოდვების ზიდვას?.. ძალიან კარგი, ოღონდ მომეცი ნიჭი უმაღლესი, ვიდრე ბუდდას და მითრას, რათა ძლევად ვყო სიძნელენი... ვნახოთ რას მავალებს.

(კითხულობს)

„წადი ერსა შინა ისრაელისასა და ასწავებდე მას:
1. ნეტარ იყვნენ გლახაკნი სულითა...

(ისმის გარედან იუდას ხმა)

იუდა. იაკობ!

იაკობ. ღიაა კარი, შემოდი.

იუდა. (შემოდის)

საკვირველება! შენს შუბლზე ნათელი ბრწყინავს, სწორედ ისეთი, როგორსაც იტყოდნენ წინასწარმეტყველნი მესიაზე... შენ მესია ხარ!

იაკობ. მე, მესია?..

იუდა. დიახ, დიახ, ღმერთის სახელი გაწერია მაგ ნათელ შუბლზე... გვითხარ, უფალო, იდუმალება უნეტარესი ცათა და გვამცნე, რა ვქნათ მშიერთა და მწყურვალთ... წავალ, შევატყობინებ იერუსალიმს, რომ მოვიდა მესია და იქადაგებ დღეს ტაძრად, გვასწავებ ცის სიმართლეს... უფალო! (გადის გარეთ)

ეჰო აბრაამისა! მოვიდა მესია!

ხ უ რ ა თ ი VIII

ქუჩაში

იუდა. მოვიდა მესია!..

არფაქს და ნათანაილ. რას ყვირის ეს ჩვენი უფალი!

იუდა. არფაქს და ნათანაილ! წადით, გამოალვიძეთ მთელი ქვეყანა და, შეატყობინეთ ყველას, რომ ისრაელთა ქვეყანაში მოვიდა დიდი ხნის ნაინატრი მესია, რომელიც იქადაგებს დღეს ტაძრად. წადით ყვირილით ყველა მხარეს.

არფაქს. გისმენთ უფალო!

იუდა. (გადის)

არფაქს. ნათანაილ, აბა გააღე ეგ შენი ხახა და იერეონის საყვირად იქეც. გასცი ამ მხარეს. მე აქეთ წავალ.

(გადიან. ისმის ყვირილი „მოვიდა მესია“)

ს უ რ ა თ ი IX

ბეთლემელ მწყემსთა გომის კარებთან

მ ა ი ა ს შ ო ბ ი ლ ი ხელში უჭირავს და თითქო მას ებაასება.

შაია.

ნუთუ მართალი არის იგი, რომ პირველ კაცსა
სამოთხეშივე დედაკაცი ექმნა ბაცდურად?
მითხარი შვილო, მწყემსთა გომში დაბადებულო.
ნუთუ დედაკაცს ჭეშმარიტად ცბიერი სიტყვა
და თაღლითობა ეხერხება მხოლოდ და მხოლოდ?
რა მოხდენილად მოვატყუე უგნური ხალხი
მხოლოდ იმისთვის, რომ როსკიპად არ ჩავეთვალე
და ჩემი ქმრისთვის ჩემი ცოდვა, ნებსითი იყო
თუ უნებლიე, დამემალა რამენაირად!
გამასხრებული ჩემგან შენი მამინაცვალიც
უკვალოდ გაჰქრა, იქნებ მისთვის, რომ ეს გამიგო?!.
როგორ მიყურებს! რათ მიყურებ ასე პაწაწავ?
აქედანვე ჰგრძნობ დედაშენის მატყუარობას?!.
რა უსირცხვილო დარწმუნებით, ნირშეუშლელად,
იმგვარად, როგორც ნამდვილსაც კი ვერ იტყვის კაც
უთხარ ხალხს: ზეშობე ქვეყნის მხსნელი მესია მეთქი.
მესია მეთქი... ჰმ, მესია!.. მაგრამ ვინ იცის,
იქნებ მესიაც იყო შენა წინასწართქმული...
ღმერთო, რისათვის გამაგიჟე ასე უდროოდ
სულ ახალგაზრდა, სიხარულის ჯერ უნახველი,
რომ შემოგცოდებ ესოდენსა და ვამბობ ურცხვად,
მესია მეთქი! ვის უნახავს მგლისგან ბატკანი,
რომ რომაელსა ჩაესახნა ჩემში მესია?!.
არა, ბედისგან განწირული და შებღალული
მუცელი ჩემი ბილწებითა აღავსო მტერმა

და ვშობე გველი ჩემივ ერის სატანჯველადა.
მერე? ეს უნდა მე გავზარდო, ძუძუ ვაწოვო?!.
ოჰ, მაპატიე შეცოდება ებრაელთ ღმერთო!
თუ შეცოდება ესე არის შენდამი ოდნავ,
ამ ნაბუშარსა გადავტყორცნი აი ამ კლდეში!

(უნდა გადააგდოს)

არა, ცოდოა... სჯობს აქ დავდო ამ კლდისა პირას
და, თუ მესია არის იგი, ცამ უპატრონოს.

(დასდებს გომის ბაწზე)

მე კი, მე წავალ ეგვიპტეში, რომ საკითხავი
არავის ჰქონდეს... სალამურის ხმა ისმის სადღაც.
აჯობს გავიპარო, რომ ჩემი გზა ვერვინ გაიგოს...

(გადის საჩქაროდ)

სალამურის ხმა.

ისმის დიდხანს. უცბად მოფრინდებიან **ა რ წ ი ვ ე ბ ი** და ბავშვს წაიღებენ. დანახვაზე **მ წ ყ ე მ ს ე ბ ი** შემოცვივიან სცენაზე:

მწყემსთა ყიჟინა. ჰაე - ჰაე - ჰაე! ჰაე - ჰაე - ჰაე!

1 მწყემსი. ნეტა რა წაიღეს იმ ოხერმა არწივებმა!

2 მწყემსი. კურდღელი იქნებოდა.

1 მწყემსი. იქნებ ბატკანი იყო?

2. მწყემსი. არც ერთსა ჰგავს და არც მეორეს. უყურე, თან მიაქვთ, თან სჭამენ და ძონძები ცვივა ნაბურდღლებად. (ფალასები ცვივა ძირს და ხელში იღებენ) ადამიანის ხელით არის ნაქსოვი.

1 მწყემსი. მართალია... ფალასებში შეხვეული არც კურდღელი მინახავს და არც ბატკანი. საკვირველიც არის, საშინელიც.

არწივნი. სასწაულია!

1 მწყემსი. უყურე, კიდევ მოფრინავს ფალასი. რა უნდა წაელოთ არწივებს ფალასებში შეხვეული?

ორივენი. სასწაულია!

1 მწყემსი. ესეც მესიის მოსვლას ხომ არ ნიშნავს?

2 მწყემსი. სასწაულია!

(მ წ ყ ე მ ს ე ბ ი გადიან. ისევ ისმის სალამურის ხმა. შემოდის მ ა ი ა.)

მაია. ვერა, ვერ გავიმეტებ მაინც ჩემს ნაშობს. წავიყვან და გავზრდი. დეე, დამსაჯოს ამისთვის ღმერთმა!.. (ეძებს) დიახ, უნდა გავზარდო, თორემ ძუძუები მიკვნესიან, მიწივიან და მეწვიან... აქ ადარ არის... ღმერთო მიშველე! წაიღო ვინმემ, თუ მართლა მესია იყო და თვითონ წავიდა? სასწაულია! ღმერთო, შემინდე შეცოდებანი! ღმერთო, გევედრები! (დაიჩოქებს) ღმერთო, გემუდარები! ღმერთო! ღმერთო! (ტირის)

მესამე მოქმედება

სურათი I

იუდას საიდუმლო ოთახი.

იუდა. არფაქს, ჩაწექი ამ კუბოში, ვითომ მკვდარი ხარ... ყური გეჭიროს და შენი მოქმედება შეუფარდე „იესოს“ სიტყვებს. ნათანაილ, შენც ასე, წამავლე ხელი კალთაზე და მომყე უკან, როგორც უსინათლო. როცა შენს თვალებზე გაუბა „იესოს“ ბაასი, შეურჩიე მის სიტყვებს წუთი და გაახილე. გაიგე?

ნათანაილ. გავიგე მაშ. ათი სინკლისა გავიგე.

იუდა. აბა მაშ ჩაწექი კუბოში არფაქს. შენ კიდევ, ნათანაილ, თვალები დახუჭე ბრმასავით, სანამ მე დაუძახებ ვისმე.

> **იუდა** გადის გარედ, **არფაქსი** ჩაწვება კუბოში. **ნათანაილი** თავზე ხუფს დაჰხურავს კუბოს, შემდეგ თვალებს დაჰხუჭავს და დაჯდება.

სურათი II

ოთახის გარეთ

იუდა. (გამვლელთ) თქვენ ეი, ძმობილნო! სად მიეჩქარებით?

თომა. გალილეას რომ უნდა წავსულიყავით მესიასთან, ის თვითონ მოსულა აქა და მასთან მივდივართ ტაძრად.

იუდა. იჰ, თომა, შენა ხარ?

თომა. დიახ, გახლავარ.

იუდა. მეც იქ მივალ, ოღონდ...

თომა. რა იყო?

იუდა. მოძმე მომიკვდა და მშველელი არა მყავს, წავიღო მასთან... ამბობენ, მკვდრებს აცოცხლებსო...

თომა. მკვდრის წაღებას კი გიშველი, მაგრამ მე ეგ არა მწამს.

იუდა. მით უკეთესი: ახლო ვიქნებით ცდასთან და ვნახავთ სიმართლეს. იქნებ გააცოცხლოს კიდეც!

თომა. წავიღოთ, მაგრამ გიმეორებ: მე არა მჯერა.

იუდა. რა ურწმუნო ჰყოფილხარ!

თომა. სად არის ცხედარი?

იუდა. მოდით. (შედიან საიდუმლო ოთახში) აბა, თქვენ ოთხთ ასწიეთ კუბო და მე ამ უსინათლოს წამოვიყვან.

(ასწევენ კუბოს)

თომა. უჰ, რა მძიმეა! რა ეშმაკი აღადგენს ამას!

იუდა. უსინათლოვ, წამავლე ხელი კალთაში და მომყევი უკან, ოღონდ ფეხი არ დამადგა ფეხზე, თორემ თუ წავიქეცი, შენც მთლად დაგამტვრევ და მეც ეს აქლემივით აკარკლული ცხვირი ან სულ მომტყდება, ან უფრო მეტად ამეკარკლება.

ნათანაილ. (თვალდახუჭული) რამოდენა ცხვირი გქონია!

იუდა. თუ ღმერთმა თვალთ აგიხილა, უფრო მეტს ნახავ. აბა მომყევი.

(კუბო გააქვთ ქუჩაში. ხალხი მირბის ყვირილით)

ხმები. მესია მოსულა, მესია! ტაძრისკენ! ტაძრისკენ!

ხ უ რ ა თ ი III

„მესია“ ტაძართან

თორა. ნუთუ გალილეიდან მოვიდა იგი?

ენოქ. სწორედ!.. შობის იერი არ დაუკარგავს და ვცნობ: ის არის.

თორა. ბეთლემს რო დაიბადა მწყემსების გომში?

ენოქ. დიახ.

თორა. გალილეველი წინასწარმეტყველი?

ენოქ. ის ისევ იქ დარჩებოდა... ამბობენ იმან მონათლაო...

თორა. მერე, ასე მალე როგორ გაიზარდა ამოდენა ვაჟკაცი?!.

ენოქ. ღმერთიც ხომ წლობით არ იზრდება! ის როცა იშვა, მერწყული არ ჩანდა ჩვენს ცაზე, ეხლა კი მარჩბივი ბზინავს ღამღამობით. არც ისე ცოტა ხანია მას შემდეგ, რომ ღმერთი ვერ გაზრდილიყო.

თორა. საკვირველია! ხალხი ისე მოსულა, რომ წინ გასაფენად არაფერი მოუტანია.

ენოქ. რამდენი ღმერთი მოსულა, რომ ტყუილი გამომდგარა. ხალხი ჯერ გამოსცდის და, თუ მართლა ღმერთი გამოდგა, მერე თავსაც არ დაჰზოგავს ქვეშ გასაფენად.

თორა. სასწაულებს მოახდენს?

ენოქ. ერთი სასწაული ხომ უკვე არის!

თორა. რა?

ენოქ. ისა, რომ ღმერთი დაიბადა მწყემსების ქოხში.

თორა. მაგის მეტი სასწაული აღარ იქნება?

ენოქ. დაიცა... ხალხი შეტოკდა... ალბად მოდის... ჰო, მოდის... მოვითმინოთ და ყველაფერს ვნახავთ.

ხმები. რაბი!

— მესია!

(შემოდის ი ა კ ო ბ - მ ე ს ი ა. ავა ტაძრის წინ მღალა)

ქალები. ვიშ, რა ლამაზი ვაჟკაცია!

იაკობ. „სული უფლისა ჩემზედ არის, რომლისთვისაც მცხო და მომავლინა მახარობლად გლახაკთა, განკურნებად შემუსვრილ გულთა, ქადაგებად ტყვეთა განტევებისა, ბრმათა აღხილვად და მომსვრელთაგან ტანჯულთა თავისუფლებად“...

ხმა. უფალო, გვასწავლე, როგორა ვძლიოთ შიმშილი ესე, სიღატაკე ჩვენი და უმართლებანი მტერთა?

ხმაურობა. გვშიან, გვწყურიან და არა გვხურავს...

იაკობ. ერნო ისრაელისანო და ძმანო ჩემნო! ყურად იღეთ ხმა ესე ღვთისა და ისწავლეთ:

„ნეტარ იყვნენ გლახაკნი სულითა, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათა.“

მაია. ის არის, ის!

მაგდალინელი. ვინა?.. რა მშვენიერი ჭაბუკია!

იაკობ. „ნეტარ იყვნენ მგლოვარენი გულითა, რამეთუ ისინი ნუგეშინის ცემულ იქმნენ!“

მაია. ზედგამოჭრილი ის არის... მჩვრებში რომ დავტოვე... შენ გენაცვალოს დედა!

მაგდალ. რას ამობ შენ?

მაია. ყური დაუგდე.

იაკობ. „ნეტარ იყვნენ მშვიდნი, რამეთუ მათ დაიმკვიდრონ ქვეყანა.“

მაგდალ. არ მომწონს.

მაია. ნეტავ თუ მიცნობს?

იაკობ. „ნეტარ იყვნენ, რომელთა შიოდეს და სწყურო-
დეს სიმართლისათვის, რამეთუ იგინი გასძღენ.“

მაია. ის არის, ის... მაშინაც ასეთი ხუჭუჭი თმა ჰქონდა.

მაგდალ. დედა ხარ მისი?

მაია. ყური დაუგდე.

იაკობ. „ნეტარ იყვნენ მშვიდობის მყოფელნი, რამეთუ
იგინი ძედ ღვთისად იწოდნენ“.

მაია. უი შენ გენაცვალე, როგორა ჰგავს!

მაგდალ. ვის?

მაია. მეძავთა და ძალადობით ორსულთა განმტევებელს,
მონათა მხსნელს და ნაბუშარის სახით მოსულ ღმერთს...

მაგდალ. მართლა?

იაკობ. „გიხაროდენ და მხიარულ იყვენით, რამეთუ სას-
ყიდელი თქვენი დიდ არს ცათა შინა“...

ხმები. რაბი! რაბი!

მაგდალ. რომისაგან დანიშნული მეფეც ხომ მაგას გვეტ-
ყოდა, იყავით მშვიდნიო... (გადის)

თორა. სწორედ რომ მეფეა, მაგრამ არა რომაელთა, არა-
მედ ისრაელთა.

ენოქ. ცით მოვლენილი მეფეა იგი!

ხმები. გიხაროდეს ებრაელთა მეფევ!

შემოაჭვთ კუბო. მას უკან მოსდევს ი უ დ ა, ხოლო იუ-
დას — „ბ რ მ ა“, ნ ა თ ა ნ ა ი ლ

იუდა. დიდება შენდა უფალო, დიდება შენდა!.. უფალო,
მიიღე თაყვანისცემა ჩემი და აღადგინე ესე ცხედარი,
რადგან გვასწავებ ძალასა ღმერთისას.

იაკობ. აღდგრაბა მისი ნებაა ღმრთისა, მამისა ჩემისა, ცათა მპყრობელისა. (კუბო შეტოკდება)

ხმები. სასწაული! სასწაული!

არფაქს. (წამოდგება) სიზმარი არის, თუ სიცხადე?.. რას ნიშნავს ეს ხალხი?.. ეს კუბო?.. რად ვიწექ კუბოში!..

იუდა. შენ მკვდარი იყავ და მესიამ აღგადგინა მკვდრეთით.

არფაქს. მესიამ?.. მკვდრეთითი?.. გმადლობ შენ უფალო, რამეთუ ღირსმყავ თაყვანი გცე.

(თაყვანს სცემს. ხმები „სასწაული".)

უჰ, რა ძალიან მომშივნია რაც ხან მკვდარი ვარ!

ხალხი. სასწაული! სასწაული!

თომა. მაშ ვიწამო? მართლა ვიწამო? მე ხომ ურწმუნო თომა ვარ!

ენოქ. იწამე მაშ!

იუდა. უფალო, განკურნე ესე უსინათლოცა დაბადებიდგან, რათა იხილოს ღმერთი.

იაკობ. ნეტარ არს ეგე, რამეთუ იხილავს ღმერთს.

ნათან. (გაახელს თვალებს)

გმადლობ უფალო!.. ღმერთო, რამდენს საკვირველებას ჰხედავს თვალი ჩემი! რა ლამაზი, რა წარმტაცი, რა მშვენიერი, რა შეტკული ყოფილა ქვეყანა ესე, ქმნილება ღმრთისა!.. გმადლობ უფალო! მიბრძანე და მონა ვიქნები შენი!

იაკობ. წადი სოფლად და ქალაქად, ქვეყნიდან ქვეყნად და ადიდე ღმერთი, ებრაელთა ღმერთი და ეტყოდე ყველას: არა არს ღმერთი გარეშე ებრაელთა ღმერთისა-თქო.

ნათან. დიდება შენდა უფალო ჩვენო, მაცხოვარო, დიდება შენდა! (თაყვანს სცემს და ჰშორდება) ჰეი, იუდა! რას მატყუებდი, აქლემისოდენა ცხვირი მაქვსო, შენ კი აქლემის კუდის ოდენაც არა ჰყოფილხარ მთლად!

იუდა. ჩუმად, რეგვენო, სიკეთე გიყავ და მადლობელიც არა ხარ ჩემი!?

თომა. მაშ მართლა ვიწამო?

იუდა. იწამე, იწამე!

თომა. მაშ სთხოვე გაგისწოროს ცხვირი, რომ ემდური, უშნოდა მაქვსო...

იუდა. არა, ეგ მე არ მინდა.

თომა. რატომ? განა არ გინდა ლამაზი იყო?

იუდა. არა, ქალები შემაცდენენ და სულს წავწყმედ-- მსურს სულისათვის ხორცი დავსაჯო.

იაკობ. ერნო და კაცნო! შიშითა და სარწმუნოებით მოვედით. მომყევით და გასწავებთ თავისუფლებას, სიწმინდეს, სიყვარულს და სარწმუნოებას.

ენოქ. ებრაელნო! არა არს უფალი ჩვენი გარეშე იესოსი. თვალნი თქვენნი, ყურნი თქვენნი და ყოველი გონებანი თქვენნი მოაქციეთ გალილეითგან ამას.

ყველანი. ამინ!

მ ე ს ი ა მიდის. გაივლის მ ა ი ა ს წინ და მ ა ი ა დაჩოქვით გაიშვერს ხელებს მისკენ.

მაია.

არ გეყურება, მაპატიე შეცოდებანი
და გაამთელე გული ჩემი ესრედ ტანჯული!

(მ ე ს ი ა ამაყად გაივლის. ხალხი გასდევს.)

ვაი შენ ჩემო საცოდაო, საბრალო გულო!

(ტირის. შემოდის მ ა გ დ ა ლ ი ნ ე ლ ი)

მაგდალ.
რა მარგალიტის ცრემლებს ისვრი ტურფავ, უცნობო!
სწორედ შენზეა გამოთქმული, მზე პირს იბანსო,
ისე გიხდება, ისე გშვენის ეგ მგლოვარება.
ყველა ქალიშვილს რომ შვენოდეს ესრედ ცრემლთ ფრქვევა,
მთელ დედამიწას ჩაახრჩობდნენ ცრემლის მორევში.
მაგრამ რად სტირი ეგრე ცხარედ? მისთვის ხომ არა,
რომ ებრაელთა ქვეყანაში ებრაელთაგან
ებრაელთავე დარბევა და აწიოკება
კაი კაცობად, ან დიდებად არის ჩათვლილი?..

მაია.
მაგას რა უშავს! მხოლოდ ეგ რო მაწუხებდეს მე,
ერთ ბოსტანსაც კი ვერ მორწყავდა ეს ჩემი თვალი,
მაგრამ იმდენი ცრემლები მაქვს დღეს დასაღვრელი,
რომ მეშინიან თვითონ ღმერთიც არ წამილეკოს...
შვილია ჩემი და დედას კი არ შემომხედა.

მაგდალ.
ოჰ რომ იცოდე, სულ პატარა ცვარიც არა ჰლირს
მაგ ყურთასმენის დამახშობელ ქუხილისათვის.
ემანდ დადექი და მაგის მეტს ნუღარას იტყვი.

მაია. იმას მაინც ვიტყვი, რომ სიხარული მწუხარებით
დამემკვიდრა, ვით დედამიწას დღე - და - ღამე და ჩემისთანა
უბედური დედა მთელს ქვეყანაზე სხვა აღარ იქნება.

მაგდალ. ებრაელი დედები სულ უბედურები ვართ.

მაია. მაშ ფარისეველთა და სადუკეველთა დედებიც უბე-
დურები არიან?

მაგდალ. მე ებრაელ დედებზე მოგახსენებ, ისინი ებრაელ
დედებად არ მიმაჩნია: საწყალთა ზურგზე აშენებენ თა-
ვიანთ ბედნიერებას.

მაია. მაგრამ მე განსაკუთრებულად უბედური ვარ...

მაგდალ. რაც უნდა უბედური იყო, მე მაინც შენი მოზიარე ვარ და ვიქნები. შენისთანები მე მაშინაც მიყვარდა, როცა უმანკო ვიყავ და ეხლაც მიყვარს, როცა არავითარი უმანკოება აღარა მაქვს.

მაია. შენ რაღაზე დაჰკარგე უმანკოება?

მაგდალ. როცა სადუკი დაამარცხეს, რომი ისევ გაბატონდა ისრაელთ ერზე და ბატონებმა იძალადეს ჩემზე, თანაც დამცინეს, მესიასა ჰშობ ებრაელთა მეფედაო... .

მაია. მერე, რა ჰშობე?

მაგდალ. არაფერი. მასუკან სულ ასე დამცინიან, მაგრამ არაფერსა ვშობ, რადგანაც, ესეც ალბად ღვთისაგან არის...

მაია. მე კი... ღმერთო, რა შეგცოდე ასეთი ტანჯვისათვის!?.

მაგდალ. ადე წავიდეთ და ნუ იტანჯები, ყველაფერს მშვიდად შეხედე და გჯეროდეს, რომ შენი მეგობარი ვარ, თუნდ ღვთისმშობელი იყო, თუნდ ქუჩის ქალი.

> გადიან ცალ მხარეს. მეორე მხრიდან შემოდიან ი უ დ ა და თ ო რ ა. ი უ დ ა ს შორი ახლოს მოსდევენ ა რ ფ ა ქს და ნ ა თ ა ნ ა ი ლ ი.

თორა. მაშ უსისხლოდ, მშვიდათ და უიარაღოდ. გვიხსნის იგი მდიდართაგან, ფარისეველთა და რომაელთაგან?

იუდა. ეგრე უთქვამთ წინასწარმეტყველთ...

(თ ო რ ა ხელებს აღაპყრობს ცისაკენ და გადის)

იუდა. (თავისთვის)

რაკი ლახვარი ჩავეცი გალილეას და ხმა გავარდება, რომ მესია ის კი არა, ეს არის — დაიშლება იგი. შემდეგ ამ პამპულა ღმერთს დავამხობ მე, ხოლო იმის შემდეგ ნებას

არ მივცემ. არავის, ვიღაც მონების განთავისუფლებისათვის ისრაილეთის მსხვერპლად მოტანა გაიფიქროს... არფაქს! ნათანაილ!..

ორივე. აქ გახლავართ.

არფაქს. რას გვიბრძანებ ჩვენო ორკუდა უფალო...

იუდა. დამცინით?

არფაქს. შენ არა, კუდებს დავცინი. მე და ნათანაილი ხომ შენი კუდები ვართ!

იუდა. დახე ამათა! ლამის ზედ გაღამახტნენ. აბა, დაცინვას ხელი უშვით და ეხლა ეგ ღმერთი...

(შემოდის თ ო მ ა)

თომა. იუდა.

იუდა. რას მეტყვი ჩემო კეთილო?

არფაქს. გაიგე ნათანაილ? რაღაცას გვავალებს ჩვენი ღმერთი.

თომა. მაშ ვიწამო?

(თ ო მ ა და ი უ დ ა ლაპარაკობენ)

იუდა. უეჭველად!

არფაქს. როგორც ეტყობა, ჩვენ მიერ გაკეთებული ღმერთის მოკვლა ისევ ჩვენ დაგვევალება...

იუდა. სასწაული და ისიც ასეთი აშკარა, ჯერ არ ახსოვს ქვეყნიერებას. შენ კი იძახი, ვიწამოო?

არფაქს. უფალო...

(ი უ დ ა მიიხედავს)

იუდა. აქ რასა დგეხართ, საჭირო აღარ არის...

(მიუბრუნდება თ ო მ ა ს)

არფაქს. გაიგე? საჭირო აღარ არისო. წავიდეთ, მოვკლათ.

ნათანაილ. წავიდეთ...

(გადიან საჩქაროდ)

თომა. ისე, რომ გალილეა მესია არ არის.

იუდა. დღევანდელმა სასწაულმა არ დაგარწმუნა?

თომა. ჭეშმარიტად! დაგვარწმუნა!

იუდა. ამიტომ ყველა უნდა დავარწმუნოთ, რომ გალილეაში მესია არ არის. ეს ხელს შეუწყობს ხალხის გადმოსვლას ნამდვილი ღმერთისკენ და აჯანყებისთვის დაგროვილი მეხის დაშლას. მშვიდობიანი ღმერთი ყველას გერჩიოთ, თორემ რომაელები იარაღით აჯანყებისთვის სულს გაგვაფრთხობინებენ... გალილეა კი იარაღს ლესავს...

თომა. რო ამბობენ გალილეველს მოუნათლავსო?..

იუდა. ამიტომ უნდა ღმერთს დაუჯეროთ და არა ნათლიას!..

თომა. ამინ! (გადის)

იუდა. (მარტო)

აღმოსავლისკე გაიძგიბნენ ხეთა ჩრდილები
და ელეონით ჩაიწურა მზე დასავლეთში...

(მიიხედ - მოიხედავს)

ჰეი, ნათანაილ! დახე იმათ! წასულან უკვე!
წავალ, მოვძებნი... მაგრამ რათა? მე რათ ვეძებო...

(შეჩერდება)

თავისი ფეხით მოვლენ თვითონ დღეს, ან ამაღამ,
ან კიდევ ხვალე — სულ ერთა — როცა იქნება...
ავაზაკები შემარჩენენ მე გასამრჯელოს?..
ერთ რამეშიაც მოვიხმარებ მათ იაკობზე
და შემდეგ იმავ იაკობით ჯანდაბისაკენ...
იჰ, რა მაყბედებს შარა გზაზე ნეტავ ხმამაღლა?!.

(გადსდ)

ს უ რ ა თ ი IV

ღამე „მესიასთან“.

ი ა კ ო ბ ი მარტოა თავის მიწურში და ხელაპყრობილი ლოცულობს. შედიან ა რ ფ ა ქ ს და ნ ა თ ა ნ ა ი ლ.

იაკობ. ვინ არის ამდროს ჩემს მიწურში?

არფაქს. ვერ მიცან უფალო?

იაკობ. ვერა.

არფაქს. შენ მე მკვდრეთით აღმადგინე და „ვერ გიცან“ რა სათქმელია!

იაკობ. მერე?

არფაქს. მერე და უნდა გაზღვევინო. რისთვის აღმადგინე? ძლივს მოვისვენე ამ წუთისოფლიდან, ძლივს მოვწყდი ამქვეყნიურ ტანჯვას, წვალებას, გაუთავებელ შფოთვას, ლუკმა პურისთვის სხვის ჯიბეებში ძრომას და შენ აღმადგინე მკვდრეთით?!.

იაკობ. ეშმაკი ხარ შენ, განვედი ჩემგან!

ნათანაილ. ეგ კი არა, შენა ხარ ეშმაკი! მე კიდევ უსინათლო ვიყავი, ვერა ვხედავდი ამა ქვეყნის უკულმართობას, ერთის სიმდიდრეს, განცხრომასა, მეორის ქუჩაში გდებას, შიმშილს, წყურვილს, ვერა ვხედავდი სხვის სილამაზეს და ჩემს შიშველა სიმახინჯეს, შენ კი თვალთ ამიხილე, რათა ყოველივე ესენი ვიხილო ჩემ სატანჯველად... რათ ამიხილე თვალი!

იაკობ. განვედით ჩემგან ეშმაკეულნო!

არფაქს. ჩვენ კი არა და შენ გახვალ ამ ქოხიდანაც, ამ ქვეყნიდანაც. (წაუჭერენ ყელში ხელს და შემდეგ თოკით დაახრჩობენ) საკმარისია, რომ ერთ დღეს მაინც იყავი ღმერთი. ჩვენ

ერთ წუთსაც არა ვყოფილვართ. ნათანაილ, აბა გარედ გაიხედე, არავინ იყოს.

ნათან. არავინ არის. წავიღოთ და ორმოში ჩავაგდოთ.

არფაქს. ზედ მიწაც მივაყაროთ, რომ არყოფილივით დაიკარგოს ამ ქვეყნიდან...

(გაათრევენ)

ს უ რ ა თ ი V

სასახლეში

პ ი ლ ა ტ ე და ი უ დ ა

პილატ. (გადაშლის დ ა ბ ა დ ე ბ ა ს)
აი ეს წიგნი ებრაელთა დაბადებაა...
ნუთუ ებრაელთ ერთი ღმერთი უფრო დიდია,
ვიდრე ქამოსი, დაგონ, გადად, მითრა და ხერთი,
ან რომაელთა ძლევამოსილ ღმერთთა იდეა,
რომ ყველას ღმერთად ჰსურთ აქციონ ისრაელთ ღმერთი?..

(კითხულობს „დ ა ბ ა დ ე ბ ა ს“)

„მე ვარ უფალი და სახელი ეს არის ჩემი,
დიდებას ჩემსას არ დაუთმობ არავის სრული,
რომ უგალობდეს ჩემსა სახელს ყოველი ერი
და ყოვლი ენა ქვეყანაზე დამკვიდრებული.
იშვებდეს ზეცა, დედამიწა და თვით ქვესკნელი,
ზღვაში მცურავნი, ცად მფრინავნი და მგზავსნი მათთა,
იშვებდეს არვე უდაბნოთა, მათი შემცველი,
რამეთუ მე ვარ სიცოცხლისა მიმცემი მათდა“.

იუდა.
საკვირველია. რანაირის რწმენით და რიხით
უწერს ებრაელთ შვიდასის წლის წინასწარმთქმელი!

ალბად ეგონა, სამ წელიწადს მისი სახელი
ქვეყნიერებას დაიპყრობდა...

პილატ. აი ქვევითაც:
„ხოლო ისრაელ, ყმა ჩემი ხარ გამორჩეული,
რომლის სახელიც არს იაკობ, აბრამის თესლი.
შენ შეგიყვარე, შეგივრდომე, ვით ჩემეული
და შენთა მტერთა დაეფრქვევა ცით ჩემი გესლი.
ნუ გეშინიან, რამეთუ მე მარად ვარ შენთან,
რომელმან გიცან, შეგეწიე, განგაძლიერე...
ჰრცხვენეს და კდემეს წინაღმდეგთა ყოველთა შენთა,
რამეთუ შენცა, ვითა ჯერ არს, მეც შემიფერე“...

იუდა. ოჰო-ჰო-ჰო-ჰო! თუ ებრაელთ ღმერთი ყველას ღმერთია, რად შეეწია ერთსა და რად წასწყმიდა მეორე? — აი ეს არის, რაც არის!

პილატ. მართალი უნდა იყო შენ, თუ არა სცრუობ.

იუდა. იუდას სიცრუე არავის გაუგია ჯერ აბრაამისტანში.

პილატ. მაშ ერთი ეს მითხარ, როგორ გინდა დაამარცხო ებრაელთა ღმერთი, რომელიც მათ აღმოსავლეთის სხვადასხვა ღმერთებიდან გადმოაკეთეს, შემდეგ იწინასწარმეტყველეს მასზე და ეხლა ელიან?

იუდა. მართალია, იმისი დამარცხება, რაც არ არსებობს, ძნელია, მაგრამ მე მაინც შევძლებ ამას.

პილატ. როგორ?

იუდა. აკი ვთქვი, არ არის მეთქი. მაშასადამე ჯერ შევქმნი, შემდეგ დავარღვევ.

პილატ. როგორ?

იუდა. ხაზინა ხომ საესეა?

პილატ. მერე?

იუდა. ყველაზე დიდი ღმერთი ქვეყანაზე ოქროა. იმით შევქმნი კიდეც, დავარღვევ კიდეც.

პილატ. როგორ?

იუდა. ისე, როგორც უკვე იხილეთ. თქვენ ხომ იხილეთ ჩემი შექმნილი ღმერთი. ხალხმა იწამა კიდეც იგი. ეხლა რომის სენატისა და სინედრიონის სადღეგრძელოდ მოვსპობ მას. ღმერთებიც იბრძვიან და გაიმარჯვებენ რომაელთა ღმერთები, რადგანაც მათი ხაზინა სავსეა.

პილატ. ოღონდაც.

იუდა. მაშ კარგი. კაიაფას, ებრაელთა მღვდელმთავარს, ჯიბე ჩაუტკბანურეთ ოქროთი, მაგრამ არ დაგავიწყდეთ მწიგნობარნი, ფარისეველნი, სადუკეველნი და საწყალ ხალხსაც გადუგდეთ რამე. ყველაზე ცოტას საწყლებს ვაძლევთ, მაგრამ ყველაზე მეტს ისინი აკეთებენ. ასეთი ყოფილა ცხოვრების ბუნება.

პილატ. შენ რას გააკეთებ?

იუდა. მე იმას გავაკეთებ, რომ საწყლები ძარღვებს დაიწყვეტენ ყვირილით, გაუმარჯოს რომაელთ ღმერთებსაო...

პილატ. სხვა არაფერი?

იუდა. სხვა რაღა გინდათ! რაც გულში მიდევს, ყველაფერი კარგია თქვენთვის, მხოლოდ ჩემი საიდუმლოა ესა და ჩემს საიდუმლოში ნუ ჩაერევით, თუმცა კი თქვენც იცით, რომ ებრაელი ვარ და ებრაელების სახელით ვაკეთებ რომაელთა საქმეს. თქვენ ხელდაბანილი ბრძანდებოდეთ... ოღონდ ხელდაბანილობისათვის საჭიროა ოქრო, ტალანტი...

პილატ. შენი აზრი ღრმაც არის, თხელიც...

იუდა. მე ორიეეში დავიჭერ თქვენს სასარგებლო თევზებს.

პილატ. ეგ უკვე შენი საქმეა. ებრაელი ხალხი შენ ხელთ არის და თვითონ იცი, ვისაც დაუმორჩილებ... კეთილად იყავი. (გადის.)

იუდა. ამათა ჰგონიათ მესიის მოსპობა რომისთვის მინდოდეს...

კარის კაცი. (შემოდის) ორი ახალგაზრდა გეახლათ.

იუდა. შემოუშვი.

(შემოდიან არფაქს და ნათანაილ)

ორივენი. სალამი ჩვენს ორკუდა უფალს.

იუდა. მერე, სად გამექეცით, თქვე მართლა კუდებო, მესიის შემდეგ?

არფაქს. შენ ის გვითხარი, რას მოგვცემ!

იუდა. რაში!

არფაქს. ნათანაილსა ჰკითხე.

ნათან. სანამ შენ გაიფიქრებდი, ჩვენ „ღმერთი" უკვე გავაფრინეთ სამოთხეში... რად შეკრთი?.. ნუ გეშინიან: ისეთ ალაგას ჩავფალით, რომ მართალი ღმერთიც რომ ჩამოვიდეს, ვერ იპოვნის.

იუდა. რაო?

არფაქს. რაო და შენ რო სთქვი „ეხლა ეგ ღმერთი საჭირო აღარ არისო"...

იუდა. ხომ არ მოჰკალით?

არფაქს. რას გეშინიან! ისე მოვკალით, რომ ჰაერსაც არ გაუგია, რომელსაც ისა სუნთქავდა.

იუდა. ვაი შენ ჩემო დაღუპულო თავო!

არფაქს. (ნათანაილს) ნათანაილ, საქმე წაგვიხდენია, გავიპარნეთ, თორემ ჩვენი ღმერთი ძალიან გაწყრა.

(უნდათ გაპარვა)

იუდა. მოიცათ!

(მიბრუნდებიან)

ოლივე. რას გვიბრძანებ უფალო?

იუდა. ცენტურიონ!

არფაქს. რას გვიბრძანებ უფალო?

იუდა. აღარაფერს, მხოლოდ სასყიდელიღა უნდა მოგიწყათ.

(შემოდის ცენტურიონ)

ცენტურიონ, აი ეს ორი ავაზაკი შეჭკარ ეხლავე და ისეთ ჯურღმულში ჩაუძახე, სიცოცხლის ხმა არ ჩადიოდეს.

(გაიქცევიან არფაქსი და ნათანაილ)

ცენტურ. არ გაუშვათ!

(გასდევს უკან. გარეთ ხმაურობაა.)

იუდა. დაიჭირეს!.. როგორც გიბრძანე, ისე დასაჯე ეგ ჯიბგირები!..

დასე რა მიყვეს! ჩემი შრომა და მოხერხება
ხელის ერთ მოსმით დასცეს ძირსა, ვით მთიბავებმა
ღვარძლნარი შამბი და მე ვვევარ ეხლა იმ ემმაკს,
რომელმაც მთელი დედამიწის ცოდვილი სულნი
ზურგით მიზიდა ჯოჯოხეთის ჩასავალ კართან
და კარები კი შესასვლელი დახშული დაბჭედა.
„შემიშვი შინა ჯოჯოხეთო, მე მოვიტანე
უზენაესი საზრდო შენი — ადამის სული!“
მაგრამ დახშული არის კარი, სდუმს ჯოჯოხეთი...

ხმები გარეთ.

მესია მოსულა! მესია მოსულა!

იუდა.

ხოლო შავი ბრბო, უგუნური, მოტყუებული
ეძებს მესიას, რაიც თითქო მართლა ზეციდან

ჩამოსულიყოს ტანჯვათაგან მის დასახსნელად...
გამიღე კარი ჯოჯოხეთო და მომე ჭკუა,
რათა გამოვჭრა გამოსვლის ბჭე იმ ხაფანგიდან,
რომელშიც ასე უგუნურად გამომამწყვდიეს...

ხმები გარედან.

სად არის, სადა ჩვენი მხსნელი, მესია ჩვენი...

იუდა.

სად არის, სადა, სად არისო მესია ჩვენი...
თქვენი მესია თვითონ თქვენ ხართ და თქვენი დახსნაც
მხოლოდ და მხოლოდ თქვენ ხელთ არის! ეს რომ გესმოდეთ,
ეს რომ იცოდეთ და მუნჯ ზეცას არ შეჰყურებდეთ,
აქამდე ასჯერ შეიძენდით თავისუფლებას!

ხმები გარედან.

მოვედ მესია... დაგვიხსენი ტანჯვებისაგან!

იუდა.

დახე რა მიყვეს მაგ ავაზაკთ! რად არ ვიცოდი,
რომ ჯიბგირები ჯიბის გარდა სხვა საქმისათვის
არ ივარგებდნენ... ფუჰ იუდავ! სხვამ ვინ მიანდო,
შენს გარდა, საქმე ავაზაკებს! წყეულიმც იყავ!
ებრაელთ ქვეყნად ვერ იპოვნე სხვა უკეთესი,
რომ ორიოდე სინკლით მეტი მიგეცა მისთვის
და ეს საქმე კი რიგიანად გექმნა ბოლომდე?
მაგრამ რა უყო ეხლა ამას, ამ ზღვად მოხეთქილს
ხალხის ყივილს?!. ვინღა შევქმნა ეხლა მესიად?..

(დაფიქრდება)

მოდი ბარაბას... ფუჰ, ეშმაკო! ისევ ავაზაკს
არ მივადექი! თვით მეც იმათ ვერ გავცდენილვარ...
მაგრამ წინდაწინ ნაფიქრი და მოსაზრებული
განა ივარგებს ამ ჩვენს დროში, როცა არ ვიცით

წუთისა შემდეგ რა იქნება!.. მართალი უთქვამთ,
შინ ნათქვამია სიტყვა გარეთ არ გამოდგება.
ამიტომ, მოდი, ამ მდინარეს, ჩემგან გამორწყულს,
მივყვები უკან ჩემი ჭკუის თოხ-ნიჩაბითა
და, სადაც თვითონ გაიკვლევს გზას, დე, გაიკვლიოს,
ხოლო თუ სადმე დაბრკოლება გადეღობება,
იქ მე გაუტეხ სახსარს გზისა გასაგრძელებლად —
ხან თვითონ წავა, ხან წავიყვან და ასე ორნი
მივალთ ბრწყინვალედ მის ბუნებრივ დასასრულამდე...
აბა, პირველი მოხერხება რა იყოს შენი
თავდასაძვრენად ამ წყეული გასაჭირიდან?!.

(დაფიქრდება)

ჰოი იუდავ, დიდხანს ფიქრი დაგლუპავს შენა!

გალობა გარეთ.

ოსანა მაღალთა შინა, კურთხეულ არს მომავალი...

(საჩქაროდ შემოდის კ ა ი ა ფ ა)

კაიაფა.

იუდა, წამო და იხილე სანახაობა:
პირამიდები განხეთქილან თვით ფარაონთა,
ასურეთიდან, ბაბილონით და ეგვიპტიდან
იერუსალიმს მოჰსევიან და იძახიან,
რომელი არის მეფე-ღმერთი, მკვდრებს რომ აღადგენს,
აღგვადგინოსო!.. ეს რა გვიყავ! რა ჰქენ იუდავ?!.

იუდა.

ჩუმად იყავი, არაფერი არ გამიმჟღავნო!
ამ ბნელი ხალხის გულის პასუხს თვითონ მოუვლი,
ხოლო პილატემ თუ მიკითხოს, ასე უთხარი:
იგი მესიას გაჰყვა უკან კვალდაკვალა თქო —
სხვა არაფერი... წადი ეხლავ, ნუ დააყოვნებ!

(კ ა ი ა ფ ა გადის)

ან დავატაკებ აქაურ „ღმერთს“ გალილეველსა,
ან გალილეველს აქ მოვიყვან თავისი ფეხით,
ან ამ გულბნელ ბრბოს, აღტყინებულს იმედის ხანძრად,
წავალეკინებ გალილეას მის მესიითურთ,
ან კიდევ ორივ მესიასა დავსცემ მიწაზე
რომაელ საამიო ცირკისებურ სანახაობად...
მაგრამ მე რაა? მე რას მომცემს, რას მომანიჭებს?..
ჰო, როგორ არა: რომაელებს მოუგებ გულსა
და ებრაელებს ვიხსნი წყეულ მესიისაგან,
რის მოლოდინშიც აჯანყება აჯანყებას სდევს,
აჯანყება კი მსხვერპლად ითხოვს ისრაელთ მოდგმას.
დროა მოეღოს ამას ბოლო და ჩვენმა ხალხმა
მშვიდობიანი ლუკმა ჭამოს რომის კალთებ ქვეშ.
ამისთვის რომი მე არ მომცემს მეფობას განა?!.

(უნდა გავიდეს. წინ შეხვდება მაგდალინელი)

მაგდ.

იუდა, შესდექ. შენი ნახვა მინდოდა სწორედ...

იუდა. მართლა?

მაგდ. დიახ, მართლა. არასოდეს არა ვყოფილვარ ამ სასახლეში ისე მართალი და ისე გულწრფელი, როგორც ეხლა, შენს წინაშე.

იუდა. დაგიჯერო?

მაგდ. დამიჯერე. ყველაფერს გეტყვი, მიჰხვდები და დამაფასებ.

იუდა. რაღას უყურებ, მითხარ ბარემ.

მაგდ. უპირველესად ბოდიშს ვიხდი, რომ არარა გიწოდე ერთ დროს... ამის მიზეზს კი ეხლა ვერ გეტყვი... ხვალ რომ აქ მოხვალ...

იუდა. ხვალ მე აქ აღარ ვიქნები... ეხლა მითხარ...
მაგდ. საით აპირებ?
იუდა. საიდუმლოა.
მაგდ. ეგ საიდუმლო ჩემ საიდუმლოს ვერ აიწონის. ხვალ თუ აქ მნახავ, შენსა წადილებს დავაყვავილებ ისე მშვენივრად, რომ...
იუდა. თუ ეგრეა, ერთხელ მაკოცე.
მაგდ. მხოლოდ ერთხელ. (ჰკოცნის. ი უ დ ა შეუბრუნებს კოცნას) იუდა, წყნარად, დაგვინახავენ. ხვალე ადექედან წაგიყვან სხვაგან და იქ რამდენიც გინდოდეს მკოცნე... ვილაცა მოდის. (ი უ დ ა საჩქაროდ გადის) გალილეაში არ გაუშვებ მონათა სამტროდ. თუ არ წავიდა, ხვალაც ასე მიზეზს მოუდებ და დღეს-ხვალობით დავაბრკოლებ ბოროტ საქმეზე.

ს უ რ ა თ ი VI

ი უ დ ა ქუჩაში.

კინო უჩვენებს ხალხის ლტოლვას მესიის მოსასმენად ტაძრისაკენ: ს ნ ე უ ლ ე ბ ი, ბ რ მ ე ბ ი, მ ა ხ ი ნ ჯ ე ბ ი, მ კ ვ დ რ ე ბ ი ც კ ი მიაქვთ.

იუდა. ვინ იტყვის ჩემზე, სასწაულთ მომქმედი არ არისო. ვინ გააკეთებდა ამას თუ არა მე! მთელი ქვეყნის კოჭლები, ბრმები, სნეულები, კუზიანები, კეთროვანნი და თვით მკვდრებიც კი გამოსულან ქუჩებში ღმერთის საძებნელად... სწორედ ამისათვის მომეფერა მაგდალინელი... ახ რომ ის „ღმერთი“ არ მოეკლათ იმ წყეულებსა! (ე ნ ო ქ ს) ძმობილო, სად არის მესია?
ენოქ. ტაძრად მოველით...
იუდა. მე კი გავიგე, ვითომ გალილეაში წასულიყოს იგი. იქ თურმე პურსაც ურიგებენ საწყლებს.

ენოქ. მართლა? როდის გაიგე?

იუდა. დღეს.

ენოქ. რომელია გალილეის გზა, ხალხს გაუძღვები და სულ იქ წავიყვან.

იუდა. მეც ეგრე ვიზამდი. პურით გაგაძღობთ, სნეულთ განკურნავს, მკვდრებს გააცოცხლებს — წადით, წადით, უეჭველად წადით. არ დაგავიწყდეთ: ისიც მოსთხოვეთ, მდიდრებს ქონება წაართვას ღარიბთათვის და რომაელთა ლმერთებიც გარეკოს აქედან... აი, მე პირველი წავალ და უეჭველია, ფეხდაფეხ მომყვებით... (გადის და იძახის) გალილეისკენ! გალილეისკენ!

ხმები. რაო?

ენოქ. (ესეც გასძახებს ხალხს) ხალხნო!

ხმები. ჩუმად! რაღაცას გვაუწყებენ.

ენოქ. ხალხნო! მესია გალილეად წასულა. წავიდეთ ჩვენცა.

ყველანი. გალილეად წასულაო?.. ვაი ჩვენს თავსა! როგორ წავიდეთ იმსიშორეულ კოჭლები, ბრმები, სნეულნი, მკვდრები...

(ტირიან)

ენოქ. ხალხნო! რაკი აგრეა, მაშ ნუ წავალთ! თუ ის ღმერთია, ჩვენთვის მოსული, თვითონ მოვიდეს...

ყველანი. მოვედინ ჩვენდა უფალო ჭეშმარიტო, მოვედინ ჩვენდა! (შემოდის მ ა გ დ ა ლ ი ნ ე ლ ი და ხალხი იშლება)

მაგდ. ისეთი რა მოჰხდა, რომ ეს ხალხი ნიაღვარივით მოსდებია ქუჩა-მეიდნებს და მკვდრებიც კი არ დარჩენილან თვის საფლავებში?

ენოქ. მესია მოვიდა, სასწაულები მოახდინა...

(გამოჩნდება ფარულად ი უ დ ა და ყურს უგდებს)

მაგდ. სასწაულები?

ენოქ. დიახ, ბრმებს თვალი აუხილა, კუზიანები გამართა წელში, სნეულები განკურნა, ერთი თვის მკვდრები აღადგინა და კედრონის მუდამ მშრალ ხევში იორდანე მოუგდო...

მაგდ. ეხლაც მდინარებს?

ენოქ. არა, შესწყვიტა...

იუდა. ოჰო-ჰო-ჰო-ჰო! რამდენსა ტყუის! აი თურმე როგორ იქმნება ზღაპრები! მაგის მეასედიც არ უქნია ჩემს „მესიას“.

ენოქ. ეგ არაფერი. ქვას ხელი მოუსო და პურად იქცა. მზის სხივებს ხელი წაავლო, ავიდა მაღლა და გაფრინდა გალილეას...

იუდა. საიდან იგონებენ, საიდან?.. ლამის მეც დავიჯერო.

ენოქ. გალილეას კი...

მაგდ. კარგია! თითქო გაგიჟება გინდოდეს ჩემი, ისე მიამბობ... მე ეგენი ვერ გამაკვირვებს, მხოლოდ ის მითხარ: იუდა ხომ არსად წასულა?

ენოქ. ცალი ყბით ვიცი, გალილეას ემზადებოდა.

მაგდ. ნეტავ კი იგი გალილეას არ წასულიყოს! (გადიან)

იუდა.

ჰმ, ჩემი წასვლა გალილეას როგორ ეწყინა
მაგ უნამუსოს! რათ ეწყინა?.. რა უნდა ჩემგან?..
დავრჩე?.. წავიდე?.. არა, არა! ქალების დევნამ
ვინ ააშენა ამ ჩვენს დროში, მე ამაშენოს?!.

(გადის ძახილით)

ღმერთი წასულა გალილეას — გალილეისკენ!

ს უ რ ა თ ი VII

გალილეველი მესია

(ი უ დ ა შეჰხვდება ვირზე მჯდომყ რ უ - მ უ ნ ჯ. გლახას)

იუდა. ძმობილო!

ყრუ - მუნჯი. (ხელებს აღაპყრობს ცისაკენ და მოწყალებას სთხოვს)

იუდა. გლახა ყოფილა ვიღაც ყურ - მუნჯი.

(მისცემს მოწყალებას)

ყრუ - მუნჯი. (მოწყალებისთვის დაჰლოცავს და წავა)

იუდა. ერთი კაცი ძლივს ვნახე და ისიც ყრუ-მუნჯი გამოდგა. დაიცა, ვიღაცა მოდის კიდევ. (შემოდის გლეხი სვიმეონ) ძმობილო!

გლეხი სვიმეონ. ღმერთმა გაკურთხოს, რას მიბრძანებ?

იუდა. არ იცი, სად არის აქ მესია? სასწაულებს უქებენ და განკურნება მინდოდა.

გლ.სვიმეონ. ჩვენი მესია ღმერთია, მაგრამ მკურნალობას არ ეწევა. ის ბრძოლას ამზადებს მონათა განთავისუფლებისათვის.

იუდა. სხვა არაფერი?

გლ. სვიმეონ. ებრაელ მონებთან ერთად უნდა გაანთავისუფლოს მთელი აღმოსავლეთი და დასავლეთი.

იუდა. (თავისთვის) აქ სულ სხვანაირი ლაპარაკია... (გლეხს) კარგი და ვერ მიჩვენებ?

გლ. სვიმეონ. რასა?

იუდა. მესიას.

გლ. სვიმეონ. როცა გამოვლენ სიონად, თვითონ იხილავ.

იუდა. გამოვლენ? განა რამდენნი არიან?

გლ. სვიმეონ. აქამდე ათი იყო და ეხლა თერთმეტი გახდა.

იუდა. როგორ? მესია ხომ ერთი უნდა იყოს? განა ასე არა სწერია წინასწარმეტყველთაგან?

გლ. სვიმეონ. ჯერ ერთი იყო, მერე მოემატნენ, მოწაფეებად იწოდნენ და ერთი - მეორეში თანატოლად არიან...

იუდა. არაფერი არ გაიგება.

გლ. სვიმეონ. შე დალოცვილო, კაცისა ვერა გაგვიგია - რა და ღმერთისას რას გავიგებთ! ერთი თერთმეტშია და თერთმეტი კიდევ ერთშიო — ასე ამბობენ. იმასაც ამბობენ, რომ თორმეტამდე უნდა ავიდესო იმათი რიცხვი...

იუდა. აჰა! ჩემთვისაც დარჩენილა ადგილი!.. მეთორმეტე ხომ არა ჰყავთ ჯერ?

გლ. სვიმეონ. არა, მაგრამ ისეთს მიიღებენ, რომელსაც ქონება არა აქვს, ან ჰქონდა და საწყლებს დაურიგა.

იუდა. ძალიან კარგი... სასწაულთმოქმედობს?

გლ. სვიმეონ. აკი გითხარ, მონობიდან უნდა გაანთავისუფლოს მეთქი მთელი ხალხები...

იუდა. რითა?

გლ. სვიმეონ. მახვილით, რომელიც ხელში უჭირავს ებრაელთა მტკიცე გულს, წმინდა რჯულს, მონათა რწმენას და კაცთა სიყვარულს.

იუდა. რომაელების დამარცხება იარაღით?

გლ. სვიმეონ. დიახ, იარაღით, რადგანაც იგი მეფეა ებრაელთა და ღმერთი ყველა ტვირთმძიმეთა...

იუდა. აკი თერთმეტნი არიანო?

გლ. სვიმეონ. აკი მეც გითხარ ერთი თერთმეტშია და თერთმეტი ერთში მეთქი. ამიტომა ვლაპარაკობ ერთის სახელით.

იუდა. ძნელი გამოსაცნობი ყოფილა! მაშ ბრმებსა და სნეულებს არა ჰკურნავს?

გლ. სვიმეონ. არა.

იუდა. მე კი... (თავისთვის) მოვსტყუვდი. სწორედ ვერ უპოვნე პირი და ალღო... თუმცა ვინ იცის... შეიძლება ის ხალხი, რომელიც მესიის საძებნად დამედევნა იერუსალიმიდან, მოაწყდეს გალილეას და წალეკოს იგი მესიასთან ერთად, მით უმეტეს, რომ სასწაულებს ვერ იხილავენ... მაგრამ დამედევნა კია?.. (სვიმეონს) ძმობილო?

გლ. სვიმეონ. რას მეტყვი... (თავს იყრიან გლეხები... ხალხი.)

იუდა. ეს რა ხალხი იყრის თავს?

გლ. სვიმეონ. გალილეველი გლეხები არიან... მესიის ქადაგებას მოისმენენ.

იუდა. (თავისთვის) ეხლა რო მოაწყდეს იერუსალიმიდან მშიერთა ტალღა, ბრმათა და სნეულთა ჯოგი, მახინჯთა და მკვდართა ურდო, შიშველთა და მწყურვალთა ბრბო, ჩემი საქმე გაკეთდება. მაგრამ რომ არა სჩანან! რად დაიგვიანეს?.. ნუთუ გადაიფიქრეს? არა, მოვლენ... იმედი არ უნდა დაჰკარგოს კაცმა.

გლ. სვიმეონ. მესია მოდის...

იუდა. ეგ ხომ მეთევზეები არიან... მესათხევლენი... მაგრამ თავსრიდედგმულნი შუბ-მახვილებით?!.

გლ. სვიმეონ. მეომარნი არიან უფლისა.

იუდა. მეომარნი უფლისა?!. რა ამაყად და მხიარულად უჭირავთ თავი! მაგრამ ეგ ხომ გაქცეული მონები არიან! იჰ, რამდენი არიან! ყველა კუთხეებიდან აქ მოუყრიათ თავი!

გლ. სვიმეონ. საფიხვნოდ დადგნენ. ყური დაუგდოთ.

(გადიან)

ს უ რ ა თ ი VIII

თერთმეტის მესია

პირველი თერთმეტთაგანი.

აბრამის სისხლნო! მკვიდრნო ძენო ისრაელისა!
ღმერთი ჩვენთან არს და ჩვენ შორის განაგებს იგი,
და იარაღი ორი გვაქვს ჩვენ განკვეთად მტრისა,
რათა აღვაგოთ ნეტარება დევნილთა დიდი.
ოთხმოცდაერთ წლით დატვირთული მეფე ტიბერი,
სიბერისაგან დაშხამული, გამწარებული,
ჯავრს ჩვენზე ყრილობს, ვით ბოროტი ლიუციფერი,
და ფარისეველ-მწიგნობართა ბილწი კრებულიც
მას ეხმარება, როგორც ჩვენი ფხიზელი მტერი...
ორი გვაქვს მეთქი იარაღი მტერთან საბრძოლი:
ერთი მახვილი, მეორე კი სიტყვა ღვთიური
და ჩვენთან არის სინიდისი, ტანჯულთა სწორი,
ძალა აღთქმული ზეცისა და ამქვეყნიური.
ორ იარაღში ერთი მაინც გაიტანს ლელოს
და დავიმკვიდრებთ ცის ქვეშეთში ბედს სასახელოს.
მოვედინ ჩვენდა, მიიმადლეთ რწმენა და სჯული,
და გაიხარებს ყველა მწირი, ყველა ტანჯული.

2 თერთმეტთგანი.

რომაელებმა გაგვძარცვეს ჩვენ და ამ ნაძარცვით
თვით აღიშენეს ძეგლ-ტაძრები, შეიმკეს ღმერთნი,
ჩვენი სიმდიდრე იმათ ღმერთებს ტანზე ჩავაცვით
და ჩვენა ვკუთავთ ბედის ხიდან ჩამონაბღერტნი.

3 თერთმეტთაგანი.

ბრწყინვალედ მივალს გალილეა იერუსალიმს,
მივა დათრგუნვად უსჯულოთა და ურწმუნოთა

და სამარიის ბედი დაჰკრავს განჭიმულსა სიმს,
და დაიწყება იქიდან თვლა ახალთა დროთა.

4 თერთმეტ.
და გაიხარებთ თქვენ, საწყალნო, მრავალ მხარეთა,
იავარმქნილნო თქვენის სახლით მტაცებელთაგან,
და აღარ დაჰლვრით ტყვეობაში ცრემლს მწუხარეთა,
და აღარ დაჰლევთ თქვენს სიცოცხლეს მონებად სხვაგან.

5 თერთმეტ.
და როგორც მელას თავის ხვრელი აქვს და ჩიტს — ბუდე,
ესე ყოველსა თქვენთაგანსა ექნება ბედი,
და ყოველივე წაიშლება სადაო ზღუდე,
და ყოველივე დამარხული აღდგება მკვდრეთით!

6 თერთმეტ.
ჩვენთან არიან სამხრეთელნი!

7 თერთმეტ. ჩრდილოელნიცა!

8 თერთმეტ.
აღმოსავლეთიც!

9 თერთმეტ. დასავლეთიც!

10 თერთმეტ. მთლად დედამიწა!

11 თერთმეტ.
ჩვენთან არიან ქალაქები და სოფლებიცა!

იუდა.
მეც თქვენთანა ვარ, მეთორმეტე მიმიღეთ ტოლად,
ვითა მოწაფე ციდან მოსულ მადლისა ქვეყნად.
მე მოგახსენებთ ჭეშმარიტად, რომ თქვენთან არის
მზე ხვალინდელი, ამოსული მძლე გამარჯვებად.
იმასაც გეტყვით, რომ იროდი დამარხეს უკვე:
რაც მან საჯაროდ აღიარა თვისი შეცდომა

და თავის თავზე თვისივ ფეხი დაადგმევინეს —
ველარ გაუძლო... მოკვდა იგი და ტახტზე დაჯდა
იმისი შვილი არხელაოს, ყრმა უსუსური...
რომის ბატონსაც ახვეული აქვს ცალი ხელი,
რადგან გულდიდი ანტონიოს გადასდგომია,
და მეორეთი ის იმოდენს ვერ გააკეთებს,
რომ შეაჩეროს თქვენი ბრძოლა, მონათა მხსნელი...
მაგრამ რომელი არის თქვენში უფალი, ღმერთი?
მიჩვენეთ იგი, თაყვანი ვცე მე მეთორმეტემ.

მე-3-მე თორმეტ.

ის თორმეტშია და თორმეტიც იმ ერთში არის.

იუდა.

რაკი აგრეა, თაყვანს გცემთ ყველას, როგორც ერთსა.

(წინ წამოიჭრება და დაემხობა მ ა ი ა)

მაია. მეც თაყვანსა გცემთ, როგორც დედა, მშობელი დედა!

იუდა. (განზე გავა და თავისთვის წაიბურტყუნებს) მიღებით კი მიმიღეს, მაგრამ ამოდენა ლექსი დავხარჯე და მესია კი ვერ გამოვიცან... იქიდანაც მხოლოდ ეს ერთი დედა-კაცი წამომყოლია! ფუჰ!

1-ლი თორმეტთ.

ძალაო ღმრთისავ, განვლე გზა შენი
და აღმოსავლით მიდი ბრწყინვალედ
იერუსალიმს.

ხმები. ამინ მესიას!

ყველანი. ამინ!

(იწყება ჯარების სვლა)

ს უ რ ა თ ი IX

პილატესთან

პილატ.
გესმის, იუდა, ჩვენს გარშემო ცეცხლის რკალივით
როგორ გუგუნებს რისხვა მონათ და ებრაელთა?

იუდა.
დიდო ბატონო, ბრტყელ-ბრტყელების სალაპარაკოდ
არა მცალიან, ერთ მუქარას მოვედი მხოლოდ
იმის სათქმელად, რომ მშვიდობის ყოფნა ირჩიოთ:
ერთი წვეთიც კი არ გაიღოთ ამისთვის სისხლი
და წინასწარმთქმელთ სიტყვა გქონდეთ ხმლადა და ფარად:
ერთში რომ გაგკრან, მიუშვირეთ მეორე ლოყაც.

პილატ.
გინდა, მასხარად ასაგდები გახადო რომი?..

იუდა.
ებრაელების სულიერი, თუ ხორციელი
ძაფების ხვლანჯი ჩემ ხელთ არის, როგორც სადავე.
მათი არსობის საიდუმლო ყველა კუნჭული
ვიცი იმგვარად, როგორც მღვდლებმა თავის სათქმელი,
თქვენ მე მიბრძანეთ, რა სიმღერა დაგიტკბობთ სმენას
და იმის კვალად დავჭიმავ ამ ხვლანჯისა ძაფებს...
აბა თუ ვინმე ებრაელი ებრაელთ ქვეყნად,
თუნდა ღარიბი, თუნდ მდიდარი ცუდს იტყვის ჩემზე?
რომ დავიკარგო, წმიდანებშიც კი ჩამრიცხავენ!..
ებრაელების ფიქრებიდან, აზროვნებიდან
სამუდამჟამოდ ამოვაფრთხობ შესიის იმედს,
მონებს და სულელებს დავაფიცებ ფარისეველთ მზეს,
ფარისევლებს კი გადავუქცევ რომს ერთგულ ყმებად
და მთელ ქვეყანას, მოჯანყეს და მუდამ მშფოთარეს,

მორჩილებისა თაიგულად მოგართმევთ თქვენა.
განა მესია რომელიმე, ან თვით ეროდი,
ან არხელაი, მის მემკვიდრე, შესძლებდნენ ამას?!.

პილატ.

იმედი შენი დიახაც მაქვს: 'შენ უნდა მართლა
მართალს ამბობდე...

იუდა. მართალს ვამბობ და გთხოვთ, ნაბიჯებს
ნურც გამიზომავთ, ნურც დამითვლით, ნურც დამიწუნებთ,
მხოლოდ მომყევით, ვიდრე საქმეს თავს მოვაბამდე.

პილატ.

მაშინ მარჯვენა პილატესი მეფობის გვირგვინს
დაგადგამს თავზე.

იუდა. იქნებ მაგის ღირსი არ ვიყო,
მაგრამ ის კია, რომ აქამდე არც ერთ მესიას
არ მიუგნია სინამდვილის გზა და კვალისთვის
ისე, როგორც მე... მტკიცედა მწამს, რომ არა ვცდები...

პილატ.

მეც ეგრე ვგონებ და იმასაც ვიფიქრებ ხოლმე,
რომ ებრაელთა მესიად შენ გამოგაცხადო...

იუდა.

ოღონდ ის ღმერთი, დღეს რომ ირგვლივ შემოგსალტვია...

პილატ.

რა ვუყოთ იმას?

იუდა. იმას ჩემი კოცნა გიჩვენებთ
და ამ კოცნაზე შეპყრობილი ჯვართ უნდა ვაცვათ.
როდესაც ღმერთი თვის ღმერთობას ვერ დაამტკიცებს
და ვერც აღდგება იგი მკვდრეთით — ხალხი უარჰყოფს...

დღეს კი... არა ჰღირს მასთან ბრძოლა, სისხლიანობა.
გჯეროდეთ ჩემი და მშვიდობით ახალ ამბამდე...

(გადის საჩქაროდ)

პილატ.

რა საიდუმლოდ მიჰყავს საქმე- ამ ვირეშმაკას!..
რა მენაღვლება: რომის თვალით ვუყურებ სეირს.

მოქმედება მეოთხე

ს უ რ ა თ ი I

იერუსალიმი. ტაძრის მოედანი.

ენოქ.
რა წამს მოადგა აჯანყებულ მონათა რაზმით
ნაზარეველი აქოთებულ იერუსალიმს,
ხელიც არ გასძრეს რომაელთა: თხებივით დაფრთხნენ
ბრძოლის ველიდან და საითღაც გადაიკარგენ.
პილატეს უთქვამს: ჩვენ არავის ძალით არ ვიპყრობთ,
თუ ებრაელნი ჩვენთან თვით არ ისურვებენო.

თორა.
სინედრიონი?

ენოქ.
სინედრიონს კლიტე დაადეს...

თორა.
სასწაულია ჭეშმარიტი ამგვარი ძლევა
რომაელების.

ენოქ. და იესოს განცხადებები
ამტკიცებს იმას, რომ ღმერთია იგი ნამდვილი:
ბრძენსა და მამაცს, კაცთმოყვარეს და ლმობიერსა
მეომართათვის ასე უთქვამს: დამარცხებული
მტრის შეწყალება არ წაგახდენთ გამარჯვებულთო.
ელიაზარი, ჩვენი რაბიც ასე ამბობდა.
რათ გაგაჟრჟოლა?

თორა. ზამთრის სუსხი კვლავ ჰქრის ლიბანით:
კუდ-მაკრატელა და ფრთაგრძელა მერცხლებსაც სრულად
არ უმღერიათ გაზაფხულის მტკიცე დადგენა,
და ამასთანავე ხომ დილაა, ჯერ გარიჟრაჟი!

ენოქ.
ჰო, მართალია, რომაელთა მარტის იდები
უკვე გათავდა, ვერძი განქრა და კურო დაჯდა
ღამით ჩვენს ცაზე... რას ვამბობდი?.. ჰო, მოგაგონდა:
ღმერთია იგი, ძე დავითის, წინასწართქმული...

თორა.
ის ხომ აქ იყო, მოახდინა სასწაულები
და შემდეგ უცბად გადაფრინდა გალილეაში!

ენოქ.
ჰოო და ეხლა კვლავ დაბრუნდა ხსნად ებრაელთა.

თორა.
რომაელები?

ენოქ. მოელიან ტიბერის შველას.

თორა.
ღმრთის წინაალმდეგ?

ენოქ. იმათ ღმერთად არა სწამთ ესა.

თორა.
ეგ მე არ მომწონს!.. ჩვენი მხსნელი სად არის ეხლა?

ენოქ.
იერუსალიმს გარეთა დგას და მოელიან
დღეს შემოსვლასა... აგერ, ხალხი გროვდება კიდეც
მის შესახვედრად ყვავილებით და ათასნაირ
წინ გასაფენი, შესამკობი ფიანდაზებით.

თორა.

შეხე, შეხედე: ბრმები, კოჭლნი, კეთროვანები
და ათასგვარი სნეულები თავს იყრიან აქ.
ამდენ სათხოვარს ერთის ჭკუა როგორ გასწვდება?

ენოქ.

სულ ტყუილად კი გამოსულან.

თორა. რათაო მითომ?

ენოქ.

იმიტომ: ერთხელ ხომ გვიჩვენა მან სასწაული!
რა საჭიროა მკურნალობას აჰყვეს სნეულთა,
როცა საქმე აქვს უფრო დიდი, საქვეყნიერო?!
წავიდეთ იქით. (გადიან)

იუდა. (შემოუძღვის სნეულთ დაკოჭლებს)
გამიგონეთ უბედურებო!
დატრიალდით და, წანამ ღმერთი გამოივლიდეს,
უთხარით ბრმებსა და სნეულებს ყველა ჯურისას,
აქ გამოვიდნენ შესახვედრად, განსაკურნავად.
მოსთხოვეთ ყველამ დაჟინებით მკვდართ გაცოცხლება,
უსინათლოთა თვალთ ახელა, სნეულთ განკურნვა,
ფარისეველთა, სადუკეველთ და მღვდელმთავრების
სარჩოს წართმევა საწყალთათვის დასარიგებლად.
ჰა, აბა ჩქარა!

1 სნეული. ამ წუთსავე ქვეყანას შევყრი,
თუმცა ხომ ჰხედავ, თავისთავად იკრიბებიან.
მე მაინც წავალ...

იუდა. წადი, წადი, სხვებიც დაგზავნე.
(თავისთვის)
თუ სნეულებმა შეაწუხეს და მდიდართ სარჩოც
მოითხოვეს მათ ღატაკთათვის დასატაცებლად,

ჩემი განზრახვა უეჭველად მიზანს მიაღწევს:
ღმერთი ღმერთობას ხალხისა წინ ვერ გამოიჩენს
და დამარცხდება იგი ისე, როგორც მე მინდა.

(შემოდის ენოქ)

ენოქ.

ერნო და ხალხნო! სმენა იყოს და გაგონება!
უსინათლონი, კოჭლები და სხვა სნეულები
დაბრუნდით სახლში, რადგან ღმერთი თვის აღდგომამდე
არცა განკურნავს, არცა ვისმე აღადგენს მკვდრეთით.

სნეულთ ხმა.

ვაი ჩვენს თავსა!

ენოქ. აღდგომა კი იქნება მხოლოდ
მეორედ მოსვლის დროსა და ჟამს...

სნეულთ ხმა. ვაი ჩვენს თავსა!

(გადიან)

იუდა.

ეს მე არ მომწონს. (გადის დაფიქრებული)

ფარისეველი. ებრაელნო, მრავალტანჯულნო!

ხმები.

ჩუ! მოუსმინეთ!

ფარის.

დღე გაგვითენდა მარგალიტებრ ტურფად მბრწყინავი
და ღმერთი ჩვენი მოევლინა იერუსალიმს...
ჩვენ ვმუშაობდით, ტვირთმძიმენი ვიბრძოდით კიდეც...

მაწანწალა.

ტვირთმძიმენიო, თავის თავზე როგორ ტრაბახობს!..

ფარის.
გვწამდა მის მოსვლა და კიდევაც ხალხს ვასწავლიდით,
წინასწარმეტყველთ ქადაგებას შთავაგონებდით
და ჩვენს კისერზე ამ მძიმე ტვირთს ვალადა ვთვლიდით...

მაწანწალა. ხა-ხა-ხა-ხა-ხა! როგორ ცრუობს!

სადუკეველი. ჩუმად შე ბრიყვო!

ფარის.
დიახ, ამ ბრიყვსა არაფერი არ დაუჯეროთ,
რადგან ტაძარში უდიდესსა ვანთებდით სანთელს
და სიმდიდრესაც ჩვენსას ჩვენსავ საბედისწეროდ
ვწირავდით ღმერთსა ხალხისათვის ხან ნაწილს, ხან მთელს.

მაწანწალა. ხა-ხა-ხა-ხა-ხა! რა მკვეხარა ყოფილა!

(შემოდის ი უ დ ა)

ენოქ. სცრუობთ!

ფარის.
აბა მაგის თქმა აქ, საქვეყნოდ, ვინ გაიგონა!
სიცრუეს იტყვის სადუკი თუ ფარისეველი?..

მწიგნობარი.
ჰო, მართალია! მე მწიგნობარს — აბა იფიქრეთ —
რამდენი სიტყვა მითქვამს თქვენთვის ჭკვაზე მომყვანი?
რამდენჯერ თქვენთვის ამიხსნია: არ ვარგა ძარცვა,
სხვისა ქონების წართმევა და ცრუი სიტყვის თქმა!
ისიც ხომ მითქვამს, რომ საწყლების ხელის გამართვა
აუცილებლად საჭიროა სიტყვით თუ საქმით?!.

მაწანწალა.
ხა-ხა-ხა-ხა-ხა! დახე ამათ, რადმენს ტყუიან!

ენოქ.
სიტყვით კი ამბობთ, მაგრამ საქმით სულ ცრუები ხართ:
საწყალთ მყვლეფელნი, მოძულენი და ჯალათები.

მაწანწალა.
მაშა, ჰო, მაშა! ეგრე, ეგრე! ჰოი მაგათი!

ფარის.
შენ ეი, ენა რომ წაიგძელე, — ჩვენ არ გაჭმევთ პურს?
თუ შენობისთვის ქვა და კირი არ გაზიდვინეთ,
ან ბოსტნები არ გაბარვინეთ — ვინ გაჭმევს ლუკმას?

მაწანწალა.
ჰოო მაგიტომ? დღედაღამე რომ გვამუშავებთ
და ამ შრომაში გვახმობთ მხოლოდ ერთ ლუკმა პურზე —
დედას გიტირებთ მაგისათვის მესია თქვენა!

ფარის.
ჩვენ კი არა, თქვენ: მაწანწალებს, ნაძირალებსა!
პატიოსანნო! გეყურებათ რა ცილსა გვწამებს?

ხმები.
ცილი კი არა, მართალია.

მღვდელი. ყური დამიგდეთ.
ბევრი სიკეთე ჩვენც მიგვიძღვის,მღვდლებს,თქვენს წინაშე...

ენოქ.
არავითარი! სულ ორფეხა მგლები ბრძანდებით.

სადუკეველი.
თქვენ რომ ჭკვა გქონდეთ, განა ეხლა ჩვენ შეგვებრძოდით,
როდესაც ღმერთი გამოგვიჩნდა და რომაელთა
ძლიერებასთან ბრძოლა უნდა დავიწყოთ ცხარე?!.

ენოქ.

თქვენ არ დაიწყებთ მტერთან ბრძოლას. თქვენ ან შეძვრებით
ღრმად სოროებში, ან უცხოეთს გადიკარგებით,
ან ქრთამს აიღებთ და ისევ ჩვენს მტერს მიემხრობით...
თქვენ ბაბილონის ტყვეობაში გაჰფუჭდით მთლად და
დაბრუნებულნი მხოლოდ არცხვენთ ებრაელთ სახელს.

იუდა.

ჰო, ეგრე, ეგრე! ვენაცვალე შენს ღმერთს ჭკუაში.

ფარისეველი.

თვითონ მესია დააფასებს ჩვენს ღვაწლს, ჩვენს შრომას
და რაღას იტყვით მაშინ ბრიყვნო და უგუნურნო!

ენოქ.

ოჰო - ჰო - ჰო - ჰო! დახე მაგას! მუდამ მაძღარნი
ფარშევანგების ტვინითა და ფლამანგის ენით,
ზღვის ზღარბის ხორცით, ტარენტენელ ლოკოკინებით,
მუდამ მაძღარნი ქათმებით და ხიოსკურ ღვინით,
ინდის ხურმითა, ბროწეულით, დამასკის ხილით —
ისევ ჩვენ, საწყალთ, დღე - ღამ მშრომელთ, გვემუქრებიან!
თქვენ ფუჭად ჰხარობთ: ის მოვიდა ყმათ განტევებად,
თქვენ კი უყმებოდ როგორ გასძლებთ, როგორ იცხოვრებთ?!.

ფარის.

თვით ღმერთმა მოგვცა ჩვენ ყმები და იგი წაგვართმევს?

ენოა.

ისე რომ, კიდევ იმედი გაქვთ ყმათა შერჩენის?
არა, თქვენ მაგას ვეღარ დასძლევთ, ვეღარ იხილავთ.

ფარის.
მაგნაირ ღმერთსა არ მივიღებთ მაშინ ჩვენ ღმერთად.

ენოქ.
ღმერთი მოვიდა და თქვენ გინდათ ის არ მიიღოთ?
ღმერთი მშრომელთა, ტვირთმძიმეთა და დაჩაგრულთა!..

ფარის.
დიახ, ჩვენა ვართ სწორედ ეგა: რომაელთაგან
დაჩაგრულები და შრომითაც მუდამ მშრომელნი...

მაწანწალა. ხა-ხა-ხა-ხა-ხა! არ შეიძლება მაგ შენს ლიპზე საქანელები ჩამოვაბათ?

ხმები. მესია მოდის...

(აირევიან და შემდეგ დაწყნარდებიან. ი უ დ ა გადის)

ფარის. აბა გოგონა, მე მომყიდე ეგ ყვავილები.

მწიგნ. მაგას კი არა, მე მომყიდე. მე ვერ დაუფენ?!.

ფარის. არა, გოგონა: მე მაგაზე უფრო მეტს მოგცემ.

მეყვავილე. (აძლევს ფ ა რ ი ს ე ვ ე ლ ს)
აჰა მაშ შენა, ვინც მეტს მომცემს, მეც იმას მივცემ.

მწიგნ. ოჰ დედაკაცო, ყველაფერს რომ ვაჭრულად ზომავ!
შენ მართლა ღირსი არ ჰყოფილხარ სასუფევლისა...

(გადის)

გალობა. „ოსანა მაღალთა შინა! კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათა“.

ხმა. (გრძელი და იდუმალი)
„იესო ნაზარეველი, მეფე იუდეველთა“!.

ხმები. რაბი! რაბი! რაბი! ოსონა მაღალთა შინა! რაბი! რაბი! რაბი!

ხმა იდუმალი. „იესო ნაზარეველი, მეფე იუდეველთა“.
(შემოდიან თორმეტნი)

მაია. რომელი არის ნატავ ძე ჩემი?. ერთმანეთს ჰგვანან. ღმერთო, მომეცი გონება და მეცნიერება, გამოვიცნო გამოსაცნობი... იესო, იესო! მომეცი ხმა დედაშენს.

1-ლი ბრბოდან. რომელი არის იესო, რომ ყვავილები დავუფინოთ?

მეორე. მაინც და ვერც მე გამომიცვნია. სულ ერთი დედის შვილებსა ჰგვანან.

მესამე. მგონი, რომ ყველანი უნდა იყვნენ.

მეოთხე. ყველანი?

მეხუთე. არა, ის ჯერ არ მოსულა, მაგრამ მოვა.

იუდა. (მოძრაობს: ხან თერთმეტთან არის, ხან ბრბოში. თავისთვის)
რომელიაო, მეც რომ მკითხონ, რა ვუპასუხო?
„მმ“ გავაგრძელო, თუ დავლეჭო გაუგებრობა?

პირველი.

ღმერთს გეფიცებით, ვერაფერი ვერ გამიგია.

მეორე.

ალბად ის მართლა ბოლოს მოვა, ვით ჰშვენის ღმერთსა.
(პირველი თორმეტთაგანი იწყებს ლაპარაკს)

ბრბო.

ოსანა მხსნელსა.
— სმენა იყოს და გაგონება!

პირველი თორმეტთაგანი.

მოვედინ თქვენდა დაჩაგრულნო, ერნო მომთმენთა
და ყოველივეს, ვინც ჩემ სიტყვას შეისმენს მტკიცეს,
ვამსგავსებ ძესა გონიერსა, რომელიც კლდესა
მკვიდრსა და მაგარს დადგამს სახლსა, თვის თავსაფარსა,

საცა ვერც ქარი, ვერცა წვიმა, ვერც ზღვა მდინარი
ვერ დასცემს თავზარს დაშენებულს ფუძესა მაგარს.
ხოლო ვინც სიტყვა არ მიიღო, ჩემგან რომ ითქვა,
ვამსგავსებ ცოფსა, უგუნურს და ღვთის უარმყოფსა,
რომელმან ცვტად დადგა სახლი ქვიშასა ზედა
და, ოდეს მოსქდა წვიმა-ქარი მთათა და ბორცვთა,
წალეკა სრულად, ვით ნაგები ბავშვთა ხუხულად.

ბრბო.

ამინ მესიას! გაუმარჯოს თავისუფლებას!

იუდა.

ეს არა ხუმრობს! ისე ამბობს, თითქო ნამდვილად
ზეციდან იყოს მოვლენილი, რომ დაუჯეროთ.

2 თორმეტთაგანი.

მოველ ნათელგცე, ბნელ-წარმართნო, სულითა წმიდით,
რომლის ნიჩაბიც ჩვენ ხელთ არის განწმენდად თქვენთა,
როგორც კალოზე იფქლისა ღვარძლით და მიწით,
რათა ცოდვები დავწვათ ცეცხლში უწმინდურ ბზედა.

ხალხი.

ოსანა მხსნელსა! გაუმარჯოს თავისუფლებას!

იუდა.

ეს კიდევ ცეცხლით გვემუქრება... მე რა ვთქვა, მე, მე?..

3 თორმეტთ.

ჰოი დედანო! ნეტარ ხართ თქვენ, რომელთა შვილნი
მსხვერპლად მიიღო თავდადებამ უკეთესისთვის...

იუდა.

ვიჰ, სად გადასწვდა! მაგრამ მაინც ცალმხრივი არის!

მაწანწალა.

გვითხარ მეფეო, დიდრაქმასა კიდევ წაგვართმევ?

4 თორმეტთ.

როგორა ჰგონებთ? ხელმწიფენი ქვეყანისანი
ხარკს ვისგან ჰკრებენ, შვილთაგან თუ გარეშეთაგან?

ყველანი.

გარეშეთაგან — უეჭველად გარეშეთაგან.

5 თორმეტთ.

მაშ ჩემნი შვილნი თავისუფალ არიან მისგან.

ბრბო.

ამინ მესიას! გაუმარჯოს თავისუფლებას!
— შენნი ვართ შვილნი! ჩვენ სხვა მამა არავინ გვინდა!

იუდა.

იფ, რა კარგია! საკენკისა დაყრაც სცოდნიათ!
„შენნი ვართ შვილნი“, რა თქმა უნდა, ეგრე იქნება!

ფარის.

ეს შეგნება კი ჩვენ ჩავურგეთ თავში ამ ხალხსა.

სადუკ.

მიტომ პირველი შვილნი ჩვენ ვართ ცათა მეფისა.

მწიგნობარი.

მიგვიღე, მეფევ, ჯდომად შენდა მარჯვენა გვერდით!

იუდა. (თავისთვის)

ვაი მეხი კი დაგაყარეთ მაგ ცბიერ თავში!

მაწანწალა.

ხა - ხა - ხა - ხა - ხა! მაგ სისქენი სად დაეტევით!

მწიგნობარი.

გაჩუმდი ბრიყვო, არამზადავ, შეჩვენებულო,
თორემ მესია არ შეგარჩენს კადნიერებას!

მაწანწალა.

ხა-ხა-ხა-ხა-ხა! შეხეთ, როგორ მოულაქუცეს!
ასე გონია ამათთანაც გაუვიდოდეთ!

იუდა.

მაგრამ მე რა ვქნა... დაიჩულა თითქო გონება...
საითა მხრიდან მოუარო ამ ქაჯის მახეს!?.

6 თორმეტთ.

რომელმაც თავი დაიმდაბლოს, იგი ამაღლდეს,
ხოლო ვინც თავი აიმაღლოს, დამდაბლდეს იგი!..

ფარის.

ჰო, დიახ, დიახ, სწორედ ისე, აი როგორც ჩვენ:
ჩვენ ყოველთვის თავს ვიმდაბლებდით.

მაწანწალა. ხა-ხა-ხა-ხა-ხა!

იუდა.

აბა იუდა, იფიქრე და თვალყურით სდიე...

7. თორმეტთ.

ვაი თქვენდა მწიგნობარნო და მღვდელმთავარნო!
ფარისეველნო და ორგულნო, ღირსნო საქოქად,
რადგან შესჭამდით ქვრივთა სახლებს, ხოლო ტაძრებში
გძლად ილოცვიდით, ვითომ მათდა კეთილსაყოფად.
იმათი შრომით დაპურებულთ და გამძღრებს ძერად,
დახშული გქონდათ ყურთა სმენა სიმსუქნით ისე,
რომ შიმშილისგან ხალხის კვნესა გესმოდათ მღერად
და ერთობოდით, ვით მხედნავი და მოვარჯიშე!
უსასტიკესი სასყიდელი გელით ამისთვის!

ბრბო.

ამინ მესიას! გაუმარჯოს თავისუფლებას!

ფარის. (ყველა თავისიანებს)

რაო? ჩვენ გვლანძღავს სადუკეველ - ფარისეველთა,
მღდელ-მწიგნობართა, მღდელმთავართა და ქვეყნის კარგთა?

იუდა.

სამაგიეროდ გზა გამოჩნდა... მაგრამ ის მაინც
ბუნდოვანია... სად უყელო, ნეტა ვიცოდე?..

8 თორმეტთ.

ვაი თქვენდა მწიგნობარნო და მღვდელმთავარნო!
ფარისეველნო და ორგულნო, რამეთუ დაჰხშავთ
სასუფეველსა ზეცათასა წინაშე კაცთა,
თქვენ არა ახვალთ, ამავალთაც აბრკოლებთ ასვლად.
თქვენ უსამართლოდ დაიჩემეთ ღვთის მსახურება,
უსირცხოდ ჰკრებდით მაშვრალთაგან ხარკს, შესალოცსა:
ღმერთის სახელით აყვარებდით მას მორჩილებას,
ღმერთის სახელი შეუჭამდით სულსა და ხორცსა.
სამარადჟამო სატანჯველი გელით ამისთვის!

ბრბო.

ამინ მესიას! გაუმარჯოს თავისუფლებას!

ფარის.

გაიგეთ რა სთქვა?

იუდა. აღარ ვიცი, როგორ მოვიქცე...

9 თორმეტთ.

ვაი თქვენდა მწიგნობარნო და მღვდელმთავარნო,
ფარისეველნო და ორგულნო ყოველსა ზედა,
რამეთუ დახვალთ ზღვა - ხმელეთად რომ მწირი ვინმე
გარდააქციოთ თქვენზე უფრო გეენის ძედა.
თქვენ კეთილ ხალხზე უკეთურად განირთხეთ ბრჭყალი
გამყიდველობით, გამცემლობით და მოსყიდვითა.

ღვარძლსა სთესავდით ტანჯულთ გულში უხეში ძალით
და მოიმკიდით არსობის პურს სანაცვლოდ იქა.
ათიათასი ჯოჯოხეთი მოგელით მისთვის!

ბრბო.

წყევლა და კრულვა ფარისეველთ! ამინ მესიას!

ფარის. (თავისიანებს)

სულ ჩვენა გვწყევლის...

იუდა. მე კი სულ ღრმად და ღრმად ვეფლობი

10 თორმეტთ.

ვაი თქვენდა მწიგნობარნო და მღვდელმთავარნო,
ფარისეველნო და ორგულნო! ვაი თქვენ მარად,
რამეთუ ჰკრებდით თვით ძირაკსა პიტნაკისასა
და დაგვიწყნოდათ სამართალი ცოდვათა ფარად.
თქვენი ლოცვები თავს დასჭექდა ხალხს, ვით თარეში,
შეშინებულებს იმონებდით რაღაც შებოდვით
და რაც უფრო ღრმად ებმებოდა მონა მახეში,
თქვენ უფრო მეტი სითამამით თავხედდებოდით.
უსასტიკესი საზღაური გელით ამისთვის!

ბრბო.

ფარისევლების მონები ჩვენ აღარ ვიქნებით!

ფარის. (თავისიანებს)

ჩვენ წინააღმდეგ შეთითხნილი ეშმაკი არის:
ხარკის აკრეფას გვიკრძალავს ჩვენ და გვემუქრება.

იუდა. (წასჩურჩულებს)

და თქვენი ჯიბით მშიერ-მწყურვალთ იმადლიერებს.

11 თორმეტთ.

ქვეწარმავალნო! ცოდვა თქვენი ამძიმებს ძნიად
თქვენთა წინაპართ, აწმყოსა და შთამომავლობას!
თქვენ, ჯოჯოხეთნო! ზედ აწექით ღამედ და ტყვიად
საამქვეყნიო სიხარულის ღმერთსა და ძმობას,
რადგანაც ხალხი, მძიმე შრომით ქანცგაწყვეტილი,
აქციეთ პირუტყვ საქონლად და ბორჩილ ნადირად,
რათა მოგეკლათ ყოველივე მისი კეთილი
და გებატონათ ამ პირუტყვზე უფრო ადვილად!
ვაი თქვენ, რადგან გელით ტანჯულთ შურისძიება!

ბრბო.

წყევლა და კრულვა ფარისეველთ! ამინ მესიას!

ფარის.

არ არის, არა, ეგ მესია!

იუდა. აჰა, თავდება
მგონი საფლობი... კიდევ, კიდევ, რაღას გაჩუმდით!

1 თორთმეტთ.

ცოფნო და ბრმანო, წინამძღვარნო უსამართლონო,
რომელ დასწურავთ ბურნაკს, ხოლო აქლემსა შთანთქავთ,
ვაი თქვენ მარად, რამეთუ ერთს იტყვით სიტყვასა,
ხოლო საქმითა სიკეთისთვის თითსაც არ გასძრავთ.
მაგრამ ვაი თქვენც დამპყრობელნო ებრაელთ ერის,
რომელთაც იგი გააშიშვლეთ სარჩო-ქონებით:
ჯერ თავს ირჩენდით მისი ძარცვით, მისი დარბევით,
ხოლო მასუკან — მის სიბნელით, მის დამონებით!
უზენაესი მსჯავრი გელით თქვენ ამისათვის!

ბრბო.

ამინ მესიას! გაუმარჯოს თავისუფლებას!

ფარის.

როგორა სცრუობს! განა ღმერთი იტყოდა ამას!?

სადუკ.

არ არის ღმერთი!

მწიგნ. მართალია, არ არის ღმერთი!

იუდა.

გზა სულ გამოჩნდა და საფლობსაც, მგონი, გავედი.

2 თორმეტ.

ვაი თქვენდა მწიგნობარნო და მღვდელმთავარნო,
ფარისეველნო და ორგულნო! ზიზღი თქვენ ცითა,
რამეთუ ჰგავხართ საფლავებსა გარე მშვენიერ,
ხოლო შინაგან აღსავსენი ბინძურებითა.

მღვდელი.

ქვეყანა ესე ჩვენგან არის და ჩვენა გვწყევლის?!

ფარის.

ასეთი ღმერთი არ გვინდა ჩვენ... განვედი ჩვენგან!

4 თორმეტ.

ვაი თქვენ, რადგან ნაშობნი ხართ იმ მამათაგან,
რომელნიც ჰგვემდნენ და სდევნიდნენ წინასწარმთქმელთა,
ხოლო თქვენ — შვილთა — საწყაული აღავსეთ მათი
და სამართალი სატანჯველად გიპყრიათ ხელთა.
ვაი თქვენ, რათა მოიწიოს თქვენზედან სისხლი,
სისხლი უმანკო, სისხლი ბოროტ მოდგმათა წყევლის,
სისხლი აბელის სისხლით ვიდრე ზაქარიამდე,
რომელ მოჰკალით შორის ტაძრის და საკურთხევლის.

ბრბო.

ამინ მესიას! წყევლა-კრულვა ფარისევლებსა!

ფარის.

გაიგეთ? მას ჰსურს რომაელთა დამხობა მისთვის,
რომ ჩვენი თავი შეაჭამოს მშიერ - მწყურვალთა.
არა, ასეთი მესია ჩვენ არა გვჭირდება.

იუდა.

სუმთლად გავედი სამშვიდობოს: აღარ - რა მიშავს.

მწიგნობარი. (მესიას)

უფალო, რისთვის იზიარებ ბოროტთა საქმეს
და არა მისცემ პურს გლახაკებს, ვისთვისაც მოხველ?

იუდა.

ჰოო, ეგა თქვით, ეგ უთხარით, საქმე მანდ არი!

ფარის.

პური განძღომად გლახაკთათვის, პური!

(იუდა ჩადგება თერთმეტს შორის მეთორმეტე)

ნ თორმეტთაგანი.

პურს მივცემთ გლახაკთ და დაცხრება თქვენი ბეღლები,
სავსენი საწყალთ ნაოფლარით, საწყალთა შრომით!
პურს მივცემთ გლახაკთ და დაცხრება თქვენი მუცელიც,
სახელგანთქმული კაცთა შორის სიხარბით, მგლობით!
პურს მივცემთ გლახაკთ და დაცხრება რომაელთ რისხვაც,
სავსე მრუშობით, წვრილთა ჩაგვრით და მტაცებლობით!..

(ი უ დ ა ს სახე გაუბრწყინდება)

იუდა.

მშიერ - მწყურვალნო, სად არს იგი მდიდართა განძი
მოცემად თქვენდა?

ბრბო. გეტყვით, გეტყვით, რამეთუ ვიცით.

იუდა. აღიღეთ იგი!

ბრბო. აღიღეთო! — ამინ მესიას!

(გახარებული ბრბო ზღვის ტლღასავით მიაწყდ-
მოაწყდება და გაგრიალდება მდიდართა გასაძარცვად)

თორმეტნი.

რა ჰქენით ესა! შეაჩერეთ ბრბო უგუნური!

(გარბიან აღშფოთებულნი)

იუდა.

ე-ჰე, ჩავაგდე მგლის ხაფანგში გალილეველი!
ველარ წამიხვალთ!.. მღვდელმთავარნო, ფარისეველნო,
მოდით აქ, ჩემთან, მოისმინეთ სიტყვა მონისა:
მართალი არის, თქვენს ქონებას გასწეწავს ეს ბრბო,
მაგრამ გოდოლი შეექმნებათ ბაბილონისა...
ხელს ნუ შეუშლით... გაუმაძღარ სიხარბისაგან
სუსტნი და მძლავრნი ერთმანეთში აირევიან,
ტაციაობის სიმსუნაგით გატაცებულნი
სხვებს დაამშევენ, მაგრამ თვითაც დაიმშევიან.
მაშინ მესია განიბნევა სამარადჟამოდ
ტვირთმძიმობიდან ტვირთმძიმეთა დახსნის აზრებით
და არა მარტო ამ ტვირთმძიმეთ და საწყალ მონებს,—
მაწანწალებსაც, გლახაკებსაც მოენატრებით.
უწესოებაც რომაელებს მისცემს უფლებას,
ჩვენს საქმეებში ჩაერევნენ დღის სიცხადეზე
და, მონათაგან ძირს გართხმულნი დღეს გასაძარცვად,
სამარადჟამოდ და ურყევად აღდგებით ზეზე.
ეხლა კი წადით, თქვენს დარბევას უყურეთ მშვიდად.

(კინო უჩვენებს დარბევას. ისმის მძარცველთა და დამ-
რბევთა ყიჟინა, ხმები).

ხმები.

— გულღვიძლიანად ამოვგლიჯოთ ჩვენი ცოდვები
ფარისევლებსა!

— მწიგნობართაც!
— მღვდელმთავრებსაცა!
— ჩვენი სიშიშვლე არ მიაჩნდათ მათ ჩალა - ბულად...
— ნურც ჩვენ მივიმჩნევთ იმათ ტანჯვას, სიღატაკესა!
— სიცარიელე დავუტოვოთ სახლებში ძეგლად!
— ნატისუსალი დაუხრჩოლოთ ამბრების დაცლით!
— ღვთის სადღეგრძელოდ ხიოსკური გადავკრათ ღვინო!
— სამკაულებით თავი ჩვენი შევილამაზოთ!
— იმათ ქალწულებს ვაზღვევინოთ ჩვენი ნამუსი!
— კერაზე წყალი დავუსხათ და ავუნიაოთ!
— „იესო ნაზარეველი, მეფე ებრაელთა“!
— არ დაგავიწყდეთ ფარჩეული და ხალიჩები!
— ჩვენსა მესიას გავუფინოთ წინ ფიანდაზად!
—„იესო ნაზარეველი, მეფე ებრაელთა!“
— კმარა, წავიდეთ მესიასთან თაყვანისცემად!

(ბრბო შემოდის ნაძარცვით, ზოგნი მთვრალები).

ბრბო.

რა იქნა მხსნელი, თაყვანი ვცეთ.

იუდა. მესია გინდათ?

ბრბოდან.

დიახ მესია! რომელია, გვიჩვენე იგი.

იუდა. (თავისთვის)

თვითაც არ ვიცი, რა უჩვენო ნეტავი ამათ...

(შემოდის ვირით ყრუ-მუნჯი გლახა. იუდას სახე გაუბრწყინდება და მხიარულად მიჰმართავს ბრბოს).

არ გეყურებათ, აჰა მხსნელი მოვიდა თქვენი.
თაყვანი ეცით! (უჩვენებს ყრუ-მუნჯს)

ბრბო. ამინ, ამინ... ოსანა მხსნელსა.

(ყრუ-მუნჯს წინ უფენენ ნაძარცვ ფარჩეულს, ხალიჩებს და სამკაულებს, მუნჯი გაკვირვებულია და სულ ცისაკენ იშვერს ხელებს. ისმის გალობა „ოსანა მხსნელსა". შემოდის ცენტურიონი. იუდა ახლოს მიდის მუნჯთან და მიჰმართავს ხალხს:)

იუდა.
ხალხნო, მესია მოგიწოდებთ, წაიღოთ სახლში ღვთის მოცემული, რადგან იგი ახლა სხვას მოგცემთ...

(საჩქაროდ დაიცლება მოედანი. რჩება მხოლოდ ვირზე მჯდომი, ცისაკენ ხელაღპყრობილი ყრუ-მუნჯი.)

ცენტურ.
მდაბალი სალმით მზად გახლავარ სამსახურისთვის.

იუდა.
რომელმა ღმერთმა შთაგაგონა აქ მოსვლის ფიქრი?

ცენტურ.
რომელიც უნდა დამანახვოს იუდას კოცნამ.

იუდა.
კოცნა საჭირო აღარ არის: აგერ, შეიპყარ.

(ყრუ-მუნჯს წაიყვანენ. მას ხელები ისევ ცისაკენა აქვს აღპყრობილი.)

ს უ რ ა თ ი II

გზა გეთსიმანიისკენ

1-ლი მაწანწალა. წამო და წავიდეთ საგოდებელზე.

2-რე მაწანწალა. რა გინდა საგოდებელზე?

1-ლი მაწ. უნდა ვიტირო და ვინატრო მამიჩემის ბედი, რომელიც ლოდ ქვეშ არის ამოფარებული. განა ის არა სჯობია ამ ჩვენს ცხოვრებას? როგორ მოგვატყუეს! გაგვა-

ძარცვინეს ფარისევლები და ათას წელს დაგროვებული ქონება ერთ დღეს შეგვაჭამეს! ეხლა აღარც იმათა აქვთ, აღარც ჩვენ, — რაღამ გვაცხოვროს.?!

2-რე მაწანწ. ვიჰ, რა ბრძნულადა ლაპარაკობ! მე კი ისე მშიან, რო... წამო ფარისევლებთან... ისევ ისინი გვაჭმევენ პურს... (გადიან. ენოქს შემოსდევენ ფარისევლები)

ფარისეველი. (ენოქს) განა ღმერთი იმას იკისრებდა, რომ ჩვენ წაგვართვა მრავალ წლის ნაამაგდარი და მშიერ-მწყურვალთ დაურიგა, ქურდები გაახარა?

ენოქ. მერე, მაგიტომ გაჰყიდეთ ებრაელთა სამშობლო?

ფარის. ვის რათ უნდა ისეთი სამშობლო, სადაც მდიდარს ართმევენ და ღარიბს აძლევენ — ქურდებს ნებასა რთავენ, დაეპატრონონ სხვისა ქონებას?

ენოქ. რას დაეპატრონენ?

ფარის. თუნდ იმასა, რომ ყოველი ჯარისკაცი მთვრალია! განა ჩვენს სახლებში არ დაითვრენ?!.

ენოქ. არა, კაიაფას ფულებმა დაათვრეს... ის ფული კი ისევ თქვენს ჯიბეში ჩავიდა... აგერ, გიხაროდეთ: რომაელებს მოჰყავთ ტყვე ებრაელები.

ფარის. ეგ იმასა ნიშნავს, რომ ღმერთი არ არის იგი.

ენოქ. ვინ იცის, ჯერ ხომ არ დაუსჯიათ! რომ აღსდგეს მკვდრეთით?

(შემოჰყავთ ტყვეები რომაელებს)

რომაელი. გასცი მეთქი, ფეხებს ნუ ჰხლართავ! რომაელთაგან განთავისუფლება ზეთის ხილი ხომ არ გგონია!?.

ტყვე ებრაელი. ძმობილო, შენც მონა ხარ და მეც — რას მეტრაბახები. ჩვენში მხოლოდ ის განსხვავებაა, რომ წე-

ლან მე მეჭირა შუბი, ეხლა — შენ. არ შეიძლება, შევიაროთ რომელიმე ფარისევლის ოჯახში და კიდევ გადავკრათ ხიოსკური ღვინო? მაგის მეტს რას მოგვცემს კეისარი...

რომაელი. გასცი მეთქი, თორემ...

ტყვე ებრ. თორემ რა უნდა მიყო!

რომაელი. მე რა უნდა გიყო, კეისარი გაგყიდის, ან რომელიმე ტაძარს აგაშენებინებს, ან გადაგასახლებს შენი ქვეყნიდან შორს...

ტყვე ებრ. მერე შენ რა?

რომაელი. გასცი მეთქი!

ტყვე ებრ. დამაცა ერთი, რა კაი სიმღერა გითხრა! ებრაული, მუდამ ძველი და მუდამ ახალი სიმღერაა... შეიძლება თქვენც ასე იმღეროთ როდისმე. (მღერის)

„მდინარის პირად ბაბილონისა
ცრემლით მოვნამეთ ველთ ბიზიონი,
ვტიროდით მწარედ გულამოსკვნილნი,
რა მოვიგონეთ ჩვენი სიონი.
თუ დაგივიწყო იერუსალიმ,
თვალთ დამიბნელდეს, მომტყდეს მარჯვენა,
ხოლო თუ ძვირი ვსთქვა შენზე მონამ,
სასასა ჩემსა აექვინ ენა!“
ჰა, მარდახაი? ესე არ არის?

მარდახა. ესეა, ესე: აღდგება მკვდრეთით.

რომაელი. თავისას მაინც რომ არ იშლიან! აბა, გადადგით მარდად ეგ ფეხი.

(ტყვე ისევ მღერით გადის. ენოქი მგლოვიარედ გასდევს მათ.)

ფარის.

ვით მიცვალებულს მგლოვიარე ჭირისუფალი,
ამ მძარცველების დამარცხებას სულ უკან დასდევს
აგე ის ორი დედაკაციც... აქეთ მოდიან.
ერთზე ამბობენ შეპყრობილის დედა არისო.

მწიგნ.

დედა კი არა, საყვარელი არის იმისი,
მეორე კიდევ მეძავია, მაგდალინელი.

ფარის.

ეგეც კი არი, მეძავებად იცნობენ ზოგნი.

(ფ ა რ ი ს ე ვ ე ლ ი და მ წ ი გ ნ ო ბ ა რ ი მოეფარებიან ზეთის ხილის ხეს. შემოდიან მ ა ი ა და მ ა გ დ ა ლ ი ნ ე ლ ი. გზის პირად ამოშვერილ ხის ძირკვებზე დაემხობიან და ქვითინებენ. ფ ა რ ი ს ე ვ ე ლ ი და მ წ ი გ ნ ო ბ ა რ ი მივლენ ახლოს მ ა ი ა ს თ ა ნ.)

ფარის.

შენ ეჰ, ქალო, რა გატირებს ეგრე გულჩვილად?

მაია. (ტირის)

ფარის.

არ გეყურება? აიხედე, შენ გეუბნები.

მაია.

რა გინდა ჩემგან?

ფარის. რა გატირებს მეთქი გულჩვილად.

მაია.

ებრაელების დაღუპვა და განადგურება.

ფარის.

მერე, ვინ გითხრა: განადგურდა, დაიღუპაო?

მაია.

ფარისეველთა სიხარულმა და დამშვიდებამ.

ფარის.
შენა ჰყოფილხარ ჩვენი ცეცხლის წამკიდებელი
და სატირელი რა გვაქვს ჩვენა?

მაია.. ებრაელთ ღმერთი.

მწიგნ.
როგორ? ღმერთი და სატირელი?

ფარის. და ისიც ღმერთი
ცა და ქვეყნისა.

მაია. ჩვენა ვტირით ებრაელთ ღმერთსა.

ფარის.
გამოტყდით, რომ თქვენ ღმერთს კი არა, ჭაბუკსა ტირით,
ჭაბუკს, რომელიც ღარიბია, მაგრამ ლამაზი.

მაია.
მერე, ეგ გიკვირს?

ფარის. კი არ მიკვირს, ვწუხ, რომ დედაკაცთ
ლამაზი კაცის სიკვდილი გწყინთ, სიცოცხლე გიყვართ,
მახინჯები კი წაწყმედილნი ვართ ორივეგან.

მაია.
მახინჯების და უბედურთ ხსნად მოვიდა იგი
და რა არის აქ საკვირველი, რომ მე, მაიამ.
ქალურ სინაზით დავიტირო ძე ხორციელი,
რომელიც იქნებ შვილიც არის ჩემი სიყრმისა!

ფარის.
მაშ ღვთისმშობელი ჰყოფილხარ შენ — სხვა რაღა გინდა!
ნუთუ ჩვენს დროში ღვთისმშობლობას და საყვარლობას
განმასხვავებელ მიჯნად არ აქვს რამე ნიშანი?..

მაია.
მაგდალინელო, წამო თორემ, ველარ ავიტან... (გადიან)

ფარის.

ფეხდაფეხ მივყვეთ ამ ძუ კატებს და მიგვიყვანენ
იმა ხვადებთან, რომელთაც სწამთ მკვდრეთით აღდგომა
ვიღაცა უგბილ მძარცველის და ავაზაკისა.

(გასდევენ)

ს უ რ ა თ ი III

ელეონის მთა.

(სამი მ ე ა მ ბ ო ხ ე თ ე რ თ მ ე ტ თ ა გ ა ნ ი დაღონებული გაჰყურებს იერუსალიმს)

1-ლი თერთმეტთაგანი.

იერუსალიმ!
იერუსალიმ,
რომელიც უღვთოდ ამოსწყვეტდი წინასწარმეტყველთ
და მოვლინებულთ შენი კეთილ-დღეობისათვის!
ოჰ, რაოდენ გზის ვინებე მე შენ შვილთ შეკრება,
როგორც ფრინველმა თავის ფრთებ ქვეშ მართვენი თვისნი,
მაგრამ ამაოდ დავშვრი, რადგან თქვენ არ ინებეთ!..

2-რე თერ.

შიგნიდან გატყდა სიმაგრე ჩვენი:
იუდამ გაგვცა, გაგვყიდა მტრებზე.
ეხლა ჩვენ უნდა დღეში ათასჯერ
ვიცვალოთ სახე და დავემალოთ
თვითონ ჩვენს თავსაც სხვასთან ბაასში.

პირველი თერ.

ვინ დაიჭირეს?

მეორე თერ.

ვიღაც ყრუ-მუნჯი, გლახა საწყალი!

პირველი თერ.

თუ ის ღმერთად სცნეს და ჯვარს გააკრეს
როგორც მესია, — ყბადასაღები
გავხდებით მტრისა, რადგანაც მკვდრეთით
ის ვერ აღდგება...

მეორე თერ. და ყოველივე,
რაც ფეხზე დადის, მაშინ პირდაღმა
უნდა დაემხოს ებრაელთ ტანჯვის
სადღეგრძელოდა! რა ვქნათ ძმობილნო?

პირველი თერ.

რა ვქნათ? ჩვენ მუდამ ვფიქრობდით ხსნაზე,
ვფიქრობდით და თან ვიბრძოდით კიდეც.
ეხლაც იმგვარად უნდა ვიფიქროთ,
ვიბრძოლოთ კიდეც.

ყველანი. როგორა ძმაო?

პირველი თერ.

როგორ? მაგ პასუხს თვითონ ცხოვრება
მოიტანს ჩვენთან წინ წასაძღოლად.

მეხუთე მოქმედება

ს უ რ ა თ ი I

სასახლე

(გარედან ისმის ხალხის ყვირილი „ჯვარს აცვით ეგე“

პილატე.
რას ჰყვირის ხალხი?

იდუა. ჯვარს აცვითო.

პილ. ვინ?

იუდა. თავის თავის
ღმერთად ჩამთვლელი და ტყვექმნილი ებრაელთაგან.
გარდააქცევდა იგი ყოველს ჩვენს ნათესავსა
და აბრკოლებდა ერს კეისრის ხარკის მიცემად.

პილ.
მერე, რას ამბობს? დამნაშავედ ცნობს თავის თავსა?

იუდა.
ყოველ კითხვაზე ხელს აღაპყრობს ხოლმე ცისაკენ
და არას ამბობს, თითქო ცისკენ გვგზავნიდეს იგი
პირდაპირ ღმერთთან, ვით უღირსებს პასუხისათვის.

კარის კაცი.
კაიაფასგან განჩინების სიგელი გახლავთ.
(გადასცემს სიგელს)

პილ. (კითხულობს)

„პილატე, ეგე აღაშფოთებს ებრაელთ ერსა
ჩვენს წინააღმდეგ. მე დავწერე ჯვარცმა მაგისი“.

(მიდგება სარკმელს)

ისრაელთ ძენო! კაიაფა, თქვენი უფალი
და მღვდელმთავარი მწერს სიგელში „ჯვართ აცვი ეგ“-ო.
ჩვენ, რომაელნი, არ ვერევით თქვენს საქმეებში,
მაგრამ რა მოხდა, მან ისეთი რა დაგიშავათ,
რომ ებრაელთა ებრაელი ვერ შეიწყნაროთ?!

ხალხის ყვირილი.

ჯვარს აცვით ეგე ცრუ ხელმწიფე!

მაწანწალა. (შემოვარდება) ჯვარს აცვით ეგე!

იუდა.

რისთვის შემოსტყვერ! გასცი გარეთ და იქ იყვირე
შენიანებთან — მაგისათვის ხვალაც გაგაძლობ.

(მ ა წ ა ნ წ ა ლ ა კიდევ იყვირებს „ჯვარს აცვით ეგე“
და წავა)

რა არის ეს ბრბო! გუშინ ფეხქვეშ ეფინებოდა
მას ფიანდაზად და „ოსანა“-ს უმღერდა კიდეც,
დღეს კი გაჰყივის „ჯვარს აცვითო“. განა ღირს ამგვარ
უგუნურთათვის სიცოცხლის და თავის გაწირვა?!

(შემოდის ფ ა რ ი ს ე ვ ე ლ ი)

ფარის.

პილატე, მიეც დასტური სიგელს
კაიაფასას: ჯვართ აცვი ეგე!

პილ.

ბრალს ვერა ვპოვებ მე მაგა კაცში.

ფარის.

ჩვენის კანონის და სჯულის რიგზე
ეკუთვნის ჯვარცმა, რადგანაც ღმერთი
და ჩვენი მეფე უწოდა თავსა.

პილ.

ეგ მართალია, მაგრამ ისიც ხომ
მართალი არის, რომ იმავ თქვენი
კანონისა და სჯულის მიხედვით
დღეს პასექს უქმობთ და პასექის დღეს
ნება გაქვთ მისცეთ თავისუფლება
თვით ავაზაკსა? (შემოვარდება მაწანწალა)

მაწანწ. ჯვარს აცვით ეგე!

იუდა. შენ რა გაწუხებს შე უბედურო,
შენთვის სწირავდა ეგ კაცი თავსა!

მაწანწ. ეგ პურს დაგვპირდა და კინაღამ კი
შიმშილით მოგვკლა. ფარისევლებმა
და კაიაფამ გვაჭამეს ისევ.

იუდა. მერე, რას ყვირი?!

მაწანწ. ამინ მღვდელმთავარს
და ფარისევლებს! ჯვარს აცვით ეგე!

(ისევ გავარდება)

იუდა. მაძღარი კუჭი რაღას არ იტყვის
გამძღომისათვის.

პილ. ისრაელთ ერო!
დღეს პასექია და თქვენი სჯული
მის გამო წმინდა კანონადა სდებს,
განთავისუფლდეს ერთ-ერთი ვინმე
ავაზაკთაგან. გაუშვით იგი.

ბრბო. მოგვე ბარაბა, ეგ კი ჯვარს აცვით.

პილ. ხალხო, ბარაბა ავაზაკია —
თავისუფლებას მივცემ თქმულს მეფედ.

ფარის. თუ მაგასა იქმ, მტერი ყოფილხარ
შენ კეისრისა, რადგან ყოველი,
ვინცა მეფობას ჩემულობს, სიტყვას
უგებს კეისარს. (შემოვარდება მაწანწალა)

მაწან. ჯვარს აცვით ეგე!

პილ. რას გარგებთ ეგა! რას დაგიმკვიდრებთ?!

მაწან. მაგისი ჯვარცმა პურს გვაჭმევს, პურსა!

ბრბო. მოგვეცი ჩვენა, ჯვარს ვაცვათ იგი.

პილ. რაკი ეგრეა, მე უბრალო ვარ
და მისი ცოდვა თქვენს კისრად იყოს.
მიეცით, რასაც ითხოვს ეს ხალხი.
(ისმის გარედან გრძლად)

ხმა დამცინავი. „იესო ნაზარეველი, მეფე ურიათა!“
— ხა - ხა - ხა - ხა - ხა!

ბრბო. რა უყავ პური, შენ რომ დაგვპირდი?..

პილ.
გადასცეს ბრბოსა. ოჰ, ეს ჭრელთავა
უგულლვიძლო და უგუნური ბრბო.
(ისმის ბრბოს უსაზღვრო ყიჟინი და დედათა ტირილი: „ვაი რა კარგი საჩინო, რა ავად ‘ მიგიჩნიესო, დიდება მოთმინებასა შენსა უფალო იესო“...)
ისრაელთ ძენო!
(გაჩუმდებიან)

კვლავ გიმეორებთ:
არა-ბრალსა ვდებ მე მაგა კაცსა
და დანარჩენი თქვენ მოგეკითხოთ.

ხმა დამცინავი.
„იესო ნაზარეველი, მეფე ურიათა"
— ხა-ხა-ხა-ხა-ხა!

(ბ რ ბ ო ს ყიჟინი)

— ურიათა მეფე ხარ შენა?
— ძე ღვთისა ხარ შენა?
— დაჩაგრულთა მხსნელი ხარ შენა?
— ხმას რად არ იღებ?
— თუ ღმერთი ხარ, იხსენი თავი!
— მოახდინე სასწაული.
— შენ ხომ მკვდრებს აღადგენ!
— შენ ხომ ბრმებს ჰკურნავ. ვითომ ბრმები ვართ, თვალთ აგვიხილე, გიხილოთ ღმერთი!

ხმა დამცინავი.
„იესო ნაზარეველი, მეფე ურიათა".
— ხა-ხა-ხა-ხა-ხა!

პილ.
ამ ათას ჭკვიანს არ მირჩევნია
ერთი სულელი? თავისუფლება
რომ მისცე ბრბოსა, სულ ყირამალა
დააყენებდა ქვეყნიერებას
და თავის ხელით უფსკრულს ჩატყორცნილ
მსხვერპლს თვითონაც თან გადაჰყვებოდა...
როგორ სტკბებიან და ნეტარებენ
იმ საცოდავი კაცის წამებით,

რომელსაც ხელნი აღუმართნია
მუნჯად ზეცისკენ ნიშნად სასჯელის
პატიებისა!

ყიყინი.

— ებრაელთ მეფევ!
— აჰა ლელწამი: ვითა მეფეს, ეს დაგამშვენებს!
— ეკლის გვირგვინიც მოგიხდება ცრუ მეფეს და ღმერთს.
— აჰა პორფირიც... ოქროს სკიპტრაც, ღმერთს მიუტანე!..
— ვითომ რა უჭირს, რომ თვისივე სკიპტრითა ვცემო?
— ჰა, ვინ დაგარტყა? გამოიცან!.. რაღას დაფიქრდი?!

პილ. ფუ, ველარ გაძღნენ! თანდათან უფრო
უვლით სიშმაგე და მადა მოსდით
ადამიანის ტანჯვით გართობის. (გადის)

ხმები. მამა იხსნის, მამა ციური.
— ის კი ჯიუტობს, არაფერს შველის.
— გვითხარი რამე, რა მუნჯად იშვერ
ზეცისკენ ხელებს, ღირსად არა გვთვლი?

ხმა დამცინავი. „იესო ნაზარეველი, მეფე ურიათა!"
— ხა - ხა - ხა - ხა - ხა!.. ჯვრები მოზიდეს!..
— ნათანაილსა, არფაქსსა და ებრაელთა ღმერთს!
— ქურდ ბარაბას კი მიულოცეთ თავისუფლება...

(შემოვარდება მაწანწალა)

მაწანწალა.

ვაიმე დედავ! შემიფარეთ. (იმალება)

იუდა. რა გინდა აქა?

მაწანწ.

გემუდარები, ნუ გამამხელ, თორემ ჯვართ მაცმენ!

იუდა.
ერთი შეხედე ამ ცოცხლობის სიცარიელეს!
როგორ ფასსა სდებს თავის თავსა! ასე გონია
ეს იყოს ქვეყნის იღბალი და თვით მაცხოვარი!

(მაწანწალას)

რამ შეგაშინა, რას გაურბი, ვის რად უნდიხარ,
ვინ რას წაგართმევს შე ნალექო! — გასცი აქედან!

(გააგდებს)

ვინ იფიქრებდა, თუ იუდა თავისი საქმით
შეაძრწუნებდა არა მხოლოდ ძლიერ მეფეებს,
არამედ ქვეყნის თვით უშიშარ არარაობას!

ხმები. გოლგოთისაკენ!

იუდა. გოლგოთისაკენ!

ხმა დამცინავი.

„იესო ნაზარეველი, მეფე ურიათა"
— ხა - ხა - ხა - ხა - ხა!

ხ უ რ ა თ ი II

პილატესთან

იუდა.
აჰა, შენთვისაც მოვიცალე უზენაესო!

მაგდალინელი.
რას მეუბნები! ნუთუ მართლა? მე როდი მჯერა!
ან რისთვის უნდა დავიჯერო, წუთს შესწირავდე
დიდ საქმეებში ჩაყვინთული მეფეთა ხასას,
ხასას დაღეჭილს, დაოსებულს და გამოწუწვნილს

გარყვნილ კაცების გაუმაძღარ სურვილებისგან?!.
დაიმსახურე თუნდ ოდნავად შენ ჩემგან ეგა?!
ან დიდი კაცი მიკადრებ-ღა, გამხდი შენს ღირსსა?..

იუდა.
მართლა მაყვედრი, თუ დამცინი, ან მემასხრები?!.
ეგ მწკლარტე ენა გულის ჯავრთან მოისუფთავე
და მოიგონე ის წარსული, აი ამ ადგილს
რომ მპირდებოდი ხვევნა-კოცნას დაუსრულებელს
სადღაც, მივარდნილ, რომელიღაც მყუდრო ჰერის ქვეშ.
მე ეხლა შენთვის შემიძლიან თავი გადავდო
და მოვიცალო არა ერთ დღეს, — მთელ საუკუნეს...

მაგდალ.
რას ამბობ! მართლა?..

იუდა. შენი კოცნაც იმდღევანდელი
ისევ მაჩნია საუკუნო საჩუქარივით.

მაგდალ.
ბრმავ! უგუნურო! საზიზღარო და გაიძვერავ!
ნუთუ გგონია, რომ მე მართლა მისთვის გაკოცე,
რომ შენი ტრფობა გულს მირჯიდა ზეშთაგონებით?
მართალი არის ხასა ვიყავ ყოველთა ბილწთა
და მწვალებელთა უბედური ებრაელთ ქვეყნის,
მართალი არის თვით ამ მეფეთ ფერხთა მბანელნიც
უფლებად სცნობდნენ ჩემი ტანის დასაკუთრებას,
მაგრამ შენ მაინც ღირსი არ ხარ ჩემის კოცნისა
და, თუ გაკოცე მაშინ ერთხელ, მისთვის კი არა,
ღირსი იყავი, მხოლოდ მისთვის, რომ ჩემი კოცნა
ხუნდად გამეგდო მაგ ხელებში და მაგ ფეხებში
შენი ბოროტი განზრახვების დასათრგუნავად!...
მაგგვარ დიდებას არ გერჩივნა არარად გდება?!.

ზიზღი და ფურთხი!.. მეტის ღირსი არა ხარ შენა
და იყავ წყეულ უკუნითი უკუნისამდე!

(გადის საჩქაროდ)

იუდა. (დაბნეული)

სწორედ გველსავით დამკრა წელში... ძვრას ველარ ვჩადი.
ტვინი დამებნა და ჭკვაც ველარ მომიკრებია...
ვიღაცა მოდის... მოვარიდებ ფერწასულ სახეს
ცოტახანს მაინც... (ი უ დ ა მიეფარება. შემოდიან
პ ი ლ ა ტ ე და კ ა ი ა ფ ა)

პილ.

მაშ მორჩა იგი, კაიაფა, ნამდვილად მორჩა?

კაიაფა.

მორჩა. დღეიდან ქარიშხლები აჯანყებათა
სრულად, პირწმინდად ჩაუცვივა ეოლოს ყბაში
და შეინახეთ საგულეში თქვენ გული მშვიდად.
მტერი გართხმული გდია ძირსა სამარადჟამოდ!

პილ.

მაგას კი სცდები...

(გამოჩნდება ი უ დ ა)

იგი ისევ ცოცხალი დადის...

კაიაფა.

ვინა?

პილ. იუდა. იგი სხვებზე ჭკვიანი არის
და შეუძლიან შეგეცილოს მღვდელმთავრობაში.
მას ძალუძს თავი მესიადაც გამოაცხადოს
და ჩვენი მტრობა შეაზავოს ისევე კარგა,
როგორც ბნელ ბრბოთა მთლიანობის დაშლისა საქმე.
ამიტომ იგი აღარ არის ჩვენთვის საჭირო.

იუდა.
ვაი შენ ჩემო უგულღვიძლო, უტვინო თავო!

პილ.
ოღონდ ეს საქმე საიდუმლოდ უნდა გაკეთდეს.

(ი უ დ ა გაიპარება საჩქაროდ)

ს უ რ ა თ ი III

გოლგოთა

(ს ა მ ი ჯ ვ ა რ ც მ ა. შუაში ყ რ უ - მ უ ნ ჯ ი, მარცხნივ და მარჯვნივ ნ ა თ ა ნ ა ი ლ და ა რ ფ ა ქ ს ი. მ ა ი ა და მ ა გ დ ა ლ ი ნ ე ლ ი სხვა დედებთან ერთად ტირიან)

დედათა ტირილი. „ვაი რა კარგი საჩინო
რა ავად მიგიჩნიესო,
ეკლის გვირგვინი დაგადგეს,
გაგლანძღეს, გაგათრიესო—
დიდება მოთმინებასა
შენსა უფალო იესო,
დიდება მოთმინებასა
შენსა უფალო იესო,
და დიდება მოთმინებასა
შენსა უფალო იესო!“

(შემოდის ი უ დ ა)

იუდა. როგორა ბნელა! თითქო ჯოჯოხეთს
თავისი ტახტი დაედგას სოფლად!
ა-იმ ჯვარცმულთ კი იმგვარად ვხედავ,
თითქო ნათელი დაჰკრავდეს ობლად.
სამნი არიან... მარჯვნივ არფაქსი,

მარცხნივ ნათანა, შუაში იგი,
სამნივ გაკრულნი იმგვარად ჯვარზე,
როგორც მივეცი წესი და რიგი.
მათ ირგვლივ ღამის ყარაული დგას,
ყარაულს იქით კვნესენ დედანი...
ოჰ, ღმერთო ჩემო! მიეტევება
ვისმე ამგვარი შეცოდებანი?!.
რა ბედნიერად ჩავთვლიდი თავსა
საქმით ბოროტი, გონებით ნაკი,
რომ ვყოფილიყავ მათთან ჯვარცმული,
როგორც ერთ-ერთი ქურდ-ავაზაკი!..

დედათა ტირილი. „ვაი რა კარგი საჩინო,
რა ავად მიგიჩნიესო,
ავაზაკზედაც გაგცვალეს,
ბარაბა მათ ირჩიესო.
დიდება მოთმინებასა
შენსა უფალო იესო,
დიდება მოთმინებასა
შენსა უფალო იესო,
და დიდება მოთმინებასა
შენსა უფალო იესო.“

იუდა. დედავ-მშობელნო! მაგ წმინდა ცრემლით
მიტირეთ მეცა... გამხადეთ ღირსი.

(შორიდან მოისმის ხალხის ყრუ ძახილი)

ძახილი. მოგვეცით პური... გვშიან... გვწყურიან...

იუდა. ბრბო კვლავ პურს ითხოვს... ეს იმას ნიშნავს,
ისევ მოშივდა, მაგრამ ეხლა მას
ვინ რაღას მისცემს, როცა ხარჯები
გაწეულია და რომაელთა
საქმეც მთლიანად გაკეთებული?!.

დედათა ტირილი. „ვაი რა კარგი საჩინო
რა ავად მიგიჩნიესო,
ჯვარზე გაგაკრეს, ხელფეხთა
ლურსმანი გაგიბნიესო —
დიდება მოთმინებასა
შენსა უფალო იესო,
დიდება მოთმინებასა
შენსა უფალო იესო
და დიდება მოთმინებასა
შენსა უფალო იესო!“

იუდა. დიახ, იტირეთ ებრაელთ ბედი,
ბედი მრავალთა თავდადებულთა,
ხოლო იუდა სწყევლეთ და ჰქოქეთ!

ძახილი. მოგვეცით პური... გვშიან... გვწყურიან!..

იუდა.
თქვენცა, მშიერნო საქონელნო, და თქვენც მწყურვალნო,
თქვენი ყვირილი შეუერთეთ დედათა ტირილს,
რათა გლოვის ხმამ შეაძრწუნოს მოძღვართა ძვლები
დასაბამიდან აქამომდე მოყოლებული
იმ ტყუილთათვის და სიცრუის წინასწართქმისთვის,
რამაც ებრაელთ დაუკარგა ნამდვილის ცნობა,
რამაც ჩააგდო ხალხი ბნელში და გასაჭირში.

(მიჰმართავს მტირალთ)

ჰეი ქვეყანავ ებრაელთა და მდგმურნო მისნო!
მორჩით მაგ ტირილს და შინ წადით დამშვიდებულნი,
რადგანაც ახლო არის ჟამი სასწაულისა:
ერთი ცოდვილი სუყველასას კისრულობს ცოდვებს.

(მ ო ტ ი რ ა ლ ნ ი განაგრძობენ ტირილს)

ადექით მეთქი! არ შეჰშვენის ღმერთსა ტირილი
და შეურაცჰყოფთ მაგით მხოლოდ მის უკვდავებას!

მოტირალნი.

ვინ არის იგი?.. მართალს ამბობს... ადე, წავიდეთ...

(გადიან)

იუდა. (მარტო)

ერთი მეფეა, მეორე მონა,
ერთის სიცოცხლით მეორე კვდება
და რაც რომ ერთხელ დაიმარხება,
იგი მეორედ აღარ აღდგება!..
აღარ აღდგება!.. აღარ აღდგება!..
რაც იყო, იგი აღარ აღდგება!..

(გადის)

სურათი IV

იგივე ადგილი

1-ლი მესაფლავე. დაჰკა, დაჰკა! კიდევ აკლია.

(შემოდის ცენტურიონი)

ცენტურ. თქვენა ხართ მესაფლავენი?

2 მესაფლავე. არა, ჯვარცმულთა ჩოდრები გახლავართ, საიქიოში ვგზავნით, რომ იქიდან სწორედ შეგვატყობინონ მოძმეთა გაცემის მაზანდა...

ცენტურ. სამასხროდ არა ვარ მოსული...

2 მესაფლ. არც ჩვენა ვართ მასხარა მესაფლავენი — ღმერთს ვასაფლავებთ!

ცენტურ: რომელია ამათში ღმერთი?

1 მესაფლავე. რომელიც ყველაზე პატარაა. მას რომაულადაც აწერია, ბერძნულადაც და ებრაულადაც. კითხვა არ იცი?

ცენტურ. ბნელა და თვალი არ მიჭრის. (კითხულობს)

„იესო ნაზარეველი, მეფე ურიათა“...

2 მესაფლ. აი მისი ოქროს სკიპტრაც — ხა - ხა - ხა! მაგრამ დაჭკა, დაჭკა, ღრმად ამოთხარე...

ცენტურ. აქამდე რას აკეთებდით: გუშინ, გუშინწინ ვერ ამოთხრიდით, რომ ნაშუალამევს არ დაგეწყოთ?

1 მესაფლ. ებრაელთა წესია: სამარე ნაშუალამევს უნდა მოითხაროს და დამარხვაც ღამეს არ გადასცდეს, თორემ ავი სული ჩადგება შიგ...

ცენტურ. ამათზე ავი რომელიღა იქნება?..

2 მესაფლ. რომელიც მესაფლავეებს აცდენს საქმესა...

ცენტურ. დახე ამასა!

1 მესაფლ. ჰა, დაჭკა, დაჭკა და ამოთხარე...

ცენტურ. ეხლავე უნდა დაასაფლაოთ?

1 მესაფლ. დიახ, ბატონო! (შორს გამოჩნდება ბ ა რ ა ბ ა)

ბარაბა. თუ მართლა ოქროს სკიპტრა თან ჩაატანეს საფლავში,—გავკეთდები... მაგრამ როგორ ვიცნო, რომელია იესო? ჰო, აგერ, იმის ჯვრის ძირში აყუდია სკიპტრა... თუნდაც რომ ორჯელ მაცვან ჯვართ, მოუპარავს არ გაუშვებ... სამაგიეროდ სხვაგან დავმარხავ და მაგ ავაზაკების გვერდით არ დავტოვებ ღმერთს. — ეს ვერ გამოისყიდის ჩემს შეცოდებას?!.

მესაფლავენი. მოვრჩით...

1 მესაფ. ეხლა საჭიროა გარდამოხსნა... უფალო რომაელო, დაგვახმარე შენი დარაჯი.

ცენტურ. მოხსენით, ისე მოხსენით, ნალურსმანები არ გაუდიდოთ, თორემ გაისვრებით უწმინდურ სისხლში...

2 მესაფლ. მე შენ მოგცემ უწმინდურ სისხლსა! განა ებრაელის სისხლი უწმინდურია?.

ცენტურ. ავაზაკის სისხლზე მოგახსენებ...

2 მესაფლავე. ეგრე მელაპარაკე, თავაზიანად... ასწიეთ, ასწიეთ, ასწიეთ... უჰ, რა მძიმეა!..

1 მესაფლ. აჰა... ეხლა ჩავუშვათ... ესე, ჰოო ესე.

(ჩაუშვებენ)

ეს ერთი და ღმერთი! აბა ეხლა მეორე. მეორე ცოტა სუმბუქია. ეტყობა ცოტა უჭამია. ვინ იცის რამდენის ჯიბეში ჩამძვრალა აი ეს სამიწე ხელები და რამდენი ქისა დაუცარიელებია. ასწი! ჰოო, ესეც ესე... აბა ჩავუშვათ.

(ჩაუშვებენ)

რა იცოდა საწყალმა, თუ ბოლოს ყველაფერი ჯვარზე გათავდებოდა?!. წინათ ამანა ჭამა, ეხლა ესა ჭამონ...

ბარაბა. (თავისთვის) ვერ მოგართვით! მაგან მე მიხსნა ჯვარცმისაგან და მანდ არ შევაჭმევ ჭიებს...

2 მესაფლ. აბა ეხლა ეს: უფალი, ასწი. ვიჰ, რა მჩატეა! ამას მუდამ კუჭი ცარიელი ექნებოდა მარხულობისგან.

1 მესაფლ. სამაგიეროდ თავი სავსე ჰქონდა ოცნებებით, ფიქრებით, ტყუილებით და კაცობრიობაზე ზრუნვით...

2 მესაფლ. აბა მჩატეც სწორედ მაგიტომ არი აი!

1 მესაფლ. ხელები კარგა შეუარტახე, არ გაეხსნას... ეს „ოქროს სკიპტრაც“ მაგრა ჩააკარ, არ მოპარონ საიქიოში. ეგრე... ეხლა ჩავგზავნოთ...ასე! ვინ იფიქრებდა, თუ ამ პატარა საფლავში ებრაელთა მეფე და ღმერთი დაეტეოდა?

2 მესაფლ. ესეც დავაბინავეთ...

ცენტურ. მიაყარეთ მიწა.

1 მესაფლ. რაღა თქმა უნდა, თორემ ესენი რომ მართლა აღდგნენ მკვდრეთით...

2 მესაფლ. ჩუ! ღმერთი გიწყენს!

1 მესაფლ. ხა - ხა - ხა - ხა - ხა!

ცენტურ. რა დროს სიცილია! მიაყარეთ მიწა!

2 მესაფლ. აკი გითხარ, ღმერთი გიწყენს მეთქი.

(გაჩქარებით აყრიან მიწას)

მესაფლავენი. ესეც ასე. მიწაც მიყრილია.

2 მესაფლ. ეხლა, რა თქმა უნდა, მცველები გვიშველიან და მოვაგორებთ ლოდებსაც.

(შემოაგორებენ ერთ ლოდს)

1 მესაფლ. ამ ლოდს ესეც ისევე ვერ აუდგება, როგორც პაპაჩემი. აბა ეხლა მეორე.

2 მესაფლ. ნეტა ისეთი რა დააშავა ამ საცოდავმა, რომ ამსიმძიმე ლოდს ვადებთ. უჰ, რა მძიმეა!.. ესეც მზად არის. ეხლა მესამე... გათავდა.

1 მესაფლ. საქმე დასრულებულია და ეხლა ჩვენ შეგვიძლიან წავიდეთ მეორედ მოსვლამდე.

(გადიან)

ცენტურ. შენ კი, მცველო, დილამდე აქაურობას უგდე ყური.

მცველი. რას უნდა ვუგდო ყური ბატონო ჩემო?

ცენტურ. ეს საფლავები არსად გაუშვა. მესამე ღამეა და ასე ამბობენ, ადგებიანო. მახვილი მზად გეჭიროს!

(მ ც ვ ე ლ ი ს გარდა ყველანი გადიან)

მცველი. ჩემს სიცოცხლეში ცოცხლებისაც არა მშინებია და ეხლა უნდა მკვდრებისა შემეშინდეს? რა სისულელეს ამბობს ჩემი ბატონი, მკვდრები ადგებიანო. მამაჩემი ამდგარა, პაპაჩემი თუ მისი პაპა? რასა ვდგევარ ფეხზე! აზირ ჩამოვჯდე ამ ლოდებზე? (დაჯდება) რაღაცა შიშმა კი გამკრა გულში. არა, ისევ ისა სჯობს ამ ეშმაკურ საფლავებიდან შორს გადავინაცვლო. არც ის იქნება ურიგო, ერთი კარგად გამოვიძინო ამ ნაშუაღამევში. მკვდრეთით ამდგარი მე არავინ მინახავს, ხოლო თუ მართლა იმდენი შეუძლიანთ მკვდრებსა, რომ ადგნენ, მაშინ მე რაღა ძალა მაქვს. მე ხანდახან ცოცხალიც ვერ ავდგები ხოლმე ფეხზე და მკვდრები თუ ამას შესძლებენ, მე რას უშველი! ღმერთებმა მისცენ მაშინ იმათ გზა. (ამთქნარებს) უჰ, რა მეძინება!

ბარაბა. რა პატიოსანი მცველი გამოდგა! ძილს აპირებს.

მცველი. თუ ეს აღდგომა სიცრუე და ჭორი არ არის, რატომ მაინცდამაინც უეჭველად მესამე დღეს უნდა აღდგნენ და არა მეორე, ან მეხუთე დღესა?! არა, მე სხვებსავით სულელი არა ვარ: წავალ იქით, მივეგდები სადმე და მივიძინებ. (გადის)

ბარაბა. ცოცხლების გაძარცვა ამიკრძალეს, მკვდრებისა ხომ არა! (მივა, გადააგორებს ყრუ-მუნჯის საფლავის ქვასა და სთხრის) ამოთხარე მიწიდან ოქრო ბარაბა, ამოთხარე: ამისთვის არავინ დაგსჯის... აჰა, მივაგენ! (ამოიღებს) ვიჰ, რა მაგრა ჩაუკრავთ სკიპტრა არტახებით!.. ბარემ მთლიანად წავიღებ, გავძარცვავ კიდეც, დავმარხავ კიდეც.

(გააქვს ზურგით. სადღაც იელვებს. შემოდის **სამი თერთმეტთაგანი**)

1-ლი თერთმეტი. სად დამარხავდნენ?.. აი მივაგენ.
დაუმარხიათ სამივე მწკრედა...
ნეტავ რომელი არის ამათში,
რომელიც იცნეს ქრისტედ და ღმერთად?.!
მას ყრუ-მუნჯობა როდი აკმარეს!
დასცინეს კიდეც წამების გარდა.
ჩვენი ბრალია ეს ყოველივე
რისხვა უგნურთა და სინდისმკვდართა!
ამიტომ გვმართებს მუხლთ მოვიყაროთ
ამ ბედკრულ მსხვერპლის სამარის კართან.

მეორე თერთმ. მაგრამ რად არის ერთი საფლავი
ამონგრეული?

1-ლი თერთმ. ამონგრეული?
ჰო, მართალია, ამონგრეულს ჰგავს,
ასე გონია წაეღოს ვისმე.

მესამე თერთმ. ნადირის მეტი ვინ წაიღებდა?
ამონათხარსაც ეტყობა ნათლად,
რომ იგი ნადირს ამოუღია...

1-ლი თერთ. ყური დამიგდეთ. ერთი სიცრუე
უნდა ვთქვათ ჩვენა: რაც გვწამს დავწყევლოთ,
რათა სიცრუით და მოტყუებით
სიმართლე ჩვენი მოვისათხევლოთ.
ამქვეყნიური ყოფაცხოვრების
ნამდვილი სახე ყოფილა ესა
და, მოგვების თქმით, ეს ცრუ ბუნება
თურმე ლაქებად ატყვია მზესაც.
აი, ამიტომ საფლავი ესე
არა ნადირთა საქმედ ვხადოთ,
არამედ კაცთა ხსნისთვის ჯვარცმულის
აღდგომად უნდა გამოვაცხადოთ,

ეს გზას გაგვიხსნის ახალ ბრძოლისთვის,
იმედსაც მისცემს ის ხალხებს ზეცით
და ჩვენი სისხლიც, დაღვრილი უხვად,
მინდორ-ველივით აღდგება მკვდრეთით.

ყველანი. ამინ! კარგია!

1-ლი თერთ. ერთი სათქმელიც!
ლუკმა პურისთვის ტანჯული სულით,
ადამიანი ეძებდა მარად
მშვიდობას, ძმობას, თავისუფლებას
და კაცთა შორის ცხოვრებას წყნარად.
მაგრამ ესენი თუ ვერა ჰპოვა
მან საბოლოოდ ამ ქვეყანაზე,
მაშინ ჩვენ უნდა ჩვენი იმედი
გადავიტანოთ მეშვიდე ცაზე.
ამით ურყევად და სამუდამოდ
დავტოვებთ იმედს სარწმუნოებად,—
ეს ტანჯულთ ტანჯვას გაუადვილებს
და ცოცხლებს დაჰხსნის ამაოებათ.

ყველანი. ამინ! კარგია!

1-ლი თერთ. აბა წავიდეთ.

(გადიან საჩქაროდ. შორსა ელავს. შემოდის ი უ დ ა).

იუდა. აქვე დაუფლავთ სამივე ერთად,
მაგრამ ეს ერთი რად არის ასე?..

(იელვებს)

სადღაცა ელავს, კურო კი ისევ
პატარძალივით კეკლუცობს ცაზე.
სჩანს ღამეები აპრილის ბოლოს
დიდხანს იქნება უმთვარო კიდევ.

ელვა მიჩვენებს მხოლოდ ხანდაზმით
ღრუბლით დატვირთულ მსოფლიოს კიდეს.
ცის ძირებიდან მოდის ის ზევით
ელვის დახვლანჯილ წყრომად და რისხვად,
თითქო ვარსკვლავთა შთანთქმითა ჰქონდეს
ქვეყნიერების დავსება მიზნად...
დღეს გუშინდელი ღამე გათენდა,
ეს ბნელი ღამეც ხვალ გათენდება
და სხვა უთვალავ ღამეებს შემდეგ
ვინ უწყს რამდენი დღე კვლავ ენთება,
მაგრამ მე... ქვეყნად აღარ ვიქნები...
აღარ ვიქნები აღარასოდეს...
მერე, რად ვქენი ეს ყველაფერი,
რად ავეკიდე ამ უკვდავ ცოდვებს!?
ოჰ, კაინ! კაინ! ნუთუ იმისთვის
დასთხიე სისხლი აბელ მართლისა,
რომ მე მემკვიდრე ვყოფილიყავი
მაგ უგნურების, სისაძაგლისა?!.
ნუთუ ეგ შენი წყეული სისხლი
მისთვის ჩამიდგი, მისთვის მიძღვენი,
რომ ჩამედინა ძმათა მკვლელობა,
რომ დამთესლოდნენ მეც მემკვიდრენი?!.
ცისა და ქვეყნის შემქმნელო სულო!
მაშინ რომ მეც იქ ვყოფილიყავი,
როცა ქვეყნიურ ყოფაცხოვრების
შექმნის აზრებით გიდუღდა თავი,
თავში დაგთხლეშდი მსოფლიო წყრომას
მე, ვით მეხი და მედგარი დიდი,
რათა მომესპო იმთავიდანვე
ამ ბილწ ცხოვრების სათავე იგი!...

რისთვის ეგიგდე მასხარად გლახა,
ისეც მასხარა ბუნებისაგან?
რა მომიტანა, რა დამიმკვიდრა
საამქვეყნიო სიამედ ამან?!.
ან ჩემი ერი, მრავალტანჯული,
რად განვუმტკიცე რომაელთ მონად?
იმისათვის, რომ პილატე ელის
ჩემს თავს გაჭეჭყილს, გაპობილს ორად?!.
ოჰხ ცავ და მიწავ! მარქვით, მაგ ელვით
რას მამცნებთ ბედკრულს? რა გიდევთ გულში?
აღარ იქნება, რაც ეხლა არის?
აღარ იქნება, რაც იყო გუშინ?..
ღამე მაკეა და ვერ მივმხვდარვარ,
რა უნდა შობოს მან სამუდამო...
ვაი შენ ჩემო ცრუ იმედებო!
ვაი შენ ჩემო ბედკრულო თავო!

(დაემხობა. ელავს. ისევ ადგება)

სულ აქეთ-აქეთ მოიწევს ელვა.
გუშინ ცხელოდა, ეხლა მაყრყოლებს,
თუმც გაზაფხულის სუნნელი მოაქვს
ნიავის ფრთებზე იმ ელვის რგოლებს.
იქუხა კიდეც. მაგრამ ქუხილი
და ელვა უფრო აბნელებს ღამეს:
თითქო წყვდიადის და ელვის ბრძოლამ
ქვეყნიერება შთანთქეს, შეჭამეს!
რა რიგად გრგვინავს. წაილო სმენა!

(შემოვარდება მ ც ვ ე ლ ი)

მცვ. ვინა ხარ მანდა: ბოროტი სული
თუ წამომდგარი საფლავებიდან?

მითხარი, თორემ გაგკვეთ მახვილით,
ან გულს გაგიპობ მრისხანე ხმლითა.

იუდა. ჰქმენი ეგ საქმე და შენა ზიდე
ჩემი ცოდვები ამიერიდან:
ცა არ მიგიღებს შემდგომად ცოდვილს
და აღარც მიწა ჩაგიშვებს შიგა!

მცვ. მითხარი სწორედ: მკვდრეთით აღსდექი?

იუდა. არა ძმავ, არა! პირიქით, მოველ
მაგ ყველგან წყეულ სიკვდილისათვის
და, მართლა მკვდარი რომ ვყოფილიყავ,
არ აღვდგებოდი ახალ მოსვლამდის.
თუ გინდა მომკალ.

მცვ. რა ეშმაკური
ლაპარაკი გაქვს... (იქუხებს) უჰ, ცა რას სჩადის!

იუდა. ჰოო და აბა, რა დროს ეშმაკზე
ლაპარაკია! ხსნა არსად არი:
საცაა ღვართქაფს დაუშვებს ზეცა —
წადი, მოძებნე თავშესაფარი.

(ქუხილი)

ცა იმგვარად სჭექს, თითქო უნდოდეს
ხმელზე გადმოღვრა მრისხანე ზღვისა
და შიგ ჩახრჩობა სამარადჟამოდ
ამ ცოდვიანი დედამიწისა.

მცვ. მაშ შენ არ მეტყვი, საიდან მოხველ?..

(ქუხილი)

იუდა. უჰ, რა ძალიან დაირუხრუხა!
რა გინდა ძმაო? ცეცხლის კვესებით
მრისხანე ღამე სანამ შიგ თავში
არ დაგკრავს მეხსა — არ მომეშვები?!.

მცვ. წვიმამ დაუშრ... რა ვქნა, ძმობილო,
შენც იცი, მე აქ, დგომა არ მინდა,
მაგრამ ჯანდაბას! მკვდართ არდაცვისთვის
პასუხი აგოს ცუდმა ამინდმა.

(გადის საჩქაროდ)

იუდა. მარტო მე დავრჩი ბუნების შფოთში
უთანამგზავროდ, უთვისტომოდა,
როგორც ამ ქვეყნის საშინელება,
როგორც ამ ქვეყნის უბადლო ცოდვა,
რომელსაც შემდგომ არც ერთი სული
გამკარებელი, კარგად თუ ავად,
არ ეყოლება არც სანუგეშოდ,
არც მეგობრად და არც ნათესავად...
ცარ და მიწავ, ამხედრებულნო
დღეს ერთმანეთზე შურისძიებად,
დამთხლიშეთ თავში მრისხანე მეხი,
თუ ჩემთვის სადმე მოგეძიებათ,
რათა გამსრისოთ, როგორც კიტრანა,
ჯერ მკვახე, მაგრამ მძლედ უკეთური,
რომელსაც გულში დაუმწიფდება
შემდგომში საქმე ჯოჯოხეთური.
გამსრისეთ ეხლავ, თორემ თუ შემდეგ
ჩემებურობის მოვმწიფდი თესლად,
კიტრანასავით გადავენთხევი
ქვეყნიერებას შხამად და გესლად.
ცაო და მიწავ! ისმინეთ ჩემი,
მიმილეთ მსხვერპლად ბრმა, უგუნური.
დამკარეთ მეთქი მეხი მრისხანე,
მომსპეთ ამ ქვეყნის ზედმეტი მდგმური!

(ელვა და ქუხილი)

არ გინდათ მიყოთ თქვენ ეგ სიკეთე?
მაშ კარგი, კარგი... მიმიღებს რცხილა,
რადგან მის ტანი საგაზაფხულო
აკოკრებისთვის შემოვერცხლილა.
მაშინ ამ ჩემი ტანისამოსით
აი ამგვარად დავგრეხ თოკ-ბაწარს,
დავგრეხ პირქუშად, როგორც განაჩენს,
საშვილიშვილოს, მტკიცეს და მაგარს,
დავგრეხ და რცხილავ... (ადის) რამ აგათრთოლა?
ნუთუ ჩემს ცოდვებს განიცდი შენცა,
რომ ჩემი ფეხის შედგმა შენს ტანზე
შენს ტოტებს თრთოლვის ზღვად გადაეცა?!.

(სულ ზევითა და ზევით ადის)

სხვა გზა არ არის... მაინც შენს ტანზე
ჩემი ამ ქვეყნად ყოფნა ბრმად, არად,
და ჩემი ცოდვა უკვდავი მარად
უნდა დავახრჩო აი ამგვარად.

(ჩამოეკიდება)

ს უ რ ა თ ი V

იგივე ადგილი

(მეჭა-ქუხილი გადივლის და თენდება. მზე ამოდის. შემოდის ხალხი ყიჟინით)

ენოქ.

იმგვარად სჭექდა, რომ სასწაულს მოგვაგონებდა.

ფარის.

ეს სასწაული მუდამ ხდება გაზაფხულისას,
როს საფლავიდან დგება ხოლმე ყოველი თესლი...
აგერ, ამდგარან კიდეც მინდვრად ჯეჯილ-მწვანენი.

(ენოქი დაჰხედავს ყრუ-მუნჯის საფლავს)

ენოქ.
ამდგარა ღმერთიც!
ფარის. ტყუილია!
ენოქ. მოდით და ნახეთ
თუ არა გჯერათ ურწმუნოთა!
თომა. (დაინახავს იუდას გვამს) უჰ, ეს რაღაა!
საკვირველება! სასწაული სასწაულს მოსდევს!
ცოდვილ იუდას თავი თვისი ჩამოუხრჩვია!
ენოქ.
ტყუილი არის მაშ ესეცა?
ფარის. ეს ნამდვილია.
ენოქ.
ეს ნამდვილია, მაგრამ ისიც ნამდვილი არის,
რომ ეს მესია მესამე დღეს ამდგარა მკვდრეთით...
ფარის.
არა, მესია არ მოსულა ჯერ ქვეყანაზე
და ეს აღდგომაც მოწყობილი აღდგომა არის.
ენოქ.
მაშ მცველსა ვკითხოთ.
ყველანი. ვკითხოთ, ვკითხოთ! მცველს დაუძახეთ.
ფარის.
სად არის მცველი?
მცველი. აქ გახლავარ!
ფარის. წუხელ გეძინა?
მცველი.
არა.
ფარის. მაშ ვინ წაიღო ეს საფლავი?
მცველი ჰეეა - ქუხილში
თვალთ დამიბნელდა და უგრძნობლად დავემხე პირქვე,

ხოლო როდესაც დღე გათენდა და გრგვინვა მისწყდა,
ავდექი ზეზე და საფლავი ამგვარად იყო...

ენოქ.

ღმერთო გვიშველე! ჩვენი მხსნელი ამდგარა მკვდრეთით!

ფარის.

ეგ სიცრუეა... მოწყობილი... დელფო და ხრიზმო...

(ბნელდება)

ყველანი.

შშ... ბნელდება...

ფარის. ჰა? ბნელდება?..

ყველანი. როგორ ბნელდება!

ფარის.

ეხლა გათენდა და ეხლავე ისევ ბნელდება?
რათა ბნელდება?.. აი, თითქოს აცივდა კიდეც...

ენოქ.

სასწაულია... (უფრო და უფრო ბნელდება)

ფარის. სასწაული?.. ღმერთო გვიშველე...

ენოქ.

სასწაულია, სასწაული!

ფარის. საიდან, რათა?

ენოქ.

აგერა, ჰხედავთ?

ფარის. რასა? აბა? ვერაფერს ვხედავ!

ენოქ.

მაშ მაგ თვალებზე გადაგკვრია ცოდვების ლიბრი!
აგერ: ამ დილის ამ მშვენივრად მოწმენდილ ცაზე
მზეს უკუნეთი შეებრძოლა... სასწაულია!

ყველანი.

ღმერთო გვიშველე!

ენოქ.

ვაი ჩვენ ცოდვილთ და ურწმუნოთ! ებრაელთ ღმერთი ამ დაბნელებით წყრომას გვითვლის შეცოდებისთვის!

ყველანი.

ღმერთო, შეგვინდე უსჯულოებს შეცოდებანი!

ენოქ.

სულ მთლად დაღამდა და წყვდიადი გადაგვეფარა.

ყველანი.

ღმერთო გვიშველე!

(დაემხობიან პირქვე. ცოტა ხანს შემდეგ მზე ისევ იწყებს მთვარის დისკოდან გამოსვლას. პირველი სხივი მზისა ჰხვდება ერთ-ერთ მეამბოხე თერთმეტთაგანს, რომელიც შორს მწვერვალზე ყველაზე მაღლა დგას და თვალყურს ადევნებს ამ ბუნების მოვლენას მოგვებთან ერთად. პირქვე დამხობილნი ნელ-ნელა წამოიწევენ, ფარისევლის გარდა, და დაინახავენ-რა მწვერვალზე განათებულ მეამბოხეთ, წამოიძახებენ):

ყველანი. ქრისტე აღდგა!

ენოქ. (წიხლს წაჰკრავს ფ ა რ ი ს ე ვ ე ლ ს)

ადექ, იხილე! ადექი მეთქი! (ფ ა რ ი ს ე ვ ე ლ ი ძვრასაც არ იზამს)

მაგდ.

უფალო, თუ შენ მართლა აღდეგ ტანჯული მკვდრეთით, რაღად დასტოვე ებრაელთა ერი მკვდრად, მონად?!.

1930/V — 1931/II
ტფილისი.